

ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება
არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა?
ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006

ტომ ტრიერი და მედეა ტურაშვილი

ECMI-ის მონოგრაფია #6

აგვისტო 2007

ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება

არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006

მონოგრაფია #6

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: Dr. Marc Weller

Copyright © 2007 The European Centre for Minority Issues

ამ პუბლიკაციის ან მისი ნაწილის თარგმანისა და
გავრცელების უფლების მოსაპოვებლად მიმართეთ:

ECMI

Schiffbruecke 12

24939 Flensburg

Germany

ISBN: 978-3-940532-01-5

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი ხელს უწყობს

მისი ნაშრომების გავრცელებას და შესაბამისი მოთხოვნის არსებობის

შემთხვევაში იძლევა ნებართვას მოცემული ნაშრომის გავრცელებასა და თარგმანზე

შინაარსი

შესავალი.....4

განსახლება და სახელმწიფო პროგრამები.....8

 განსახლება 1980 წლამდე..... 8

 ეკომიგრანტების ორგანიზებული განსახლება 1980-იან წლებში..... 10

 დახმარება არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან 16

 სახელმწიფო პროგრამები შევარდნადის პერიოდში.....22

 განსახლება “ვარდების რევოლუციის” შემდეგ.....24

ეკო-მიგრაცია უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში.....33

 ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში..... 33

 ჩასახლება ქვემო ქართლში42

ჩასახლება და ეთნიკური დაძაბულობა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში 50

 დაძაბულობა სამცხე-ჯავახეთში 51

 დაძაბულობა ქვემო ქართლში..... 54

სოციალურ-ეკონომიკური ადაპტაცია და ინტერეთნიკური დაძაბულობა..... 62

 სახლების საკითხი.....63

 მიწის საკითხი65

 ენის საკითხი.....73

დასკვნები და რეკომენდაციები..... 74

დანართი..... 82

რუკა.....95

შესავალი

ეგრეთ წოდებული ეკოლოგიური მიგრანტების, ანუ ეკომიგრანტების განსახლება საქართველოს ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა სოციალური, პოლიტიკური და ჰუმანიტარული თვალსაზრისით. ეკომიგრანტები არიან ის პირები, ვისაც სტიქიური უბედურების გამო მშობლიური სოფლების დატოვება მოუხდა.

გადასახლება და შიდა მიგრაცია ახალი ფენომენი არ გახლავთ საქართველოსთვის. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გადასახლეს ქართველები ნაკლებად დასახლებულ სასაზღვრო რაიონებში. მოგვიანებით, 1930-1950-იანი წლების საბჭოთა კოლექტივიზაციის პერიოდში, ათასობით მთის მოსახლე ნებით თუ ძალით ქვეყნის ბარში ჩამოსახლდა და რეგიონები, რომლებიც 1940-იან წლებში მასობრივი სტალინური დეპორტაციების შედეგად მკვიდრი მოსახლეობისაგან დაიცალა, ხელახლა შეივსო სხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებული ქართველებით. 1950-1960-იან წლებში განსახლება განსაკუთრებით აჭარის მთიანი მხარის მოსახლეობას შეეხო რათა დაერეგულირებინათ დემოგრაფიული ბალანსი და მთიანი რეგიონების მოსახლეობის ზრდა. 1980-იანი წლების დასაწყისიდან მთიანი რეგიონებიდან მიგრაციის პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა კლიმატურმა ცვლილებებმა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე. მეტიც, განვლილი საუკუნის ბოლო მეოთხედში ათიათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ წყალდიდობების, მეწყერების თუ ზვავების შედეგად.

საქართველოს მთიან რეგიონებში მომხდარ ბუნებრივ კატაკლიზმებს სხვადასხვა მთავრობები – 1980-იანი წლების საბჭოთა ხელმძღვანელობა, გამსახურდიას რეჟიმი, შვეარდნაძის მმართველობა, დაბოლოს, სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა – განსხვავებული მიდგომებით პასუხობდნენ და პასუხობენ. 1980-იანების დასაწყისში ჩამოსახლების პროცესი კარგად იყო ორგანიზებული. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს მთიან რეგიონებში ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მკვეთრად იმატა. ამას თან დაერთო საბჭოთა წყობილების დამხობა და მისი თანამდევი კორუფცია. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მეთაურობით მოსული ნაციონალისტური მთავრობის განსახლების პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო ნაციონალისტური

პროგრამის გატარება, კერძოდ, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ჩასახლება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და საზღვრისპირა რაიონებში, ეკოლოგიური უბედურების შედეგად აღვიწინააღმდეგებელი პირები კი ამ პოლიტიკის გატარების იარაღად იქცნენ. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ეს პრობლემა იგნორირებული იყო პირდაპირი მნიშვნელობით, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ კი, სააკაშვილის მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ეკომიგრანტთა პრობლემების გადაწყვეტისაკენ, თუმცა ამ საკითხების გადაჭრისათვის მიზანმიმართული პოლიტიკის არსებობა ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა.

1981 წლიდან დღევანდლამდე განსახლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 11,000 ოჯახი გადაასახლეს (დაახლოებით 60,000 ადამიანი), ძირითადად აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან.¹ ამავე პერიოდში მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა, ძირითადად აჭარიდან, დამოუკიდებლად გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში მათი მშობლიური რეგიონების მოსახლეობით გადატვირთულობისა და მცირემიწიანობის გამო. 1980-იანებში და 1990-იანი წლების დასაწყისში ეკომიგრანტთა მიმღები ძირითადი რეგიონები იყო კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, გურია, სამცხე და ჯავახეთი.² მოგვიანებით, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მიგრანტთა ძირითადი მიმღები გახდა ქვემო ქართლი.

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული მხარეებია. სამცხე-ჯავახეთი უპირატესად სომხურია, განსაკუთრებით ჯავახეთის რეგიონი (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) ალაგ-ალაგ რუსი დუხობორების, ბერძნების და მკვიდრი ქართველების მცირერიცხოვანი დასახლებებით. ქვემო ქართლის სამ რაიონში (მარნეულში,

¹ ეს შეფასება ეფუძნება შემდეგ დაანგარიშებებს: თ. ფუტკარაძის მიხედვით (იხ. ქვემოთ), 1981-1988 წლებში აჭარიდან მთლიანობაში 1,572-1,600 ოჯახი ჩამოსახლეს. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების გამგებების მოწოდებული სტატისტიკური მასალების მიხედვით, 1989 წლიდან დღემდე აჭარიდან დაახლოებით 6,151 ოჯახი გადაასახლეს, ლ. ნიჟარაძის მიხედვით (იხ. ქვემოთ) კი სვანეთიდან, 1987 წლიდან მოყოლებული, ეკომიგრანტთა სახელმწიფო პროგრამით 2,620 ოჯახი ჩამოსახლეს. მთლიანობაში ამ ციფრების ჯამი 10,857 - 10,885 ოჯახს შეადგენს.

თამაზ ფუტკარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები*, ბათუმი: ბათუმის უნივერსიტეტი, 2006, გვ.72.

ლუარა ნიჟარაძე, *სვანების მიგრაცია და მისი განსახლების არეალები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1999 გვ.14-15.

ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონის გამგებების მიერ მოწოდებული მონაცემები იხილეთ ცხრილ 6-ში.

² 1994 წლამდე სამცხე და ჯავახეთი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული რეგიონები იყო.

დმანისსა და ბოლნისში) ეთნიკური აზერბაიჯანული მოსახლეობა დომინირებს, ხოლო წალკის რაიონი სომხებით, ქართველებითა და ბერძნებითაა დასახლებული. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკომიგრანტების ტალღა ხშირად დაძაბულობას იწვევს. ადგილობრივი სოციალური ნორმების არმცოდნე, განსხვავებული სოციალური და კულტურული საწყისების მქონე ეკომიგრანტები ადგილობრივ თემთან ინტეგრაციის გზაზე ხშირად სერიოზულ პრობლემებს აწვდებიან და არაჯეროვნად შემზადებულ მიმღებ თემში ახალჩამოსახლებულთა მიმართ ეჭვები და უნდობლობა ჩნდება. შესაბამისად, ადგილობრივებსა და ახალჩამოსახლებულებს შორის ცუდი ურთიერთობები ვითარდება.

ამ დოკუმენტს ორმაგი ამოცანა აკისრია. ერთი მხრივ, იგი აღწერს და ინფორმაციას იძლევა ჩამოსახლების პროცესებისა და პოლიტიკის (ან ასეთის არარსებობის) შესახებ, რომელიც ეკოლოგიურ მიგრანტთა განსახლების პროცესს წარმართავდა (და წარმართავს). მისი მიზანია ჩამოსახლების პროცესთან დაკავშირებული ძალზე საჭირო მონაცემების მიწოდება მკითხველისათვის და გადასახლების პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა. დოკუმენტი შეიცავს აგრეთვე რეკომენდაციებს ეკოლოგიური მიგრაციის მენეჯმენტის პოლიტიკის გააქტიურებისათვის, მეორე მხრივ კი მიზნად ისახავს იმის განხილვას, თუ რატომ წარმოიშობა დაძაბულობა ჩასახლებულთა ზოგიერთ (არა ყველა) მიმღებ თემში, განსაკუთრებით კი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ეს დაძაბულობა ჩასახლების პროცესის მენეჯმენტის გაუმჯობესებით.

საქართველოში ეკომიგრანტთა მდგომარეობის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს. ამ საკითხს რატომღაც გვერდს უვლის როგორც საქართველოს აკადემიური და პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ისე საერთაშორისო საზოგადოება. ამიტომ ამ მცირეოდენი ლიტერატურული პირველწყაროების შესწავლის გარდა, მოცემული დოკუმენტი ეფუძნება მთავრობის იმ წარმომადგენელთა, მეცნიერთა და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა ინტერვიუებს, ვინც დაინტერესებულია და შესწავლილი აქვს მოცემული საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერვიუებს და სავლელ კვლევებს როგორც სვანეთსა და აჭარაში, საიდანაც

ჩამოსახლეს ეკომიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე ინტერვიუებს და სავსე კვლევებს ეკომიგრანტთა დასახლების ადგილებში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. დოკუმენტის პირველ ნაწილში მიმოვიხილავთ საბჭოთა პერიოდში, გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის დროს გატარებულ სამთავრობო ღონისძიებებსა და პროგრამებს, მეორე ნაწილს დავუთმობთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩამოსახლების პროცესს, დასკვნით ნაწილში კი განვიხილავთ, თუ რამ გამოიწვია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში სიტუაციის დაბაბვა ეკომიგრანტთა ჩამოსახლების შემდეგ.

ნათელია, რომ მთავრობის პოლიტიკა და ეკოგანსახლების მენეჯმენტი ბოლო 25 წლის განმავლობაში, სულ მცირე, არამყარი იყო, სუსტად დაგეგმილი და ცალკეულ ჩარევებზე დაფუძნებული, თუ სრულებით უგულვებელყოფილი არა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ეკომიგრაციის პოლიტიკის არარსებობა უარყოფითად აისახა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ეთნოპოლიტიკურ სიატუაციაზე. ამან თავისი წილი „ნავთი დაასხა“ დაბაბულობის ზრდას იმ რეგიონებში, სადაც ურთიერთობა ხელისუფლებასა და ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობებს შორის ისედაც შორს იყო ჰარმონიულისგან.

საქართველომ 2005 წლის დეკემბერში ევროსაბჭოს ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის (FCNM) რატიფიკაციით ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისა და დაცვისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ასე რომ, განსახლებისა და შიდა მიგრაციის გააზრებული პოლიტიკის შემუშავება საქართველოში საერთაშორისო საზოგადოების დიდი ინტერესის საგანი გახდა. ეკომიგრანტები აჭარიდან და სვანეთიდან, მართალია, ქართველები არიან და ეროვნულ უმცირესობებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ისინი იზოლირებული მთიანი რეგიონის მოსახლეობას მიეკუთვნებიან, რომლებსაც ფესვებს სწყვეტენ და საქართველოს სხვა, მათთვის სრულიად განსხვავებულ მხარეში, ხშირად სრულებით განსხვავებული კულტურის მქონე არაქართული ეთნიკური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში ასახლებენ. ამასთანავე, ეს ხდება იმ პერიოდში, როდესაც მთლიანად ქვეყანა უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. ეკომიგრანტები დაუცველნი არიან და სპეციალური ზომების მიღებაა საჭირო იმისათვის, რომ ისინი უზრუნველყოფილ იყვნენ საცხოვრებელი პირობებით და

მოხდეს მათი ინტეგრირება მიმღებ თემში. ამდენადვე მნიშვნელოვანია მათი მიმღები – მკვიდრი მოსახლეობის – უფლებების დაცვა, რომლებსაც ხშირად სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები (და არა მხოლოდ ისინი) წარმოადგენენ. ეკომიგრანტების ჩამოსახლებას ეთნიკურად არაქართულ რეგიონებში მიმღები მოსახლეობის უფლებების დარღვევა და უკმაყოფილება მოჰყვება.

ეკოლოგიური მიზეზით გადაადგილების პრობლემების გადაწყვეტის მარტივი გზები არ არსებობს. მთავრობის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დაბალანსებისაკენ: ერთი მხრივ, მთავრობა ეკომიგრანტებს უნდა დაეხმაროს საცხოვრებლისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პოვნაში; ხოლო მეორე მხრივ, თუ ეკომიგრანტების ჩასახლება უპირატესად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოხდება, ხელისუფლებამ ამ პოლიტიკის გატარება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს. ეკომიგრანტებთან დაკავშირებით განსახლების მოდელების პროექტირებისა და ყველა მონაწილე მხარესთან დიალოგის მექანიზმების მეშვეობით რეალური პოლიტიკის შემუშავება უდავოდ მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი გახდება მთავრობას, ეკომიგრანტებსა და მათ მიმღებ ადგილობრივ მოსახლეობას შორის სრული კონსენსუსის მისაღწევად და, შედეგად, მიმღებ რეგიონებში დაძლეული იქნება დაძაბულობა და კონფლიქტები. ვიმედოვნებთ, რომ მოცემული ანგარიშით შევძლებთ, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალი მოსახლეობის განსახლებასთან დაკავშირებული შეთანხმებული პოლიტიკის შემუშავებაში სამთავრობო სტრუქტურებს, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის დიალოგსა და განხილვებში. ეს თანაბრად წაადგება ჩასახლებულ მოსახლეობას და მიმღებ თემს, ხოლო მომავალში – საქართველოში რეგიონული ინტეგრაციის პროცესსაც.

განსახლება და სახელმწიფო პროგრამები

განსახლება 1980 წლამდე

საქართველოში, როგორც მთავორიან ქვეყანაში, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა მთიანი რეგიონებიდან ბარში ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი მიგრაცია. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის განმავლობაში ისეთი რეგიონებიდან,

როგორებიცაა აჭარა, სვანეთი, ზემო სამეგრელო, ლეჩხუმი, რაჭა, ზემო იმერეთი, ხევი, მთიულეთი, ხევსურეთი და თუშეთი, ასიათასობით მთიელი ჩამოსახლდა ან ჩამოსახლეს ბარის რეგიონებში. ამ პროცესმა კოლექტივიზაციის შედეგად კიდევ უფრო მოიკრიბა ძალა 1920-იანი წლების მიწურულს და 1950-იან წლებამდე გასტანა. ჩამოსახლებულთა უმრავლესობა ბარში მუდმივად დასახლდა, თუმცა ზოგიერთი ახერხებდა სეზონური მიგრაციის გაგრძელებას³. კოლექტივიზაციამ ღრმა გავლენა მოახდინა სოფლის ცხოვრებაზე და საქართველოს მთის მოსახლეობის ყოფაზე. მთის მოსახლეობა ადვილად ვერ შეეგუა კოლექტივიზაციას, ასე რომ, მთის რეგიონები რთულად საკონტროლებელი და სამართავი იყო საბჭოთა რეჟიმისათვის. ეს პრობლემა საბჭოთა რეჟიმმა 1940-1950-იან წლებში მთის გლეხკაცობის ბარში მასობრივი, ძალდატანებითი და ნახევრად ნებაყოფლობითი ჩამოსახლებით გადაწყვიტა. მაგალითად, 1940-იან წლებში ხევსურეთის თითქმის მთელი მოსახლეობა გადაასახლეს და რეგიონი პრაქტიკულად დაიცალა. ეს არ შეეხო მხოლოდ იმ მუშახელს, რომელიც კოლმეურნეობებში და რამდენიმე სამრეწველო პროექტზე სამუშაოდ იყო საჭირო.⁴ 1989 წლისთვის ისეთი რეგიონების მოსახლეობა, როგორებიცაა თუშეთი, ფშავი, რაჭა-ლეჩხუმი და შიდა ქართლის მთიანი ნაწილი, შემცირდა და მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის ნახევარზე ნაკლები შეადგინა.⁵

კოლექტივიზაციის პროცესში საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო, შეექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი სისტემა მთის მცირემიწიანი რეგიონებიდან მოსახლეობის ისეთ რეგიონებში ჩამოსახლებით, როგორებიცაა ქვემო ქართლი, გარე კახეთი, აფხაზეთი და მდინარე რიონის აუზი, სადაც მიწა მანამდე არ მუშავდებოდა. შედეგად, ზემოსხენებულმა რეგიონებმა მიიღეს მთიანი მხარეებიდან

³ ასე მოხდა თუშების შემთხვევაში, რომლებიც კომპაქტურად ჩაასახლეს კახეთში, ალვანის ველის სამ სოფელში. ბევრი მათგანი დღემდე ადის ზაფხულობით თუშეთში. ხევსურების ნაწილიც, რომლებიც მეტწილად თბილისისა და რუსთავის გარშემო დასახლდნენ, ინარჩუნებს სეზონური მიგრაციის ჩვეულებას.

⁴ 1940-1950-იანი წლების რეპრესიული პოლიტიკა გარკვეულწილად განმეორდა 1970-იანების ბლოს და 1980-იანების დასაწყისში. ისტორიკოსმა რონალდ გრიგორ სუნიმ აღწერა, როგორ განავითარა დისიდენტი ნაციონალისტების მოთხოვნების გათვალისწინებით სოციალისტურმა მთავრობამ უკვე 1970-იანი წლების ბოლოს მოსახლეობის განსახლების ერთიანი სტრატეგია და შეიმუშავა საზოგადოებრივი აზრის კვლევის სისტემა, რომელიც გარკვეულწილად გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. ერთმა ასეთმა კვლევამ გამოავლინა, რომ მთიდან იძულებით მიგრირებულთა დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო გადასახლების გამო და ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, მთის ზოგიერთი სოფელი აღედგინა. რონალდ გრიგორ სუნი, *ქართველი ერის ფორმირება* [The Making of the Georgian Nation] (Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1994), გვ. 309-310.

⁵ მაგალითად, შიდა ქართლის – ჯავისა და ახალგორის მთიანი რაიონების მოსახლეობა 34.7%-ით შემცირდა 1921-დან 1989 წლამდე. დაახლოებით 114 სოფელი დაცარიელდა. ამავე პერიოდში სამი ახალი სოფელი დაფუძნდა ამავე რაიონების დაბლობ ნაწილებში. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართში ცხრილი 7. ვახტანგ ჯაოშვილი *საქართველოს მოსახლეობა*, თბილისი, მეცნიერება, 1996წ. გვ 229-230.

ჩამოსახლებულები. ამავე პერიოდში, 1940-იან წლებში, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები, უპირატესად გერმანელები (1941), მესხები (1944) და პონტოელი ბერძნები (1949) კოლექტიურად გაასახლეს საქართველოდან. მთლიანობაში დაახლოებით 170,000 ადამიანი იქნა დეპორტირებული საქართველოდან – საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებულიდან დეპორტირებულ მილიონობით ადამიანთან ერთად. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, მთავრობას არ უჭირდა მცირემიწიანი რეგიონებიდან მიგრირებული მოსახლეობის დასახლებლად მიწის პოვნა. ასეთი რეგიონები კი, სადაც მოსახლეობას მიწა ცოტა ჰქონდა, იყო აჭარა, სვანეთი, ზემო იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი და ხევსურეთი.⁶ ერთ-ერთი შეფასების მიხედვით, ქვემო ქართლის 12 ყოფილ გერმანულ სოფელში რაჭიდან, ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან 2,390 ახალი კომლი ჩამოსახლეს მხოლოდ 1941 წლის შემოდგომაზე; 1945 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში იმერეთიდან და ქართლიდან 5,500 ოჯახი დაასახლეს მესხეთში; ხოლო 1946-50 წლებში აფხაზეთში (საიდანაც ბერძნები იქნენ დეპორტირებულნი) 4,200-ზე მეტი ოჯახი ჩაასახლეს სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან. მთლიანობაში 1941-დან 1950 წლამდე პერიოდში მესხეთში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში ჩაასახლეს დაახლოებით 60,000 ადამიანი.⁷ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში, და მათ შორის საქართველოშიც, მნიშვნელოვნად იმატა ინდუსტრიალიზაციამ. ამან გამოიწვია საქართველოს მთიანი რეგიონებიდან ბარში მიგრანტთა ნაკადის ხელახალი ზრდა (როგორც იძულებით, ისე ნებაყოფლობით).

ეკომიგრანტების ორგანიზებული განსახლება 1980-იან წლებში

ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა პირველი ორგანიზებული გადასახლება 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1981-83 წლებში, მთავრობის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში (კახეთი), ხობის (სამეგრელო), ასპინძისა და ადიგენის რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი) და კასპის რაიონში (შიდა ქართლი) მაღალმთიანი აჭარიდან 1,010 ოჯახის ჩასახლება განისაზღვრა.⁸

⁶ მაყვალა ნათმელიძე, *დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში*, თბილისი: CIPPD 2002, გვ. 86.

⁷ ვახტანგ ჯაოშვილი *საქართველოს მოსახლეობა...*, გვ 224-26.

⁸ თამაზ ფუტყარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...*, გვ.72.

გადასახლების ეს პროგრამები კარგად ორგანიზებული და ჯეროვნად დაგეგმილი იყო. ხელისუფლების მხრიდან დაზარალებული ეკომიგრანტებისათვის ხდებოდა სესხის გამოყოფა – ერთ ოჯახზე 4,500 საბჭოთა (რუსული) რუბლის⁹ ოდენობით, საიდანაც მიგრანტი ოჯახები ვალდებულნი იყვნენ, მხოლოდ 45% დაებრუნებინათ. ეკომიგრანტები დასახლდნენ ასპინძის რაიონისა და ადიგენის რაიონის რამდენიმე სოფელში, სადაც ისინი სახელმწიფო სესხის თანხებით ახალი სახლების აშენებას გეგმავდნენ. ფინანსურ დახმარებასთან ერთად სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებდა სახლებისათვის საჭირო საშენი მასალებისა და მოწყობილობების ტრანსპორტირებას. მეტიც, ეკომიგრანტებს განსახლების ადგილებში სამუშაოზე მიღების უპირატესი უფლება ენიჭებოდათ. საბჭოთა პერიოდში ეკომიგრანტებისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის მინიმუმი 0.25 ჰექტარს შეადგენდა, თუმცა რეალურად ბევრი ოჯახი გაცილებით მეტს – 1.25 ჰექტარამდე ნაკვეთს იღებდა.

1987 წელს სვანეთი ბოლო წლების ყველაზე მძიმე ზამთრის მოწმე გახდა. იანვარში რამდენიმე სოფელი 3-დან 5 მეტრამდე თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა. თოვლის სიმაღლე იმდენად დიდი იყო, რომ დაახლოებით 2,000 სახლი ზეავეში მოჰყვა, ხოლო 85 ადამიანი გარდაიცვალა. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიისა (ზემო სვანეთი) და ლენტეხის (ქვემო სვანეთი) რაიონები. გზები ჩაიკეტა, სოფლებთან კავშირი გაწყდა, კომუნიკაციის ყველა საშუალება მწყობრიდან გამოვიდა. რისკის ზონიდან 16,000 ადამიანი იქნა ევაკუირებული.¹⁰

სტიქიური უბედურების მომდევნო რამდენიმე დღეში, 1987 წლის 12 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება “საქართველოს სსრ-ში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის დახმარების შესახებ”. დადგენილება ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარტიის წარმომადგენლებს ავალებდა ქმედითი ზომების მიღებას და საცხოვრებელი ადგილის პრობლემების გადაჭრას. იმ დროისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დახმარების სახით

⁹ იმ დროისთვის რუსული რუბლისა და აშშ დოლარის შეფარდება დაახლოებით 1:1 იყო.

¹⁰ სამთავრობო კომისიამ დაადგინა, რომ მთელი კუთვნილი ქონება დაკარგა 409 ოჯახმა, 876 ოჯახური მეურნეობა ნაწილობრივ იყო დაზიანებული, ხოლო 3,468 ოჯახი გადასახლებას ექვემდებარებოდა, თუმცა მათი სახლები არ იყო დანგრეული. ლუარა ნიჟარაძე, *სვანების მიგრაცია და მიხი...*, გვ. 13-17.

საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და ხელახლა აგებისათვის, თითქმის 65 მილიონი რუბლი გამოყო.

სვანეთში მომხდარი სტიქიური უბედურების საპასუხოდ მთავრობამ გამოსცა დადგენილებები, რომელთა თანახმად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ახალი სახლები უნდა აეგოთ. დამატებით მიწა გამოყვეს აგრარული დანიშნულებისათვისაც.¹¹ ხელისუფლებამ დაახლოებით 300 მილიონი რუბლი გამოყო სახლების მშენებლობისათვის და ანგარიშები გაუხსნა ადგილნაცვალ ოჯახებს. გარდა ამისა, საქართველოში და მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით კერძო პირთა, კომპანიათა და ორგანიზაციათა მიერ გაღებულმა შემოწირულობებმა 74 მილიონ რუბლს მიაღწია.¹² შედეგად, 5,700 სახლის აშენება დაიგეგმა და მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ათამდე სამშენებლო ფირმამ ითავა.¹³ დაახლოებით 2,500 ოჯახი ზემო და ქვემო სვანეთიდან საცხოვრებლად გაანაწილეს მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, საგარეჯოს, გარდაბნის, დმანისის, კასპის, წყალტუბოს, ხონის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებში.

1989 წლის აპრილში სტიქიური უბედურება აჭარას დაატყდა თავს. მეწყერმა წალეკა მაღალმთიანი აჭარა, კერძოდ კი, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების სოფლები, რის შედეგადაც 5,657 ოჯახი (24,287 ადამიანი) დაზარალდა.¹⁴ საპასუხოდ, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლება, მათ შორის ზღვისპირა აჭარაში და გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთისა და ჯავახეთის რეგიონებში. მთავრობამ დაიწყო გადასახლების პროგრამა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანხები გამოყო ახალი სახლების მშენებლობისათვის. საცხოვრებელი უზრუნველყოფის გარდა, პროგრამა აჭარიდან ადგილნაცვალი მოსახლეობისათვის ითვალისწინებდა გრძელვადიან სესხებსაც, რათა მათ თავად შეეძინათ ახალი სახლები. მაგრამ, ეს სტიქიური უბედურება მაშინ მოხდა, როცა

¹¹ მთავრობის რეზოლუცია № 2, 3, 4, 1987წ.

¹² გამოყოფილი იქნა საკმარისი ფინანსები, რომ მთავრობა ადგილნაცვალ ოჯახებს დახმარებოდა. თითოეულ ოჯახს 4,000 რუბლს ან ოჯახის თითოეულ წევრს 500 რუბლს აძლევდნენ. მათ ასევე უფასოდ უზრუნველყოფდნენ ავეჯით და სამზარეულოს მოწყობილობებით. გარდა ამისა, მათ შეეძლოთ აეღოთ შედავათიანი უპროცენტო სესხი 4,000 რუბლის ოდენობით.

¹³ მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო სააგენტო, სტიქია და ადამიანები [Стихия и люди], თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1987, გვ. 235.

¹⁴ 44 სახლი მთლიანად დაინგრა, ხოლო 1,152 დაზიანდა. გარდა ამისა, 3,250 პა. მიწა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოუსადეგარი გახდა. თამაზ ფუტკარაძე აჭარის მოსახლეობის მიგრაციის..., გვ. 75.

საბჭოთა კავშირი უკვე დაშლის ზღვარზე იდგა. ასე რომ, პროცესი სათანადოდ არ გაკონტროლდა. აჭარაში უშუალოდ სტიქიური უბედურების შემდგომ გეოლოგიური დასკვნების გაცემის პროცესი კორუფციის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა. შედეგად, განსახლების პროგრამის ფარგლებში ბევრმა ისეთმა ადამიანმა მიიღო გადასახლების უფლება, ვისაც უშუალოდ არ შეხებია სტიქია და უბრალოდ მიწის და ქონების მიღება სურდა.¹⁵ ალბათ ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას უკუმიგრაციის ის მაღალი მაჩვენებლები, რაც გადასახლების შემდგომ წლებში დაფიქსირდა (იხ. გვ. 33). ბევრ ახალდასახლებულს ჰქონდა არჩევანი, დაბრუნებულიყო საკუთარ სახლში, აჭარაში, თუკი ვერ შეძლებდა, კარგად მორგებოდა ახალ საცხოვრებელ გარემოს. მეტიც, მათ შეეძლოთ ეკონომიკური სარგებელი მიეღოთ ახალდასახლების ადგილებში მათი არსებული ქონების ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გაყიდვის ან გაქირავების შედეგად. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რაც პოტენციური აჭარელი ეკომიგრანტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ დანიშნულების ადგილას, თეთრიწყაროს რაიონში მოხდა. ეს რაიონი მდიდარია სახნავ-სათესი სავარგულებით და საძოვრებით. სოფელ შავსაყდარში 20 სახლი ააშენეს ეკომიგრანტი ოჯახებისათვის, რომლებიც სოფელში რეალურად ჩამოვიდნენ, მაგრამ ორ-სამ წელიწადში მათ გაყიდეს ან უბრალოდ დატოვეს ეს სახლები. ახალი სახლები კი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იყიდეს ან დაიკავეს.

სახელმწიფო პროგრამის საწყის ეტაპზე აჭარიდან ჩამოსახლებულმა 943-მა ოჯახმა შეძლო სახლის ყიდვა სახელმწიფო სესხით. სახელმწიფო პროგრამა აგრეთვე გულისხმობდა სრულიად ახალი დასახლებების მშენებლობას, სრულყოფილი ინფრასტრუქტურითა და ინსტიტუციებით; გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხების გაცემას ადგილნაცვალი მოსახლეობისათვის, რათა მათ საკუთარი ძალებით შეძლებოდათ სახლების აშენება; ასევე ადგილნაცვალი პირების შესახლებას ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ მიტოვებულ სახლებში.¹⁶

სტიქიური უბედურებების მსხვერპლთ, ჩასახლების რაიონებში სახლები უფასოდ ეძლეოდათ.¹⁷ ყოველი ეკომიგრანტი ოჯახი იღებდა 0.25 ჰ. საკარმიდამო და 0.25 ჰ.

¹⁵ ინტერვიუ ხულოს რაიონის გამგეობის ლტოლვილთა და განსახლებისა განყოფილების უფროს გურამ კახაძესთან, 6 ოქტომბერი, 2006 წ.
¹⁶ თამაზ ფუტკარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...*, გვ. 75-77.
¹⁷ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 იანვრის № 14-რ დადგენილების მიხედვით.

სახნავ-სათეს მიწის ნაკვეთს. გარდა ამისა, ეკომიგრანტებს საშუალება ჰქონდათ, დამატებით, იჯარით აეღოთ მიწის ნაკვეთი. მთავრობა ასევე თითოეულ ოჯახს დახმარების სახით 4,000 რუბლს და ავეჯს აძლევდა. გარდა ამისა, ოჯახებს 4,000 რუბლის ოდენობის უპროცენტო სესხი ეძლეოდათ საქონლის სადგომებისა თუ სხვა დანიშნულების სათავსოების ასაგებად.¹⁸

ეკომიგრანტებისათვის განკუთვნილ ახალ სახლებში ოთახების რაოდენობა ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა. ჩამოსახლების ადრეულ ეტაპებზე ხელისუფლება თვლიდა, რომ ერთი სოფლიდან თუ ქალაქიდან გადმოსახლებული ოჯახები ახალ სოფლებში ერთად უნდა დასახლებულიყვნენ. მაგალითად, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშიდან ჩამოსახლებული ოჯახები ერთად დაასახლეს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ დურნუკში, რომელსაც სახელი შეეცვალა და ახალი ხაიში ეწოდა. სახელმწიფოს მიერ აშენებული სახლები ორი ტიპისაა: ქვემო ქართლში აშენებული სახლები, ჩვეულებრივ, ორსართულიანია 6-10 ოთახითა და აივნით. ქვემო ქართლისაგან განსხვავებით, ჯავახეთსა და საქართველოს სხვა ნაწილებში სახლები ცუდი პროექტით აშენდა – განსხვავებულ დონეებზე განლაგებული ოთახები შიდა კიბეებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ხელისუფლება ცდილობდა, მშენებლობის პროცესის ღირებულება შემცირებინა არსებული პროექტების სტრუქტურის დარღვევისა და უკვე დაწყებულ სახლებში მთლიანი საცხოვრებელი ფართის შემცირების ხარჯზე. სახლის მშენებლობის ღირებულებამ დაახლოებით 45,000-55,000 რუბლს მიაღწია. სახლების ხარისხი საკაოდ დაბალი იყო და დღეს – დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ – შენობები დაბზარულია და ბევრ მათგანს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია სჭირდება.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშის (2006) მიხედვით, 1980-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს 17 რაიონში 55 ახალი სოფლის აშენება იყო განსაზღვრული. მთლიანობაში 5,094 სახლი უნდა აშენებულიყო, თუმცა ფაქტობრივად მხოლოდ 3,090 აშენდა, რომელთაგანაც 2,723 დასახლებულია, ხოლო დარჩენილი 367 შენობა ან ცარიელია, ან სხვების მიერ არის დაკავებული. 280 დაგეგმილი სახლის მშენებლობა საერთოდ არ დაწყებულა, ხოლო 1,724 სახლი დაუსრულებელი დარჩა.

¹⁸ იგივე

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სვანეთიდან და აჭარიდან ჩამოსახლებულ ეკომიგრანტებს სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი სახლების გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ 25 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ახალი სახლების რეგისტრაცია ეკომიგრანტების სახელზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ოჯახის ყველა წევრი ამოეწერებოდა თავისი ძველი საცხოვრებელი ადგილიდან, რომელიც გეოლოგიური თუ ჰიდრომეტეოროლოგიური დასკვნების საფუძველზე საცხოვრებლად უვარგისად იქნა მიჩნეული. თუმცა, ამ საკმაოდ რაციონალურ წინაპირობას სათანადო ყურადღება არ მიექცა. როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე შევარდნაძის მმართველობის დროს, ეკომიგრანტებს საშუალება ჰქონდათ, თავის ძველ სახლებს დაჰბრუნებოდნენ; ამდენად, რიგ შემთხვევებში მათ ორმაგი რეგისტრაცია ჰქონდათ და უკან დაბრუნებულთ ხელახლა შეეძლოთ დახმარების თხოვნა.¹⁹

1991 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სუსტი ეკონომიკური და არამყარი პოლიტიკური სიტუაცია სახელმწიფოს იმის შესაძლებლობას არ აძლევდა, რომ განსახლების გეგმები განხორციელებულიყო. მეტიც, ხელისუფლებას არ შეეძლო იმ სახლების მშენებლობის დასრულება, რომლებიც უკვე დაწყებული იყო და რომლებსაც ახალი მფლობელები ელოდნენ. ამან ეკომიგრანტებს აშკარად სერიოზული პრობლემები შეუქმნა; პრობლემები, რომლებსაც კიდევ უფრო აღრმავებდა სუსტი კოორდინაცია და ინფორმაციის თითქმის სრული არარსებობა. ბევრმა მიგრანტმა მხოლოდ დასახლების ახალ ადგილებში ჩასვლისას აღმოაჩინა, რომ მათი სახლები ან დასრულებული არ იყო, ან საერთოდ არ იყო აშენებული. მთავრობის დახმარების მოლოდინში, ზოგჯერ ხელისუფალთა მიერ დაიმედებული მრავალი ოჯახი ახალი განსახლების ადგილებში რჩებოდა და ან თვეობით თუ წლებით დროებით თავშესაფარში ცხოვრობდა, ან საკუთარი სახსრებით ქირაობდა საცხოვრებელ ფართს. ასეთ პირობებში ბევრმა ეკომიგრანტმა საბოლოოდ ყველანაირი იმედი დაკარგა და აჭარის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა ნათესავებთან. რადგან არ არსებობდა ეკომიგრანტების განსახლების რაიმე კონკრეტული გეგმა ან სახელმწიფო პროგრამა და მიმდებ რეგიონებს კი ზემოხსენებული პრობლემები ჰქონდათ სახლებთან დაკავშირებით, მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა მრავალი ეკომიგრანტის უკან დაბრუნების

¹⁹ინტერვიუ ლენტეხის რაიონის გამგებელ სოსო ქურასბედიანთან, 5 ივნისი, 2006 წ.

ტენდენცია. სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან იგნორირების პოზიციამ ეკომიგრანტებში იმედგაცრუება წარმოშვა.²⁰

დახმარება არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ქართველმა ეროვნულმა აქტივისტებმა რამდენიმე ორგანიზაცია დააფუძნეს. ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი ლიდერის, მერაბ კოსტავას ინიციატივით დაარსდა 1989 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.²¹ ფონდი შეიქნა როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია. 1989 წლის ოქტომბერში – მერაბ კოსტავას გარდაცვალების შემდეგ – ფონდს მისი მთავარი დამაარსებლის სახელი დაერქვა: მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი.²²

²⁰ რაც შეეხება აჭარას, მთლიანობაში დაახლოებით 4,343 ოჯახი იქნა გადმოსახლებული ხულოს რაიონიდან, 1,696 შუახევის რაიონიდან და 112 ქედის რაიონიდან. მათგან, 1989 წლიდან მოყოლებული, ხულოში დაბრუნდა 534 ოჯახი, შუახევში – 277 ოჯახი, ხოლო ქედაში – 35 ოჯახი (ქედისა და შუახევის რაიონების გამგეობათა მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით). დაბრუნებულთა უმეტესობამ დატოვა სამეგრელოს, იმერეთის, გურიის რეგიონები, ასევე ახალქალაქი, გარდაბანი და მარნეული (ქვემო ქართლი). საუბრებმა აჭარაში დაბრუნებულ მიგრანტებთან და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, აჭარაში მიგრაციის საკითხების ექსპერტ პროფესორ თამაზ ფუტყარაძესთან გვიჩვენა, რომ ეთნიკურად ქართული რეგიონებიდან – სამეგრელოდან, იმერეთიდან და გურიიდან 2-3 წლის განმავლობაში ეკომიგრანტთა უკან დაბრუნების მიზეზები შემდეგია: 1) სახლები, რომელთა აშენების პირობა ხელისუფლებამ 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში დადო, არ დასრულდა. ახალ რეგიონებში ჩასახლებული ეკომიგრანტები იძულებული იყვნენ, დროებით საცხოვრებელში ეცხოვრათ მთავრობის მიერ მშენებლობის დასრულების იმედით (რაც რეალურად არ განხორციელდა, და მიგრანტებმა, რომლებიც უკან არ დაბრუნდნენ, საკუთარი ძალებით დაასრულეს სახლების მშენებლობა). 2) დასაველთ საქართველოს რეგიონების, გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს ეკონომიკა მეტწილად ციტრუსებისა და ჩაის მასშტაბურ მოყვანაზე იყო დამყარებული. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლას მრეწველობის ბევრი დარგის რღვევა მოჰყვა და მათ შორის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებისაც, როგორებიც მეციტრუსეობა და მეჩაიეობა იყო. შედეგად, მარტო ეკომიგრანტები კი არა, არამედ მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილიც უმუშევარი და სიღატაკემდე მიყვანილი აღმოჩნდა. დღემდე გურია, სამეგრელო და ნაწილობრივ იმერეთიც საქართველოს უღარიბეს რეგიონებადაა მიჩნეული. 3) ქვეყანა ჩათრეული იყო ეთნიკურ და სამოქალაქო ომებში, რომლის ერთ-ერთი ეპიცენტრი სწორედ აფხაზეთის მოსაზღვრე სამეგრელო იყო. ასე რომ, აუტანელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა ბევრი ეკომიგრანტი აიძულა, მშობლიურ მხარეში დაბრუნებულიყო (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ცხრილი 5).

1989-1998 წლებში ხულოს რაიონში დაბრუნებულ და 1987-2006 წლებში შუახევში დაბრუნებულ ეკომიგრანტთა შესახებ მონაცემები მოგვაწოდეს ხულოსა და შუახევის რაიონების მიგრაციისა და ვეტერანთა საქმეების განყოფილებებმა (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი 5).

²¹ მიიღეს როგორც შესწორება №1 საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის საკრებულოს სხდომაზე. (1989წ. 1 სექტემბერი) და რეგისტრირებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №528 დადგენილებით (1 ნოემბერი, 1989 წ.).

²² კოსტავას ფონდის კიდევ ერთი დამფუძნებელი იყო ვაჟა ადამია, რომელიც 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი გახდა და კვლავ პარლამენტის წევრი იყო 1992-1994 წლებში. სხვა დამფუძნებლები იყვნენ პოლიტიკოსები და ეროვნული აქტივისტები, რომლებიც თავდაპირველად მრგვალ მაგიდასთან ასოცირდებოდნენ (გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკი), მაგრამ 1991 წლის აგვისტოში გაემიჯნნენ გამსახურდიას.

ფონდის წესდებაში ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი მიწას უნაწილებდა ქართველ მოსახლეობას.²³ ფონდის მიზანი იყო „დახმარებოდა საქართველოს რეგიონებს, სადაც რთული დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური მდგომარეობა იყო; დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოეყვანა ქვეყანა; ეწარმოებინა ქრისტიანული, საქველმოქმედო საქმიანობა და ეზრუნა ქვრივებზე, ობლებზე, უსახსრო და ოჯახის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ მოხუცებულებზე“.²⁴

ფონდის ეროვნული პროგრამისა და 1990-იანების დასაწყისის პოლიტიკური ცხოვრების კონტექსტში ფრაზა “დემოგრაფიული თვალსაზრისით პრობლემური რეგიონები” გულისხმობდა რეგიონებს, დასახლებულს უპირატესად ეროვნული უმცირესობებით, ანუ აფხაზეთს, ჯავახეთს და ქვემო ქართლს. რადგან ეს რეგიონები საქართველოს გარე საზღვრის გასწვრივ მდებარეობს, ეროვნული მოღვაწეები კრიტიკული მნიშვნელობის საკითხად თვლიდნენ ამ ტერიტორიებზე ეთნიკურად ქართული მოსახლეობის წარმომადგენლობის გაძლიერებას, რათა გაენეიტრალებინათ მეზობელი სახელმწიფოების, მაგალითად, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეტენზიები ამ ტერიტორიებზე და თავიდან აეცილებინათ სეპარატისტული ტენდენციები.

ამ პოლიტიკური არეულობის პერიოდში საქართველოში ბევრი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია დაარსდა. ეს ოპოზიციური ძალები ხშირად ზუსტად განსაზღვრული მიზნით იქმნებოდა, მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად ან ისტორიული ძეგლებისა და შენობების დაცვის მიზნით.²⁵ მზარდი ეროვნული მოძრაობის საერთო თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ ეთნიკური ქართველები ქვეყნის

²³ მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი. 1989 წლის 1 სექტემბრის წესდების მიხედვით, ფონდის მთავარი ამოცანები და მიზნები იყო: ა) საქართველოს ეროვნული აღორძინების ხელშეწყობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) მიწის ფონდის შექმნა, რომელიც ფონდს გადაეცემოდა შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით; გ) სახლების ფონდის შექმნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და ასევე მოსახლეობისაგან სახლების შესყიდვის მეშვეობით და სახლების აშენების გზით; დ) დემოგრაფიული თვალსაზრისით პრობლემური რეგიონების, ბუნებრივი კატაკლიზმების მსხვერპლთა, უპატრონო მოხუცებულთა, რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მყოფ სტუდენტთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება.

²⁴ იგივე.

²⁵ მაგალითად, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანა იყო აზერბაიჯანის საზღვართან განლაგებული დაეით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვა. ამ ისტორიულ ძეგლს საფრთხეს უქმნიდა მის მახლობლად განლაგებულ სამხედრო პოლიგონზე მიმდინარე სამხედრო წვრთნები, რადგან ჭურვებს ხშირად კომპლექსს უშენდნენ. ვანდალიზმის ასეთმა აქტებმა სხვადასხვა ეროვნული პოლიტიკური პარტიების მობილიზაცია გამოიწვია.

ყველა მხარეში არ წარმოადგენდნენ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, საქართველოს განვითარების უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი იყო. რამდენიმე პოლიტიკური პარტია ამ საკითხის გადაჭრას იურიდიული პირებისა და ფონდების მეშვეობით ცდილობდა, რომელთა დახმარებითაც ფინანსურ რესურსებს იზიდავდნენ. სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები ზეწოლას ახდენდნენ მთავრობაზე, რომ მისგან ადვილად მიეღოთ დაფინანსება და ამავე დროს ზეგავლენასაც ახდენდნენ მის პოლიტიკაზე.²⁶ მართლაც, მერაბ კოსტავას ფონდი ამ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო. მისი საქმიანობა სახელმწიფო სააგენტოებზე და ნებაყოფლობით კერძო შემოწირულობებზე იყო დაფუძნებული. 1989-1991 წლების პერიოდში ამ თანხებმა 35 მილიონ რუბლს მიაღწია. თავდაპირველად ფულადი სახსრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახებისათვის სახლების ყიდვასა და აშენებაზე იხარჯებოდა.²⁷

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ ეკონომიკურ კრიზისთან ერთად და ნაციონალისტური, ხშირად კი ქსენოფობიური პოლიტიკის გავლენით, რომელმაც საქართველო მოიცვა 1990-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული უმცირესობების ბევრმა წარმომადგენელმა იწყო საქართველოდან ემიგრაცია. ემიგრაცია შეეხო ეთნიკური ბერძნების თემს წალკისა და ახალქალაქის რაიონებში, რუსი დუხობორების თემს ნინოწმინდის რაიონში, ავარელთა თემს ყვარლის რაიონში, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს. ამ წლებში სომეხთა და აზერბაიჯანელთა ემიგრაცია საკმაოდ დიდი იყო. ამავე პერიოდში საქართველოს სხვა რეგიონებიდან რუსების, ბერძნების და ებრაელების დიდმა რაოდენობამ დატოვა ქვეყანა.²⁸

სანამ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საკუთარ ქონებას ყიდდნენ და ქვეყნიდან წასასვლელად ემზადებოდნენ, კოსტავას ფონდი ემიგრანტებისაგან ძალზე იაფად ყიდულობდა სახლებს ეკომიგრანტების ან სხვა პოტენციური მოსახლეებისათვის.²⁹ ფონდის პროგრამა ეკომიგრანტთა დახმარების სხვა ზომებსაც

²⁶ მთავრობა მოსახლეობას და სხვა ორგანიზაციებს მოუწოდებდა, ფულადი შეწირულობები გაეღოთ ასეთი ფონდებისათვის და მალე მთელი საქართველო მოიცვა ჰუმანიტარულმა აქციებმა.

²⁷ ინტერვიუ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 11 მარტი, 2006 წ.

²⁸ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი 1 დანართში.

²⁹ ინტერვიუ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 11 მარტი, 2006 წ.

ითვალისწინებდა, თუმცა რეალურად საცხოვრებელი სახლებისა და 0.15-დან 0.25 ჰექტარამდე საკარმიდამო მიწის გარდა ფონდი ვერაფრით ეხმარებოდა მათ. იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ ბენეფიციარის (მიმღების) დამკვიდრება ახალ საცხოვრისზე, ფონდის მიერ შექმნილი სახლები ეკომიგრანტების სრულ მფლობელობაში არ გადადიოდა. საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი იმ პირებისათვის, ვისაც საცხოვრებელი სჭირდებოდა, სახლების შეთავაზების ორგვარ პროცედურას იყენებდა: პირველი გულისხმობდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ემიგრანტებისაგან სახლების შესყიდვას. ეს სახლები გადაეცემოდა შეჭირვებულ ქართველ მოსახლეობას, ეკომიგრანტების ჩათვლით. ახალმოსახლეებს სახლის დაკავების გრძელვადიანი უფლება ენიჭებოდათ, მაგრამ სახლის შესყიდვის ღირებულება გადახდილი უნდა ყოფილიყო ფონდისა და გადმოსახლებული ოჯახის ურთიერთშეთანხმების შედეგად განსაზღვრულ ვადაში. მეორე პროცედურა ითვალისწინებდა გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხების გამოყოფას კონკრეტული სახლების შესაძენად. ფულადი თანხების რაიმე სახით არადანიშნულებისამებრ ხარჯვის ან დაუდევრობის თავიდან ასაცილებლად ფონდმა ანგარიშები გახსნა სახლების გამყიდველთათვის და თანხის გადარიცხვა პირდაპირ ამ ანგარიშებზე ხდებოდა. სახლების გადაცემასთან დაკავშირებით, ფონდი ორივე შემთხვევაში შემდეგი პირობების გათვალისწინებით დებდა ხელშეკრულებას: სახლი და საკარმიდამო მიწა არ შეიძლებოდა გაყიდულიყო ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე. ასე რომ, ახალმოსახლეებს სახლების სრული იურიდიული განკარგვის უფლება არ ენიჭებოდათ.³⁰ სესხის მთლიანად დაფარვის შემდეგაც კი, ფონდს რჩებოდა მართვის უფლება, ხოლო სახლის გაყიდვის მცდელობის შემთხვევაში ფონდს ჰქონდა უპირატესი შესყიდვის უფლება.

კოსტავას ფონდს შესყიდული სახლები მხოლოდ ეკომიგრანტებისათვის არ გაუნაწილებია. ისინი ეხმარებოდნენ სხვა ისეთ ჯგუფებსაც, როგორებიცაა შეჭირვებული ოჯახები და მრავალშვილიანი ოჯახები. ფონდი ჯერ კიდევ ფლობს რამდენიმე ასეულ ჰექტარ მიწას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მაგალითად,

³⁰ იგივე

დაახლოებით 250 ჰექტარს ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში.³¹ მთლიანობაში 1989-1991 წლებში კოსტავას ფონდმა დაახლოებით 800 სახლი შეისყიდა მთელი საქართველოს მასშტაბით, აფხაზეთის ჩათვლით. ამ 800 სახლიდან დაახლოებით 300-320 ეკომიგრანტებს გადაეცათ.³² სამცხე-ჯავახეთში და, განსაკუთრებით, ნინოწმინდის რაიონში, ფონდმა 258 სახლი შეისყიდა ეკომიგრანტებისა და სხვა შეჭირვებული ოჯახებისათვის (მათ შორის 217 ნინოწმინდის რაიონში) ფონდმა აჭარიდან წამოსულ ეკომიგრანტებს ნინოწმინდის რაიონში გამოუყო სახლები, ხოლო სვანეთიდან წამოსულ ეკომიგრანტებს – აფხაზეთსა და ქვემო ქართლში.³³

ცხრილი 1: მერაბ კოსტავას ფონდის მიერ ეკომიგრანტებისა და სხვა შეჭირვებული მოსახლეობისათვის გამოყოფილი სახლების მდებარეობა და რაოდენობა.³⁴

რაიონი	სახლების რაოდენობა
ადიგენის რაიონი	6
ახალციხის რაიონი	29
მარნეულის რაიონი	8
ბოლნისის რაიონი	15
მესტიის რაიონი	5
წალენჯიხის რაიონი	1
ონის რაიონი	1
მცხეთის რაიონი	5
თიანეთის რაიონი	1
ყვარლის რაიონი	8
სენაკის რაიონი	1
ნინოწმინდას რაიონი	217

³¹ იგივე. უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, იმ პერიოდის კანონმდებლობა კრძალავდა საზღვრიდან 21 კილომეტრის რადიუსში მიწის შესყიდვას, მაგრამ ფონდისთვის დაიშვა გამონაკლისი, რადგან მთავრობის ბევრი ლიდერი კოსტავას ფონდისა და კოსტავას საზოგადოების წევრი იყო.

³² ინტერვიუ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 15 სექტემბერი, 2006 წ.

³³ იგივე.

³⁴ მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის მიერ 2006 წლის 25 სექტემბერს მოწოდებული მონაცემები. დმანისის რაიონის გამგეობის მოწოდებული მონაცემების მიხედვით, მთავრობამ, კოსტავას ფონდმა და რუსთაველის საზოგადოებამ დამატებით 575 სახლი შეისყიდეს. კოსტავას ფონდის მიერ აფხაზეთში შესყიდული სახლების შესახებ მონაცემები ხელმიუწვდომელია.

ნინოწმინდის რაიონის მკაცრი კლიმატის გამო ჯავახეთი „საქართველოს ციმბირის“ სახელით არის ცნობილი და თანაც ახალმოსულებთან ადგილობრივი მოსახლეობის ძალზე უარყოფითი დამოკიდებულების გამო ეკომიგრანტებს ზოგადად არ ჰქონდათ იქ ჩასახლების სურვილი. 1990-1995 წლებში ჯავახეთში პოლიტიკური სიტუაცია არასტაბილური იყო, ხოლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ რეგიონზე ფაქტობრივად კონტროლი დაკარგა. ეთნიკური ქართველი მიგრანტები თვლიდნენ, რომ ისინი აქ საფრთხეში აღმოჩნდებოდნენ. ასე რომ, ამ რეგიონში ჩასახლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით ფონდი ცდილობდა, ხელსაყრელი პირობები შეექმნა მათთვის, ვინც ამ რეგიონის სოფლებში დასახლდებოდა. აქ სახლების გადაცემა უსასყიდლოდ ხორციელდებოდა, კრედიტის დაბრუნების ნებისმიერი პირობის გარეშე, თუმცა ახალ მფლობელებს უფლება არ ჰქონდათ, გაეყიდათ ან გაექირავებინათ სახლები 25 წლის განმავლობაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი სახლების დატოვებას გადაწყვეტდნენ, ფონდისგან უნდა მიეღოთ დასტური გადაადგილებაზე, რათა მას სახლები სხვა ოჯახებისთვის შეეთავაზებინა. მიუხედავად იმისა, რომ ფონდმა ნინოწმინდაში 217 სახლი შეისყიდა,³⁵ ამ რაოდენობიდან სინამდვილეში მხოლოდ 68 სახლი გადავიდა ახალი მფლობელების ხელში, რომლებსაც ეკომიგრანტები, შეჭირვებული ოჯახები და მრავალშვილიანი ოჯახები წარმოადგენდნენ.³⁶ დანარჩენი სახლები ან ცარიელი დარჩა, ან ისინი ადგილობრივმა სომხებმა დაიკავეს.

კიდევ ერთი კერძო ორგანიზაცია, რომელიც ეკომიგრანტებს ეხმარებოდა, იყო რუსთაველის საზოგადოება, რომელიც 1989 წლის მარტში დაფუძნდა და რომელიც ძირითადად ქვემო ქართლში რეპატრაციის საკითხებზე მუშაობდა. ამ ორგანიზაციამაც შეიძინა სახლები ეკომიგრანტთათვის, მაგრამ, კოსტავას საზოგადოებისა და ფონდისგან განსხვავებით, რუსთაველის საზოგადოება ეკომიგრანტებს სახლებს სრულიად უსასყიდლოდ გადასცემდა, ნებისმიერი ვადებისა და პირობების გარეშე. ბევრმა ეკომიგრანტმა, ვინც ამგვარი სახით მიიღო ქონება

³⁵ იგივე. 14 სახლი დაბა ნინოწმინდაში, 31 სპასოვკაში, 36 ეფრემოვკაში, 20 ორლოვკაში, 47 გორელოვკაში და 69 სამებაში.

³⁶ ეს იყო: 19 სახლი სპასოვკაში, 6 ეფრემოვკაში, 4 ორლოვკაში, 18 გორელოვკაში და 15 სამებაში.

რუსთაველის საზოგადოებისაგან, მოგვიანებით გაყიდა ეს უძრავი ქონება და რეგიონი დატოვა.³⁷

სახელმწიფო პროგრამები შევარდნაძის პერიოდში

1991-1993 წლებიდან საქართველომ მრავალი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი და სისხლიანი სამოქალაქო ომი გადაიტანა. ამ პერიოდში ეკომიგრანტები, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წევრები, სახელმწიფომ სრულიად მიივიწყა. ეს ეკოლოგიური მიგრანტების უკუმიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე წლებია, განსაკუთრებით სამეგრელოდან – რეგიონიდან, რომელიც კონფლიქტების ეპიცენტრში იყო მოქცეული. ეს იყო ასევე პერიოდი, როდესაც მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და ეკონომიკა კოლაფსის ზღვარზე იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში მართლაც ძალზე ძნელი იყო ეკომიგრანტთათვის თავის შენახვა და ახალ გარემოსთან ადაპტირება. 1993 წლის ბოლოს, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგაც კი, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში იმდენად მძიმე იყო, რომ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა ეკომიგრაციის პროცესების მართვის რაიმე პროგრამა განეხორციელებინა.

თუმცა 1992 წლის იანვარში დაწყებული მიწის რეფორმა 1998 წლამდე გაგრძელდა. რეფორმის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადაცემა კერძო საკუთრებაში. ამ პერიოდში სხვადასხვა რაიონებში დასახლებულ ეკომიგრანტთა ურავლესობამ სახლები და 0.15-1.25 ჰექტარი ნაკვეთები მიიღო. ეკომიგრანტებმა მიწის ნაკვეთები სხვა მოქალაქეებთან თანაბარ პირობებში მიიღეს. ხოლო რაც შეეხება სახნავ-სათესი მიწის იჯარას, ეკომიგრანტებს ისევე ჰქონდათ მიწის იჯარით აღების უფლება, როგორც სოფლის სხვა მცხოვრებლებს.³⁸ მიწის საკითხი უფრო დეტალურად იქნება განხილული ამ დოკუმენტის ბოლო ნაწილში.

შევარდნაძის წლებში მთავრობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკმაყოფილებდა ეკომიგრანტებს საცხოვრებლით. 1997 წელს შევარდნაძემ პრეზიდენტის ბრძანება

³⁷ ინტერვიუ მერაბ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 15 სექტემბერი, 2006 წ.

³⁸ იხ. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია. მიწათსარგებლობის საკითხებზე ეროვნული უმცირესობებისა და ეკომიგრანტების უფლებების სამართლებრივი ანალიზი, 2006 წ.

გამოსცა, რომლის მიხედვითაც წალკის რაიონში დაცარიელებული სახლების შესყიდვისათვის დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარი გამოყვეს. სახლები შეარჩიეს და შეაფასეს, მაგრამ რეალურად მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შეისყიდეს. გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი კი უკვალოდ გაქრა.³⁹ მოგვიანებით, 2002 წელს პრეზიდენტმა 160,000 ლარი გამოყო თავისი საპრეზიდენტო ფონდიდან ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში 22 სახლის შესყიდვისათვის. ეს სახლები იყიდეს იმ მიგრანტთა დასახმარებლად, ვინც 1990-იან წლებში ჩავიდა ამ რეგიონში და ნათესავეებთან დასახლდა. სახლების შესყიდვა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევადა, თუმცა რეალურად მხოლოდ 11 სახლი შეისყიდეს. სავარაუდოდ კორუფციის გამო დანარჩენი სახლების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხები უბრალოდ აორთქლდა. ამ პროცესში ჩართული სოფლები ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი – ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმადგენლებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველი საპრეზიდენტო ბრძანება ეკომიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით 1998 წელს გამოიცა. ბრძანება მიზნად ისახავდა ეკომიგრანტების სოციალური და იურიდიული პრობლემების გადაჭრას და ითვალისწინებდა ეკოლოგიური მიგრაციის პროცესების მონიტორინგის სისტემის შექმნას. პირველ ეტაპზე მონიტორინგმა საქართველოს 17 რაიონი მოიცვა, ხოლო მეორე ეტაპზე წალკისა და ნინოწმინდის რაიონებიც.⁴⁰

მინიტორინგი მიზნად ისახავდა მთავრობის მიერ აშენებული სახლების მდგომარეობის შესწავლას და საქართველოს მთიანი რეგიონებიდან ჩამოსახლებულთა რაოდენობის დადგენას. მთავრობის ღონისძიებებმა და მონიტორინგმა გამოავლინა, რომ 1987 წლიდან მოყოლებული, 4,284 ოჯახი აღიჭურვა უფლებით, რომ ახალი სახლები მიეღოთ მთავრობისგან.⁴¹ თუმცა რეალურად მხოლოდ 2,880 ოჯახი დაბინავდა და 3,090 სახლი აიგო. ვინაიდან ბევრი სახლი დაუსრულებელი დარჩა, 1,155 ოჯახი

³⁹ ჯონათან უითლი, კონფლიქტის განეიტრალება წალკის რაიონში, საქართველოში: მიგრაცია, საერთაშორისო ინტერვენცია და სახელმწიფოს როლი (ECMI ნაშრომი No.36, დეკემბერი 2006) გვ. 9

⁴⁰ ბრძანებულება №67 - "1987 წლიდან დაწყებული სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური და იურიდიული პრობლემების გადაწყვეტის სახელმწიფო პროგრამის (1998-2005)" შესახებ.

⁴¹ 4,284 ოჯახიდან, 2,094 იყო სვანეთიდან, 2,145 ოჯახი აჭარიდან და 45 ოჯახი სანხერის რაიონიდან (ზემო იმერეთი).

თავის ძველ სახლებში განაგრძობდა ცხოვრებას სვანეთსა და აჭარაში.⁴² წალკის რაიონის 16 სოფელში მიგრანტების სამი კატეგორია განირჩევა: ა) ეკომიგრანტები, ბ) რაიონის შიგნით გადაადგილებული პირები და გ) საკუთარი ინიციატივით ჩამოსახლებული პირები.⁴³

მართალია, მონიტორინგის ეს პროგრამა მნიშვნელოვანი იყო, როგორც ეკომიგრანტების წინაშე მდგარი პრობლემებისათვის ყურადღების მიქცევისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, მაგრამ პროგრამა, როგორც ასეთი, არ ითვალისწინებდა რაიმე თანმიმდევრული ზომების გატარებას. არ გადაიდგა მომდევნო ნაბიჯები ადგილნაცვალ პირთა პირობების გასაუმჯობესებლად და პროგრამა ასევე არ შეეხო იმ ეკომიგრანტთა პრობლემებს, რომელთაც 1990-იან წლებში დაკარგეს საკუთარი სახლები ან მიწა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის შემდგომი არეულობა გარკვეულ წილად ჩაწყნარდა და ეკონომიკამ ნელ-ნელა აღდგენა იწყო, 1995-2002 წლების მონაკვეთმა ახალი არაფერი მოუტანა ეკომიგრანტებს ან მათ, ვისაც სახიფათო ზონებიდან სასწრაფო გადასახლება სჭირდებოდა. მთავრობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რაიმე რეალური სტრატეგია ან პროგრამა ეკომიგრანტთა პრობლემების გადასაწყვეტად.

განსახლება “ვარდების რევოლუციის” შემდეგ

2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნა პრეზიდენტი მ. სააკაშვილი და დაკომპლექტდა ახალი მინისტრთა კაბინეტი, საქართველოს ახალმა მთავრობამ გარკვეული მცდელობები განახორციელა ეკომიგრანტთა პრობლემების გადასაჭრელად. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ლტოლვილთა და განსახლების პირველმა მინისტრმა, ეთერ ასტემიროვამ საფუძველი დაუდო საქართველოს მთიან

⁴² 2,880 ოჯახიდან, 1,790 იყო სვანეთიდან, 1,045 აჭარიდან და 45 ოჯახი საჩხერიდან. მონიტორინგმა აგრეთვე აჩვენა, რომ 2,880 ეკომიგრანტი ოჯახიდან, 266 დროებით თავშესაფარში ცხოვრობდა, რადგან მათი სახლები დასრულებული არ იყო. ამ 266 ოჯახიდან 20 ვაგონებში ან საკუთარი ხელით აშენებულ ხის სახლებში ცხოვრობდა. მონიტორინგის ჯგუფი აგრეთვე წააწვდა მიგრანტების მხრიდან სახლების არაოფიციალური გაქირავების რამდენიმე ფაქტს. გარდა ამისა, 178 სახლი არამიგრანტ ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა დაკავებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები არ შეესაბამება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის მონაცემებს (ციტირება გვ. 13)

⁴³ “გ” კატეგორიას ეკუთვნიან ოჯახები, რომელთაც 1989 წელს აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ ახალქალაქის რაიონში გამოუყვეს სახლები, თუმცა მათ დატოვეს, გაყიდეს ან ქვეიჯარით გასცეს ეს სახლები და წალკაში გადავიდნენ. გარდა ამისა, მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ არიან მიგრანტები ხობის რაიონიდან (სოფელი დედალაური), რომლებიც მათ მშობლიურ რაიონში სტიქიური უბედურების შემდეგ გადასახლებულნი იყვნენ წალკის რაიონში; ასევე გურიიდან საკუთარი ინიციატივით, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით გადასახლებულნი. თამაზ ფუტკარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის... გვ. 92*

რეგიონებში განლაგებული სახლების მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებას, გეოლოგიურ დასკვნებზე დაყრდნობით. ამავე პერიოდში, 2004 წელს, მთავრობამ წამოიწყო ეკომიგრანტთა სახლებით უზრუნველყოფის პროგრამა.⁴⁴

მთავრობის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 2004 წლის ივნისში სამთავრობო დადგენილების მიღება, რომელიც წალკის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ეკომიგრაციის პროცესების მარეგულირებელი კომისიის შექმნას ითვალისწინებდა.⁴⁵ დადგენილება წალკაში ადგილობრივ სომხებსა და აჭარიდან ჩამოსახლებულ ქართველ ეკომიგრანტებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის საპასუხოდ მომზადდა.⁴⁶ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ეკომიგრაციის პროცესების რეგულირება, მისი იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა და ამ საკითხების გადაწყვეტისათვის ახალი მიდგომების მოძიება. ამ მიზნების განსახორციელებლად ბრძანებულება ითვალისწინებდა მარეგულირებელი კომისიის შექმნას, რომელიც ორი კვირის ვადაში ჩამოსახლებულთა, ადგილობრივი თემისა და სხვა პრობლემების გადაწყვეტისათვის წინადადებების ფორმულირებას შეძლებდა.

თუმცა ამ ბრძანებულებას არანაირი ზომები და ქმედებები არ მოჰყოლია. კომისია კი ჩამოყალიბდა, მაგრამ ის ფუნქციონირებად ორგანოდ არ განვითარდა. ასე რომ, მან მალე არსებობა შეწყვიტა. ნათელია, რომ კვლავ არსებობს პრობლემები – როგორც ეკომიგრანტთა სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული საჭიროებების მოგვარების, ისე ჩამოსახლებულთა და ადგილობრივთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

⁴⁴ ამ პროგრამის ამოქმედების პირველ წლებში 160 სახლი შეისყიდეს წალკის რაიონში და 10 სახლი თეთრიწყაროს რაიონში, ხოლო 2004 წელს კიდევ 53 სახლი – თეთრიწყაროს რაიონში, 124 სახლი – წალკის რაიონში, 2 სახლი – ბოლნისის რაიონში და 1 სახლი – გარდაბნის რაიონში 2005 წელს. (ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ECMI-ისთვის 2005 წლის 5 დეკემბერს მიწერილ 1/01-17/6993 წერილში).

⁴⁵ 2004 წლის 3 ივნისის №40 სამთავრობო დადგენილება “მთიანი აჭარიდან წალკის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ეკოლოგიური მიგრაციის პროცესების მართვის სახელმწიფო კომისიის დაფუძნების” შესახებ.

⁴⁶ 2004 წლის მაისში სოფელ ქემო ხარებაში შემდგარი ფეხბურთის მატჩი – სოფელში მცხოვრებ აჭარელ და სოფელ კიხილკალისაგან ჩამოსულ სომეხ ბავშვებს შორის – ჩხუბში გადაიზარდა. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. შეჯახების შემდეგ აჭარლები ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც მათ საპროტესტო დემონსტრაცია მოაწვეეს. ინციდენტის გამოძიების დროს, სომხებმა და ბერძნებმა განაცხადეს, რომ აჭარლები მათ უფლებებს არღვევდნენ, მაშინ როცა აჭარლები აცხადებენ, რომ სომხები და ბერძნები რეგიონში ქართველების ცხოვრებას ეწინააღმდეგებიან. ამ მოვლენების შედეგად, მთავრობამ გამოსცა დადგენილება, ზემოსხენებული კომისიის დაფუძნების შესახებ. ჯონათან უითლი: კონფლიქტის განეიტრალება წალკის რაიონში, საქართველოში: მიგრაცია, საერთაშორისო ინტერვენცია და სახელმწიფოს როლი (ECMI ნაშრომი No.36, დეკემბერი 2006) გვ. 9

თუმცა გარკვეული ზომები იქნა მიღებული მთიან რეგიონებში ეკოლოგიური კატასტროფების გამომწვევი, მიმდინარე და მოსალოდნელი პრობლემების გამოსაველენად. 2005 წლის მაისში ლტოლვილთა და განსახლების ახალი მინისტრის -- გიორგი ხევიაშვილის დანიშვნის შემდეგ, 2006 წლის მარტში, სამინისტრომ აამოქმედა ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული და სასწრაფო გადასახლების აუცილებლობის წინაშე მდგარი ოჯახების მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნას. სამინისტრომ შეიმუშავა შეფასების სისტემა, რათა განსაზღვრულიყო დაზიანების ხარისხი და ამ დასკვნების შესაბამისად მომხდარიყო მოსახლეობის განსახლება. დაზიანების შეფასების სისტემა შემდეგ ოთხ კატეგორიას მოიცავდა:

- I კატეგორია: სტიქიური უბედურების შედეგად სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია;
- II კატეგორია: სტიქიური უბედურების შედეგად სახლი დაზიანებულია, საცხოვრებლად გამოუსადეგარია და აღდგენას არ ექვემდებარება;
- III კატეგორია: სტიქიური უბედურების შედეგად სახლი დაზიანებულია, მაგრამ აღდგენას ექვემდებარება;
- IV კატეგორია: სახლი დაუზიანებელია, მაგრამ სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთი განადგურებული და გამოყენებისათვის უვარგისია.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და იძულებით აღვილნაცვალ პირთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციის მიხედვით მთელი ქვეყნის მასშტაბით I-IV კატეგორიების სახლების და სამოსახლოების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 2: დაზიანებული სახლები კატეგორიებისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით.

რეგიონები	I კატ.	II კატ.	III კატ.	IV კატ.	სულ
სამცხე-ჯავახეთი	678	52	1,226	8	1,964
მცხეთა-მთიანეთი	85	84	467	132	765
გურია	308	359	995	895	2,554

იმერეთი	1,203	2,629	8,506	666	13,004
სამეგრელო-ზემო სვანეთი	305	739	1,341	678	3,066
რაჭა-ლეჩხუმი	316	544	999	922	2,781
კახეთი	123	59	557	160	899
შიდა ქართლი	798	614	1,279	67	2,758
ქვემო ქართლი	32	11	236	0	279
აჭარა	189	469	558	2,052	3,268
სულ	4,037	5,560	16,164	5,580	31,341

პირველწეარო: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ანგარიში

მთიანი აჭარიდან და სვანეთიდან I-IV კატეგორიის სახლების რაოდენობა მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ცხრილი 3: დაზიანებული სახლები კატეგორიების მიხედვით მთიანი აჭარის რაიონებში

რაიონი	I კატ.	I კატ.	I კატ.	I კატ.	სულ
ხულოს რაიონი	48	55	97	952	1,152
შუახევის რაიონი	13	105	153	661	932
ქედის რაიონი	10	24	45	368	310
სულ	71	184	295	1,981	2,531

პირველწეარო: აჭარის ჯანდაცვის, შრომისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტი

ცხრილი 4: დაზიანებული სახლები კატეგორიების მიხედვით სვანეთში

რაიონი	I კატ.	I კატ.	I კატ.	I კატ.	სულ
მესტიის რაიონი	18	218	418	827	1,481

ლენტეხის რაიონი	130	239	388	587	1,344
სულ	138	457	806	1,414	2,825

პირველწყარო: მესტიისა და ლენტეხის რაიონის გამგეობები

ბუნებრივია, ყველაზე სასწრაფოა I და II კატეგორიის სამოსახლოებიდან მოსახლეობის გაყვანა, რადგან მათ საკუთარ სახლებში ცხოვრება ან საერთოდ არ შეუძლიათ, ან უსაფრთხოდ ვერ ცხოვრობენ. III და IV კატეგორიის ოჯახები ზოგჯერ განიხილება პოტენციურ ეკონომიკურ ან დემოგრაფიულ მიგრანტებად, ანუ ისინი მეტწილად თავს ვერ ინახავენ სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობის გამო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თანახმად, ხულოს და შუახევის რაიონებში ტიპური აჭარული ოჯახი 0.25-0.75 ჰექტარამდე მიწას ფლობს მთის რეგიონებში მიწის ნაკლებობის გამო⁴⁷ რადგან მთის რეგიონებში სოფლის მოსახლეობისათვის მიწა ხშირად შემოსავლის ერთადერთი წყაროა, აჭარლები ეკონომიკური სიდუხჭირის სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, რაც მათ ქვეყნის სხვა რეგიონებში ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებისაკენ უბიძგებს.

მთლიანობაში, მარტო მთიანი აჭარიდან I-IV კატეგორიის 2,531 ოჯახს სჭირდება განსახლება საქართველოს სხვა ნაწილებში მოკლე თუ საშუალო ვადაში. ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივაში მოსახლეობის ზრდისა და მიწის სიმცირის გათვალისწინებით, ამ სამი რაიონის მოსახლეობის ბევრად დიდი ნაწილის გადასახლება გახდება საჭირო იმისათვის, რომ რეგიონში რაციონალური ეკოლოგიური პირობები იქნას შენარჩუნებული.

პოტენციური მიგრანტების რაოდენობა, განსაკუთრებით კი აჭარის ხულოსა და შუახევის რაიონებში, იმდენად დიდია, რომ მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის შეფასებით, მიგრაციის პროცესების წარმატებულად სამართავად რამდენიმე მილიონი დოლარია საჭირო.⁴⁸ მთავრობის მიერ სახლების შესყიდვის პროცესი კი მოსახლეობისათვის ძალზე ნელი და არასაკმარისია.

⁴⁷ ინტერვიუები შუახევის და ხულოს რაიონების ლტოლვილთა და განსახლების განყოფილებების უფროსებთან, ნოდარ ქათმაძესა და გურამ კახაძესთან, 6-7 ოქტომბერი, 2006 წ.

⁴⁸ ინტერვიუ აჭარის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტის უფროს კახა გუჩმაინიძესთან, 9 ოქტომბერი, 2006 წ.

უდავოა, რომ ეკოლოგიური მიზეზებით დაზიანებული ან დაზიანების საშიშროების წინაშე მდგარი სახლებისა თუ მიწის ნაკვეთების ახლანდელი მდგომარეობის ამსახველი ამგვარი მონაცემთა ბაზის შექმნა მნიშვნელოვანი დასაწყისია, რაც მიანიშნებს ამ პრობლემით მთავრობის დაინტერესებაზე და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ არსებითი ნაბიჯის გადადგმისათვის ქებას იმსახურებს.

2004-2005 წლებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 264 სახლი შეისყიდა ამ რაიონში.⁴⁹ რაც შეეხება სახლების შესყიდვას 2006 წელს, სამინისტრომ 216 სახლი შეისყიდა ეკომიგრანტებისა და მესხი რეპატრიანტებისათვის. მათგან 156 სახლი წალკის რაიონში იქნა შეისყიდა, 26 – თეთრიწყაროს რაიონში, 17 – ახმეტის რაიონში და ერთი სახლი – გარდაბნის რაიონში. რეპატრიანტებისათვის 6 სახლი იქნა შესყიდული გორის რაიონში. უნდა აღინიშნოს, რომ წალკის რაიონში შესყიდული სახლები უკვე უკანონოდ ჰქონდათ დაკავებული მიგრანტებს, ხოლო სხვა შესყიდული სახლები გადაეცათ მთიანი აჭარიდან და სვანეთიდან წამოსულ ეკომიგრანტებს.⁵⁰ ეს კი იმისათვის გაკეთდა, რომ მომხდარიყო იმ ეკომიგრანტთა სტატუსის ლეგალიზება, ვინც უკვე დაიკავა წალკის რაიონის ბერძენთა კუთვნილი სახლები. დანარჩენ რაიონებში შექმნილი სახლები კი სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან წამოსულ ეკომიგრანტებს გადაეცათ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 2006 წლის ზაფხულში საცხოვრებელი პირობების შეფასება წალკის რაიონში. სამინისტრომ შექმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, წალკის რაიონის ადგილობრივი ადმინისტრაცია და თბილისისა და წალკის ბერძენული თემის წარმომადგენლები. მონიტორინგი მიზნად ისახავდა სახლების მდგომარეობის გარკვევას, გასაყიდი სახლების, ლეგალურად და არალეგალურად დაკავებული სახლების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ა.შ. მონიტორინგის შედეგად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ წალკაში არსებული სიტუაციის ნათელი სურათი მიიღო და ეს ინფორმაცია, სამინისტროს

⁴⁹ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სქოლიო 44.

⁵⁰ ინტერვიუ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მიგრაციის, რეპატრაციისა და ადგილნაცვალ პირთა საკითხების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ზაზა იმედაშვილთან. 26 იანვარი, 2007 წ.

განცხადებით, ეკოლოგიურ მიგრანტთა მიმართ პოლიტიკის შემუშავების საფუძველი გახდება.

2007 წლის განმავლობაში სამინისტრო გეგმავს ეკოლოგიური მიგრაციის მკაფიო პოლიტიკის ფორმულირებას, ასევე სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც ეკოლოგიურ მიგრაციასა და ეკოლოგიურ მიგრანტთა საკითხებს დაარეგულირებს. სამინისტრო ასევე აპირებს სახლების შესყიდვის მოცულობის გაზრდას. თუმცა, სამინისტროს წარმომადგენლების ვარაუდით, 2007 წელს შესყიდული სახლების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით ნაკლები იქნება, ვინაიდან ამ დანიშნულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება 1,257,000 ლარიდან (2006 წელს) 1,000,000 ლარამდე შემცირდა 2007 წელს.⁵¹ ამგვარად, სამინისტრო მხოლოდ 175-190 სახლის შესყიდვას მოახერხებს 2007 წელს, 2006 წელთან (216 სახლი) შედარებით.

სვანეთსა და აჭარაში მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულია. მესტიის რაიონის ადმინისტრაციამ (გამგეობამ) გადასახლების 219 თხოვნა მიიღო, რომელთაგანაც 34 ოჯახს დაუყოვნებელი გადასახლება სჭირდებოდა.⁵² ლენტეხის რაიონში დაახლოებით 600 ოჯახს აქვს ოფიციალური გეოლოგიური დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ მათ სახლებს საფრთხე ემუქრება.⁵³ ამიტომ თანდათანობით იზრდება პოტენციური მიგრანტების რაოდენობა.

სვანეთის მსგავსად, ძალიან ბევრი ოჯახი ელოდება ჩამოსახლებას აჭარიდანაც. აჭარის ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტის სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებიდან (I და II კატ.) მთლიანობაში 255 ოჯახს სჭირდება დაუყოვნებელი გადასახლება, ხოლო კიდევ 2,276 ოჯახს მთავრობის დახმარება სჭირდება სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობის გამო (III და IV კატ.). ამავე დროს აჭარაში ეკოლოგიური მდგომარეობა კვლავ არასაიმედოა. სტიქიური უბედურებები არ შეწყვეტილა. ისინი მთელი 1990-იანი და 2000-იანი წლების მანძილზე გრძელდებოდა, ბოლო კი 2005 წლის აგვისტოში მოხდა. ძლიერი წვიმის შედეგად

⁵¹ იგივე.

⁵² ინტერვიუ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელთან მესტიის რაიონში, ელისო მურგულიანთან, 4 ივნისი, 2006 წ.

⁵³ ინტერვიუ ლენტეხის რაიონის გამგებელ სოსო ქურასხედიანთან. 2 ივნისი, 2006 წ.

ქედის რაიონის დანდალოს ხეობაში ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც რამდენიმე სახლი და ელექტროენერჯის მიმწოდებელი ქვესადგური დააზიანა, ხოლო 5 ოჯახი ევაკუირებულ იქნა. ნოემბერში უხვთოვლობის შედეგად შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულს მეწყერი ჩამოაწვა. სოფლის რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზა ჩაიკეტა, რის შემდეგაც, მეწყერის განმეორების საშიშროების გამო სოფლის მოსახლეობამ ევაკუაცია მოითხოვა. ამგვარი ვითარება მუდმივად აუარესებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას. ნათელია, რომ ათასობით აჭარელი მთიელი სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია. იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობის ნაწილზე სვანეთშიც.

მთლიანობაში, პოტენციურ მიგრანტთა რიცხვი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით მთიან აჭარაში. გარდა მეწყერებისა და წყალდიდობებისა, აჭარის რეგიონს გამოარჩევს ორი ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიგრაციის საკითხის განხილვისას. მათგან პირველია მთიან აჭარაში (ხულო, შუახევი, ქედა) შობადობის მაჩვენებელი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს და საშუალოდ ერთ ოჯახზე 3-5 ბავშვს შეადგენს. მეორე საკითხია აჭარაში, როგორც მთიან რეგიონში, სახნავ-სათესი და საძოვარი ტერიტორიების სიმცირე. შედარებისთვის, აღმოსავლეთ კახეთის დედოფლისწყაროს რაიონი (2,529 კმ²) დაახლოებით სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე ხულოს რაიონი (710 კმ²), მაშინ, როცა მოსახლეობის მიხედვით დედოფლისწყაროს რაიონის მოსახლეობა (23,087 ადამიანი) ხულოს რაიონის მოსახლეობის (32,288 ადამიანი) მხოლოდ 72%-ს შეადგენს.⁵⁴ გარდა ამისა, დედოფლისწყაროს რაიონის სახნავ-სათესი მიწა ბევრად უფრო ნაყოფიერია. ეს ორი ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს აჭარაში დემოგრაფიული ბალანსის დარღვევაში. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რომ ეს შეუსაბამობა მიწის ფართსა და მოსახლეობის რაოდენობას შორის ყოველ ათწლეულში ათასობით ადამიანის სხვა რეგიონებში გადასახლებით დაებალანსებინა.⁵⁵ თუმცა, დემოგრაფიული ინჟინერიის ამგვარი ღონისძიებები საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად შეწყდა. შედეგად, დღეს მთიანი აჭარა ჭარბადაა დასახლებული. მოსახლეობის სიმრავლეს ბუნებრივად მოაქვს მიწის ნაკლებობა. ოჯახების

⁵⁴ საქართველოს 2002 წლის აღწერა.

⁵⁵ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართში ცხრილი 4.

დაყოფისას მიწის სიმცირე ახალ ოჯახებს შორს, მთის ფერდობებზე, მიწის დამუშავებისაკენ უბიძგებს. ამ დროს მთის ფერდობებზე ტყე ისე იკაფება, რომ ბუნება კომპენსირებას ვერ ახერხებს და აუარებელი წყლის არხები და ირიგაციის სისტემები საფრთხეს უქმნის მთების გეოლოგიურ ბალანსს. დემოგრაფიული პრობლემა ეკოლოგიურ პრობლემებს ამწვავებს და ეკოლოგიურ კატასტროფებს წარმოშობს. ასობით აჭარული ოჯახი უიმედოდ ელოდება გადასახლებას. გარდა ამისა, ათასობით ოჯახი აჭარაში შეიძლება ეკოლოგიური უბედურების უშუალო საფრთხის წინაშე არ დგას, მაგრამ მათ ძალზე მცირე მიწა აბადიათ. ასეთი ადამიანები – ჯგუფი, რომელსაც, შეგვიძლია, “დემოგრაფიული მიგრანტები” ვუწოდოთ – მოწადინებულნი არიან, საქართველოს სხვა მხარეში გადასახლდნენ და ისინი ხშირად ჩნდებიან საქართველოს სხვა ნაწილებში სპონტანური მიგრანტების სახით.

მთიანი აჭარის ტიპურ ოჯახს 4-5 ძროხა და ზოგჯერ რამდენიმე ცხვარი ან თხა ჰყავს. ერთ ოჯახზე 0.25 ჰექტარზე მეტი არ მოდის და ეს მაშინ, როდესაც მიწა უკიდურესად საჭიროა საქონლისა და საოჯახო მეურნეობის შესანახად, აუცილებელი კულტურების მოყვანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყოველი კვადრატული მეტრი სოფლის მესვეურთა მკაცრი მფლობელობის ქვეშ იმყოფება, ხოლო ზოგიერთ სოფელში გზები ისე ვიწროა, რომ იქ ტრანსპორტის გავლა არ ხერხდება და სამშენებლო მასალებს სოფლის შესასვლელიდან ხელით ეზიდებიან. შედეგად, საცხოვრებლის გადაკეთება ძალზე დიდ დროსა და მუშახელს მოითხოვს. შესაბამისად, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მიგრაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ადმინისტრაციის მთავარი პრობლემებია და მთავრობის მხრიდან დაუყოვნებლივ ყურადღების მიქცევა სჭირდება.

ჩვენ განვიხილეთ ეკომიგრაციის პროცესის ზოგადი ტენდენციები და ამ საკითხთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა. შემდეგ ნაწილში შევაფასებთ იმ პირობებს, რომლებშიც აღმოჩნდნენ ეკომიგრანტები მიმღებ რეგიონებში ჩასვლისას. ყურადღებას გავამახვილებთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე. ეს ის რეგიონებია, სადაც ეკომიგრანტების ყველაზე დიდი ნაწილი დასახლდა და სადაც უპირატესად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ცხოვრობენ.

ეკო-მიგრაცია უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში

ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში ეკომიგრანტთა ჩასახლება განსაკუთრებით ინტენსიური 1981 და 1990 წლებს შორის იყო. ჩასახლება რამდენიმე მცირე ტალღად განხორციელდა: 1981-83, 1985, 1989 და 1990 წლებში, ხოლო ამის შემდეგ ამ რეგიონში სულ რამდენიმე ეკომიგრანტი ჩასახლდა. ეკომიგრანტების უმეტესობა აქ მთიანი აჭარის – ხულოს რაიონის სოფლებიდან ჩამოვიდა, საიდანაც ის მეწვერებსა და წყალდიდობებს გამოექცა. აჭარის სხვა რაიონებიდან აქ მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამოვიდა. სამცხე-ჯავახეთში სვანეთიდან წამოსული ეკომიგრანტები არ ჩასახლებულან, რადგან ამ რეგიონიდან ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალი პირები სხვაგან, დასავლეთში – აფხაზეთში და სამხრეთში – ქვემო ქართლში გადასახლდნენ.

1981-1988 წლებში ჩამოსული მოსახლეობა მეტწილად ასპინძისა და ადიგენის რაიონებში ჩაასახლეს.⁵⁶ ეს რეგიონები ორი მიზეზით იყო მიმზიდველი მიგრირებული მოსახლეობისათვის. პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი მთიან აჭარასთან ახლოსაა და მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებს შორის დამაკავშირებელი გზები ცუდ მდგომარეობაშია. მეორე მხრივ იმიტომ, რომ ამ რაიონებში ჩასახლების ისტორიული გამოცდილება უკვე არსებობს 1940-იანი წლებიდან, როდესაც მესხები იძულებით იქნენ დეპორტირებულნი შუა აზიაში და მათ ნაცვლად საქართველოს სხვა ნაწილებიდან ჩამოსახლეს აქ ხალხი (იხ. ზემოთ). ის ფაქტი, რომ სამცხის ქართული მოსახლეობის უმეტესობა რეგიონში ახლახანს ჩასახლდა, ბევრი მიგრანტის აზრით, უფრო სტუმართმოყვარეს ხდის ამ რეგიონს ახალჩამოსულთათვის.

სოფლები ივერია, გუდსუნდა და მირაშხანი სრულიად ახალი სოფლებია, რომლებიც ეკომიგრანტთათვის გაშენდა ასპინძის რაიონში. 1944 წელს თურქი მესხების სამცხიდან და ჯავახეთიდან დეპორტირების შემდეგ ამ ადგილებში მხოლოდ მესხთა

⁵⁶ ასპინძის რაიონში სოფლები ოშორა, მირაშხანი, ივერია, გუდსუნდა, რუსთავი და ოთა. ადიგენის რაიონში სოფლები ჭელა, ზანავი, საირმე, ციხისუბანი და კიკინეთი.

სახლების ნანგრევებია იყო დარჩენილი.⁵⁷ მთავრობამ გადაწყვიტა, ხელახლა დაეფუძნებინა ეს სოფლები და იქ ეკომიგრანტთათვის სახლები აეშენებინა. აღსანიშნავია, რომ დღეს მირაშხანი ასპინძის რაიონის სამაგალითო სოფელია, სადაც საუკეთესო ხარისხის მიწა და წყალია. 1980-იან წლებში ასპინძისა და ადიგენის რაიონში ჩასახლებულ ეკომიგრანტებს 0.5 ჰექტარ მიწას აძლევდნენ, საიდანაც 0.15 საკარმიდამო მიწა იყო, ხოლო 0.35 - სავარგული.

1989-90 წლების ჩამოსახლებასთან შედარებით, 1982-83 წლებისა და 1985 წლის ჩამოსახლებები უფრო მცირე მასშტაბისა იყო.⁵⁸ 1989 წლის აპრილის მეწყერების შედეგად დაზარალდა მთიანი აჭარა. კერძოდ, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონის სოფლებში 5,657-მა ოჯახმა (24,287 ადამიანი) განიცადა ეკოლოგიური ზიანი. ჩამოსახლებებმა მოიცვა სამცხე-ჯავახეთის სხვა რაიონებიც: ბორჯომი, ახალქალაქი და ნინოწმინდა. ამ რაიონებში მანამდე ეკომიგრანტები არ ჩაუსახლებიათ.⁵⁹

1989 წელს სახელმწიფო პროგრამის დახმარებით 477 ოჯახის (1,693 ადამიანი) ჩასახლება განისაზღვრა ახალქალაქის რაიონში, თუმცა დღეს ამ რეგიონში მხოლოდ 221 ოჯახია (968 ადამიანი), რომელთაგანაც 15-მა საკუთარი სახსრებით იყიდა სახლი, 12 ოჯახს კი ის საერთოდ არა აქვს.⁶⁰ დანარჩენები ან თავისი პირვანდელი დასახლების ადგილებს დაუბრუნდნენ, ან ჯავახეთში არსებული სირთულეების გამო წალკაში გადასახლდნენ. მეტიც, ვინაიდან არ არსებობდა ადგილზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, ზოგიერთმა ეკომიგრანტმა არაღებულურად, ძალზე დაბალ ფასად გაყიდა თავისი სახლი და რეგიონიდან წავიდა. ამის კარგი მაგალითია ახალქალაქის რაიონის სოფელი აზმანა. სოფელი მხოლოდ ეკომიგრანტთათვის აშენდა. სახელმწიფო 70 სახლის აშენებას გეგმავდა, რომელთაგანაც მხოლოდ 50 დასრულდა. ახალქალაქის გამგეობის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით სოფელში ეკომიგრანტთა რაოდენობა 1989 წელს 70 ოჯახს შეადგენდა, მაგრამ 1991 წლისათვის უკვე მხოლოდ 38 ოჯახი დარჩა. დღეისთვის ამ სოფელში ეკომიგრანტთა 40 ოჯახი (125 ადამიანი) ცხოვრობს.

⁵⁷ თურქი მესხების დეპორტაციის შესახებ დაწერილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: ტომ ტრიერი და ანდრეი ხანკინი: თურქი მესხები გზის გასაყარზე. ინტეგრაცია, რეპატრაცია თუ გადასახლება?. ჰამბურგი: LIT.

⁵⁸ დაწერილებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში, ცხრილი 2.

⁵⁹ იმ პერიოდში ეკომიგრანტების მიმღები სოფლები იყო ახალქალაქის რაიონში: ოკამი, აზმანა, გოგაშენი, აპნია, პტენა, ჩუნჩხა და კოთელია, ნინოწმინდის რაიონში – სპასოვკა და ბორჯომის რაიონში – ბაღანთა.

⁶⁰ ახალქალაქის გამგეობის მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემები (2006 წ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნინოწმინდის რაიონში კოსტავას ფონდმა 217 სახლი შეისყიდა დუხობორებისაგან მათი დიდი ნაწილის ქვეყნის გარეთ (ძირითადად რუსეთში) მიგრირების პერიოდში, 1989-1991 წლებში.⁶¹ ეს სახლები განკუთვნილი იყო არა მხოლოდ ეკომიგრანტებისათვის, არამედ სხვა გაჭირვებული ქართული ოჯახებისათვისაც. ჯამში 215 ოჯახი მოამზადეს ჩასახლებისათვის, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ 159 დასახლდა. გადმოსახლებულთა დიდ ნაწილს ახალ კლიმატთან, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ადაპტაცია გაუჭირდა და უმეტესობამ რეგიონი დატოვა. გამონაკლისს მხოლოდ სპასოვკაში ჩასახლებულები წარმოადგენენ. აქ კომპაქტურად ჩასახლებულმა ეკომიგრანტებმა დარჩენა მოახერხეს (იხილეთ ქვემოთ). რაც შეეხება სხვა სოფლებში ჩასახლებულ მიგრანტებს, ახალჩასულები სამი ბარიერის წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებმაც მათ ამ სოფლებში (გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა და სამება) მუდმივად დარჩენას შეუშალა ხელი. პირველი იყო კლიმატი, რომელიც აქ ძალზე მძიმეა, ზამთარში ტემპერატურა $-25\text{ }^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა და გზები დიდთოვლობის გამო შვიდ თვეს ჩაკეტილია. მეორეც, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით არაეკოლოგიური მიზეზით მიგრირებულნი, სოფლის ცხოვრებას - მიწის დამუშავებას თუ საქონლის მოშენებას – არ იყვნენ ჩვეულნი. დაბოლოს, მათი ჩასახლების ადრეულ წლებში შიდაეთნიკური სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბული იყო. ასე რომ, ჩასახლებულმა ქართველებმა (არა ეკომიგრანტებმა), რომელთაც კოსტავას ფონდმა გადასცა სახლები, მეტწილად დატოვეს ეს სოფლები და სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმე ქართული ოჯახია იქ დარჩენილი. თუმცა, ბევრმა ეკომიგრანტმა ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში ჩასახლების პირველსავე წლებში დატოვა ჩასახლების ადგილები იმავე მიზეზით, რომლითაც არაეკოლოგიურმა მიგრანტებმა.

საინტერესოა სოფელ სპასოვკის მაგალითი, რადგან აქ ჩამოსახლებული ეთნიკური ქართული ოჯახები ძირითადად დარჩნენ. 1989 წლამდე აქ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რუსი დუხობორები შეადგენდნენ (მხოლოდ ოთხი ოჯახი იყო სომხური). მათი სახლები ან კოსტავას ფონდმა შეისყიდა ეთნიკური ქართველებისათვის, ან „ფარვანამ“ და „ჯავახკმა“ (სომხური ორგანიზაციები)

⁶¹ თამაზ ფუტყარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...* გვ. 78-79; ჰედვიგ ლომი, “დუხობორები საქართველოში: კვლევა ნინოწმინდის რაიონში მიწის მფლობელობის და ინტერეთნიკური ურთიერთობების საკითხის შესახებ” (ECMI ნაშრომი No. 35, ნოემბერი 2006 წ.).

ეთნიკური სომხებისათვის.⁶² სოფლის დღევანდელი შემადგენლობა ასეთია: სოფელში მცხოვრები 104 ოჯახიდან 84 ქართულია, 16 სომხური და 4 რუსი დუხობორებისა.⁶³ სპასოვკაში მცხოვრები ეკომიგრანტები ხულოს რაიონიდან ჩამოსახლეს და ისინი საკმაოდ დრამატულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. 1990 წლის გაზაფხულზე ხულოდან ნინოწმინდის რაიონისაკენ 117 ოჯახი გამოემგზავრა, რათა დასახლებულიყვნენ სახლებში, რომლებიც მათ კოსტავას ფონდმა შესთავაზა. ამავე პერიოდში სომხები ჯავახეთში ქართველების ჩასახლების საწინააღმდეგო დემონსტრაციებს აწყობდნენ და ცენტრალურმა მთავრობამ მეტწილად დაკარგა კონტროლი ამ რეგიონზე. ჯავახეთში საპროტესტო გამოსვლების გამო და მოსალოდნელი ეთნიკური არეულობების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ გადაწყვიტა იმ მიგრანტების შეჩერება, რომლებიც უკვე ახალციხეში იყვნენ, რომ ნინოწმინდისკენ არ გაემგზავლებინათ გზა. შედეგად, მიგრანტთა დიდი ნაწილი ხულოში დაბრუნდა, მაგრამ დარჩა 22 ოჯახი, რომელიც კვლავ ცდილობდა, დანიშნულების ადგილამდე მიეღწია. საბოლოოდ ისინი სპასოვკაში ჩავიდნენ და თავიანთ სახლებში შესახლდნენ. დასახლებულთა დასაცავად პოლიციის ძალები გამოყვეს, რომლებიც სრულ სამ წელს დარჩნენ სოფელში. მიგრანტთა ამ პირველი ტალღის შემდეგ დანარჩენი ოჯახებიც ჩამოვიდნენ სპასოვკაში.

ცხრილი 5: ეკომიგრანტთა ჩასახლება სპასოვკაში, 1990-2004 წწ.

ჩასახლების წელი	ოჯახების/ადამიანთა რაოდენობა	წარმოშობის რაიონი
1990	22 ოჯახი	ხულო
-	3 ოჯახი	ახალციხე
-	2 ოჯახი	ასპინძა
1991 - 1992	3 ოჯახი	ხულო
1995	4 ოჯახი	ხულო
1996	18 ოჯახი	ხულო

⁶² „ფარვანა“ და „ჯავახიკი“ სომხური ორგანიზაციებია, რომლებიც ჯავახეთის სომხებმა დააფუძნეს. ეს ორგანიზაციები დაარსდა, როგორც სომეხი ნაციონალისტების პასუხი ქართული ეროვნული ფონდების (კოსტავასა და რუსთაველის) მიმართ. ლია მელიქიშვილი *ფარული კონფლიქტები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი 1998.

⁶³ ინტერვიუ ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე აკაკი ვანაძესთან, 25 სექტემბერი, 2006 წ.

1997 - 1998	1 ოჯახი	ხულო
-	1 ოჯახი	ასპინძა
2000 - 2001	13 ოჯახი	ხულო
-	1 ოჯახი	ადიგენი
2002 - 2003	14 ოჯახი	ხულო
-	1 ადამიანი	ასპინძა
-	1 ოჯახი	ახალციხე
2004	1 ოჯახი	ხულო
-	1 ადამიანი	ახალციხე

პირველწიარო: მონაცემები მოგვაწოდა ნინოწმინდის რაიონის გამგეობამ.

თავიდან სპასოვკაში საცხოვრებელი პირობები აუტანელი იყო. სამ ოჯახს უწევდა ერთ სახლში ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ კოსტავას ფონდმა რამდენიმე სახლი იყიდა მიმდებარე სოფლებში, ეკომიგრანტებს ეწინოდათ სპასოვკის დატოვებისა, სადაც აჭარლები კომპაქტურად ცხოვრობდნენ და არ უნდოდათ სხვა სოფლებში მარტო გადასვლა. გარკვეული დროის შემდეგ ზოგიერთმა ოჯახმა საკუთარი სახსრებით დაიწყო სახლების შექმნა რუსეთში მიმავალი დუხობორებისაგან. მაგრამ საცხოვრებლის პრობლემა სოფელში დღემდე არ არის სრულად გადაჭრილი. 1990-იან წლებში ზოგიერთი ეკომიგრანტი საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდა სპასოვკაში და მათგან 16 ოჯახს დღემდე არა აქვს საკუთარი სახლი და ნათესავეებთან ან ძველ, დაზიანებულ, დუხობორების მიერ მიტოვებულ სახლებში ცხოვრობენ.⁶⁴ საინტერესო ფაქტია, რომ ზოგიერთმა ოჯახმა გაყიდა მათთვის კოსტავას ფონდის მიერ გადაცემული სახლები. მიუხედავად იმისა, რომ სახლის მფლობელობის შესახებ დოკუმენტაცია კოსტავას ფონდში ინახებოდა და 25-წლიანი პერიოდის განმავლობაში მათი გაყიდვა კანონით იკრძალებოდა, სახლების პირობითმა მფლობელებმა არაფორმალურად მოახერხეს საკუთარი სახლების გაყიდვა. ასეთი სახლების მყიდველები, ჩვეულებრივ, ან ეკომიგრანტები იყვნენ, რომლებიც აჭარიდან სპასოვკაში მოგვიანებით ჩამოვიდნენ, ან ზოგჯერ ადგილობრივი სომხები, რომლებიც ძირითადად მთის მოშორებული სოფლებიდან ჩამოდიოდნენ აქ, განსაკუთრებით სოფელ

⁶⁴ ინტერვიუ ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე აკაკი ვანაძესთან, 25 სექტემბერი, 2006 წ.

ფოკიდან.⁶⁵ ასე რომ, ბევრი სახლი, რომელიც კოსტავას ფონდმა ნინოწმინდის რაიონში შეისყიდა, ან დანგრეულია, ან შიგ ეკომიგრანტები ცხოვრობენ, ან ადგილობრივმა სომხებმა დაიკავეს ფონდის ნებართვის გარეშე. სპასოვკისა და გორელოვკის მცხოვრებნი, როგორც ქართველები, ისე დუხობორები, რომლებსაც ამ კვლევასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩაუტარდათ, ამბობენ, რომ კოსტავას ფონდის მიერ შესყიდული სახლების ნაწილი დანგრეულია. ისინი ძირითადად ადგილობრივმა სომხებმა დაანგრიეს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ საკუთარი მიწების გაფართოება ან სამშენებლო მასალის გამოყენება სურდათ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ხელი შეეშალათ ქართველთა დასახლებისათვის ამ რეგიონში. როგორც ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილემ, აკაკი ვანაძემ განაცხადა, მხოლოდ სოფელ სამებაში მათ 70 სახლი დაანგრიეს.⁶⁶

ოფიციალური მონაცემებით, კოსტავას ფონდის საკუთრებაში მყოფი 50 სახლი ადგილობრივ სომეხ მცხოვრებლებს აქვთ დაკავებული.⁶⁷ კოსტავას ფონდი მზადაა, მჭიდროდ ითანამშრომლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, რომ დარჩენილი სახლების შემდგომი დაზიანება აცილოს თავიდან. თუმცა ფონდი კეთილგონივრულად იკავებს თავს და სომხებს ძალის გამოყენებით არ აიძულებს ფონდის საკუთრებაში მყოფი სახლების დაცლას.⁶⁸ ამ დროს სპასოვკაში მცხოვრები ოჯახები, რომლებსაც საცხოვრებლის სერიოზული პრობლემები აქვთ, ან ოჯახები, რომლებიც გაიზარდა და დაყოფა სურთ, მზად არიან ახლომდებარე სოფლებში გადასახლდნენ, სადაც კოსტავას ფონდის კუთვნილი სახლები ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაშია დარჩენილი, მაგრამ დიდ სომხურ თემებში დასახლებისა ეშინიათ.

ეკომიგრანტების დაბინავებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთაში. სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ამ სოფელში 32 ოჯახის ჩასახლება იყო განსაზღვრული და მათთვის 50 სახლი უნდა აშენებულიყო. მაგრამ ბალანთაში 1989 წელს მხოლოდ 20 ოჯახი ჩამოვიდა ხულოდან.

⁶⁵ ჰედვიგ ლომი, “დუხობორები საქართველოში: კვლევა ნინოწმინდის რაიონში მიწის მფლობელობის და ინტერეთნიკური ურთიერთობების საკითხის შესახებ”, (ECMI ნაშრომი No. 35, ნოემბერი, 2006), გვ. 12.

⁶⁶ ინტერვიუ ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე აკაკი ვანაძესთან, 25 სექტემბერი, 2006 წ.

⁶⁷ 10 სახლი ორლოვკაში, 10 გორელოვკაში, 14 ეფრემოვკაში, 15 სამებაში და ერთი ქალაქ ნინოწმინდაში. მონაცემები მოგვაწოდა ნინოწმინდის გამგებამ.

⁶⁸ ინტერვიუ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 15 სექტემბერი, 2006 წ.

მათ აღმოაჩინეს, რომ მათ ჩამოსვლისთვის მხოლოდ 6 სახლი იყო აშენებული და დიდმა ნაწილმა საკუთარი ხელით აშენებულ ხის სახლებში გადაწყვიტა დასახლება იმ იმედით, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს დაასრულებდა სახლების მშენებლობას. რა გასაკვირია, რომ უმრავლესობამ ორი წლის განმავლობაში ახალდასახლების ადგილები დატოვა, რადგან სახლები არ აშენდა და დღეს სოფელში მხოლოდ ერთი ეკომიგრანტი ოჯახიღაა დარჩენილი. როგორც ბალანთის საკრებულოს ხელმძღვანელმა აგვისნა, ეკომიგრანტთა წასვლის მიზეზი მკაცრი კლიმატური პირობები, ეკონომიკური სიდუხჭირე და საცხოვრებლის არარსებობა იყო.⁶⁹ ბევრი ოჯახი, რომელმაც ბალანთა დატოვა, ხულოში აღარ დაბრუნებულა და სპონტანურად დასახლდა ქვემო ქართლში.

ახალქალაქის რაიონის სოფელი აზმანა ერთადერთი სოფელია ჯავახეთში, რომელიც მთლიანად ეკომიგრანტებითაა დასახლებული და სომხური მოსახლეობით დასახლებულ სივრცეში პატარა ეთნიკურ ქართულ კუნძულს წარმოადგენს.⁷⁰ არის ასევე სოფლები, რომლებიც ნაწილობრივ ეკომიგრანტებით და ნაწილობრივ მკვიდრი ქართველებით არის დასახლებული.⁷¹ ეთნიკურად ქართული სოფლების ურთიერთობა მეზობელ სოფლებთან შეზღუდულია. ჯავახეთში დასახლებული სომხური მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ ენას არ ფლობს, ხოლო ქართველმა მიგრანტებმა მეტწილად სომხური არ იციან. ასე რომ, ინტერეთნიკური კომუნიკაციებისათვის ხშირად რუსული ენა გამოიყენება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ თაობას, რომელმაც საბჭოთა პერიოდში დაამთავრა სკოლა. თუმცა აჭარიდან ჩამოსული ეკომიგრანტების უმეტესობამ სუსტად იცის რუსული. საინტერესოა, რომ ჯავახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობა ჩვეულებრივ სომხურადაც ლაპარაკობს, რასაც ვერ ვიტყვით ეკომიგრანტთა უმეტესობაზე. ბუნებრივია, რომ ეკომიგრანტთა ახალგაზრდა თაობა უკეთესად ლაპარაკობს სომხურად, ვიდრე უფრო ასაკოვანი. მაგალითად, ოკამი შერეული ქართულ-სომხური სოფელია, სადაც დღეს ბევრი ეკომიგრანტი ცოტათი მაინც ლაპარაკობს სომხურად.

⁶⁹ ინტერვიუ ბალანთის საკრებულოს უფროს იური ბერძენიშვილთან 16 ოქტომბერი, 2006.

⁷⁰ მხოლოდ ეკომიგრანტებით დასახლებული სოფლები (ივერია, გულსუნდა, მირაშხანი) გაშენდა ასევე ასპინძის რაიონში.

⁷¹ ეს სოფლებია კოთელია და პტენა ახალქალაქის რაიონში და ოშრა, რუსთავი და ოთა – ასპინძის რაიონში.

როგორც ზოგადად სამცხე-ჯავახეთის სოფლის მოსახლეობა, ისე ეკომიგრანტებიც წერილი ფერმერობით ირჩენენ თავს და ძირითად შემოსავალს იღებენ მესაქონლეობით, მეცხვარეობით და მიწათმოქმედებით (ძირითადად კარტოფილი და თივა). ოჯახების უმეტესობას 2-4 ძროხა ჰყავს, ზოგიერთებს კი დამატებით რამდენიმე ცხვარი. გარდა საკარმიდამო მიწისა, სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა ამუშავებს 1,25 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, რომელიც მათ 1992-1998 წლების მიწის რეფორმის პერიოდში აიღეს იჯარით. დღეს სოფლის მოსახლეობას დამატებითი მიწის ნაკვეთების აღება შეუძლია იჯარით – 1 ჰექტარზე 15-20 ლარად (ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისა და მიწის ხარისხის მიხედვით). თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ 2005 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის მეორე ეტაპი დაიწყო, იჯარით აღებული მიწები ნელ-ნელა კერძო საკუთრებაში გადავა.⁷² სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, როგორცაა რძე, ხორცი და კარტოფილი, ძირითადად პირადი მოხმარებისათვის აწარმოებენ, ხოლო ჭარბი პროდუქცია ან ადგილობრივ ბაზარზე გააქვთ გასაყიდად, ან უფრო შორს მიაქვთ, განსაკუთრებით ახალციხეში, ქუთაისსა და თბილისში.

საქართველოს ბევრი რეგიონისათვის ჩვეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბუნებრივია, რომ სამცხე-ჯავახეთისთვისაცაა დამახასიათებელი. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ღრმა გავლენა მოახდინა იმ ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც საბჭოთა კავშირის რღვევას მოჰყვა. უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებელმა გამოიწვია სეზონური მიგრაცია რუსეთში; სუსტი ინფრასტრუქტურის გამო ადგილობრივი მოსახლეობისათვის სომხეთში გამგზავრება უფრო მიმზიდველია, ვიდრე საქართველოს სხვა მხარეებში; ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა იწვევს მათ იზოლირებას საქართველოს დანარჩენი საზოგადოებისაგან; ბუნებრივი გაზის, ელექტროენერჯის, წყლის, კანალიზაციისა და გზების ინფრასტრუქტურა, 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, არ შეკეთებულა. ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აქაც კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის მაღალი მაჩვენებელია. რეგიონში

⁷² საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის შესახებ” 2005 წლის 8 ივლისის მონაცემებით.

სტაბილურობის გაუარესების შემთხვევაში, კიდევ ერთი პოტენციურად ძალზე საშიში ფაქტორი იქნეს თავს – ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობა და შენახვა.⁷³

მთლიანობაში, სამცხე-ჯავახეთში აჭარელი ეკომიგრანტები დასახლებულნი არიან ასპინძის რაიონში (ოშრა, ივერია, მირაშხანი, რუსთავი, გულსუნდა, ოთა), ადიგენის რაიონში (ჩელა, საირმე, ზანავი, კირკინეთი), ახალქალაქის რაიონში (კოთელია, პტენა, ჩუნჩხა, ოკამი, აზმანა, აფნია, გოგაშენი) და ნინოწმინდის რაიონში (სპასოვკა). მთლიანობაში აჭარიდან სამცხე-ჯავახეთში 679 ოჯახი ჩამოსახლდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. თუმცა მკაცრი კლიმატური პირობებისა და ეთნიკური დაძაბულობის გამო რამდენიმე ათეული ოჯახი თავისი პირვანდელი დასახლების ადგილებს დაუბრუნდა ან რამდენიმე წელიწადში სხვაგან გადასახლდა. პოტენციური მიგრანტები ხშირად მათი საჭიროებების სათანადო შეფასებისა და ადგილობრივი მკაცრი ბუნების თუ სასოფლო-სამეურნეო პირობების გაუთვალისწინებლად ირჩეოდნენ. მეტიც, ბევრმა ახალჩასულმა (არა ეკომიგრანტმა) სახლისა და ქონების შეძენის ფორმით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა გამოიყენა და მალევე დატოვა რეგიონი.⁷⁴

თუმცა, იყვნენ ისეთი ჩასახლებულებიც, რომლებმაც რეგიონში დარჩენა მოახერხეს, მათ წინაშე მდგარი სირთულეების მიუხედავად. ეს მეტწილად ის ეკომიგრანტები იყვნენ, ვისაც მართლაც არსად ჰქონდა წასასვლელი, რადგან მათი სახლები აჭარაში დანგრეული იყო. ასეთი იყო ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში ჩასახლებული ეკომიგრანტების შემთხვევა. ახალი სპასოვკის დასახლების ხანგრძლივი არსებობის მიზეზი ის უპირატესობა იყო, რომ აქ ეკომიგრანტები კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებულნი. ამის საპირისპიროდ, ახალქალაქის სოფლებიდან ძალზე დიდი იყო უკუმიგრაციის მაჩვენებელი. თითქმის ყველა, ვისაც აჭარაში სახლი და მიწა ჰქონდა, უკან დაბრუნდა.

⁷³ ჯავახეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის დეტალური განხილვისათვის, იხილეთ ჯონათან უითლი. ჯავახეთის მხარის რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები [Obstacles Impeding Regional Integration of the Javakheti Region of Georgia], ECMI ნაშრომი №22, სექტემბერი 2004. http://www.ecmi.de/download/working_paper_22.pdf.

⁷⁴ ლია მელიქიშვილი *ფარული კონფლიქტები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი 1998.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სპასოვკის მოსახლეობის მდგომარეობა სრულებით არ არის სახარბიელო და ის ვერ იქნება შთაგონების წყარო და მაგალითი განსახლების ახალი პროგრამებისათვის. მართალია, ნინოწმინდის რაიონში შემორჩნენ მიგრანტები, მაგრამ სპასოვკა თავიდანვე ეთნიკური ქართველების პატარა კუნძულად აღიქმებოდა სომხურ ზღვაში. ძალზე დაბალია რეგიონის საზოგადოებასთან მათი ინტეგრაციის დონე და ძალზე იშვიათია ურთიერთობა სომეხ მცხოვრებლებთან.

დღეს სამცხე-ჯავახეთის ხუთი რაიონის გამგეობათა მონაცემების მიხედვით, რეგიონში ეკომიგრანტთა 650 ოჯახი ცხოვრობს (იხ. ცხრილი 2).

ჩასახლება ქვემო ქართლში

პირველი ჩამოსახლებები ქვემო ქართლში 1987 წელს სვანეთიდან და 1989-1990 წლებში მთიანი აჭარიდან დაიწყო. სვანი და აჭარელი მიგრანტები ქვემო ქართლის ექვს რაიონში ჩაასახლეს.⁷⁵ ქვემო ქართლში მიწის განაწილებასა და სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ რამდენიმე რეზოლუცია გამოსცა.⁷⁶ მთლიანობაში ეკომიგრანტებისათვის 584,32 ჰექტარი მიწა გამოიყო ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროსა და დმანისის რაიონებში; დაიგეგმა 49 ახალი სოფლისა და 5,700 სახლის მშენებლობა.⁷⁷ თუმცა, 1993 წლის ბოლოსთვის კი რეალურად სახლების მხოლოდ ერთი მესამედი (1,992) იყო დასრულებული.

1987 წლის ზვავების შემდეგ ზემო და ქვემო სვანეთიდან დაახლოებით 2,500 ოჯახის ჩამოსახლება განისაზღვრა მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონებში. თუმცა რეალურად მხოლოდ 1,645 ოჯახი ჩამოვიდა. 1989 წელს, აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების შედეგად ჩამოსახლების ტალღაში ძირითადად ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონიდან წამოსული ეკომიგრანტები შედიოდნენ. დაახლოებით 708 ეკომიგრანტი ოჯახი ქვემო ქართლის რეგიონის ოთხი რაიონის ათ სოფელსა და ერთ ქალაქში გაანაწილეს.⁷⁸ სვანეთიდან

⁷⁵ იხილეთ დანართში ცხრილი 3.

⁷⁶ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის № 2, 3, 4, 5, 6 დადგენილებები.

⁷⁷ ლაურა ნიჟარაძე, *სვანების მიგრაცია და მისი...*, გვ.13-17.

⁷⁸ გარდაბნის რაიონის სოფლები: ვაზიანი, მუხროვანი, კრწანისი; მარნეულის რაიონის სოფლები: ახალი დიოკნისი, ხიხანი, შულავერი, კულარი; ბოლნისის რაიონი: ქალაქი ბოლნისი და სოფლები: ხატისსოფელი, დისველი; თეთრიწყაროს რაიონი: სოფელი სამღერეთი; წაღკის რაიონი ცალკე იქნება განხილული.

ჩამოსახლების მსგავსად, აქაც მთავრობის რეზოლუცია ეკომიგრანტებს უფლებას არ აძლევდა, სახლები გაეყიდათ ან სხვისთვის გადაეცათ 25 წლის განმავლობაში.

სვანების ჩასახლებები ქვემო ქართლში, კერძოდ კი ბოლნისში, თეთრწყაროში, მარნეულში, გარდაბანსა და დმანისში დაახლოებით ერთნაირი სქემით მოხდა. გარდა სვანეთიდან ჩამოსახლებული 1,645 ოჯახისა (იხილეთ ზემოთ), 147 ოჯახი ჩამოსახლეს ლეჩხუმიდან და 1989 წელს – 708 ოჯახი აჭარიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხუთივე რაიონი მრავალეთნიკურია, უმეტესწილად ეკომიგრანტები ქართულ სოფლებში ჩაასახლეს, განსაკუთრებით კი იმ სოფლებში, რომლებიც 1950-იან - 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაწყებული ინდუსტრიალიზაციის თანამდევი ურბანიზაციის პერიოდში დატოვა მოსახლეობამ.⁷⁹ გარდა ამისა, ეკოლოგიური მიგრანტებისათვის რამდენიმე ახალი სოფელი აშენდა.

გარდა იმისა, რომ მთავრობამ ბოლნისის რაიონის სამ სოფელში ეკომიგრანტთათვის ააშენა სახლები, თვით ქ. ბოლნისშიც შეისყიდა სახლები დაახლოებით 980 აზერბაიჯანული ოჯახისაგან (5000 ადამიანი), რომელიც 1989-1990 წლებში აზერბაიჯანში გადასახლდა – მათ შორის ბევრი ნაციონალისტი აქტივისტებისა და ორგანიზაციების ძლიერი ზეწოლისა და ბოლნისის ინტერეთნიკური ურთიერთობების სერიოზულად დაძაბვის გამო. ამ სახლებიდან დაახლოებით 320 სვანეთიდან, აჭარიდან და ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულ ეკომიგრანტებს გადაეცათ.⁸⁰

კვლევის პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და აჭარელ მოსახლეობასთან საუბრებმა გამოავლინა, რომ თეთრიწყაროს რაიონი არსებული და პოტენციური ეკომიგრანტებისათვის ყველაზე სასურველი ადგილია. აჭარის მოსახლეობას მათ მშობლიურ მხარეში მიწის ნაკლებობის გამო დიდი სურვილი აქვს, მიწის დამუშავებაში ჩაერთოს ჩამოსახლების შემდეგ. ამავე დროს, თეთრიწყარო ვრცელი და მაღალმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით მდიდარი რაიონია. გარდა ამისა, რეგიონში კარგად არის განვითარებული მესაქონლეობა,

⁷⁹ მაგალითად, ბოლნისის რაიონის სოფელი ტანძია ძველი სოფელია. აქ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა მე-17 საუკუნეში. სვანი ეკომიგრანტების ჩამოსვლის პერიოდში ამ სოფელში მხოლოდ 40 ქართული ოჯახი ცხოვრობდა. დღეს, ადგილობრივი ოფიციალური პირების ინფორმაციით, ეს ბოლნისის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებულია სოფელია, კარგად განვითარებული მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით.

⁸⁰ ინტერვიუ ბოლნისის რაიონის საკრებულოს ხელმძღვანელ პეტრე დანელიასთან. 29 აგვისტო, 2006 წ.

ხოლო მსგავსი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მთის მოსახლეობისთვისაც შემოსავლის ტრადიციული წყაროა. ამიტომ სავარაუდოა, რომ 1987 წელს სვანეთში ჩამოწოლილი ზვავების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობამ სწორედ ამ მიზეზით გადაწყვიტა სახლების ყველაზე მასობრივი მშენებლობა თეთრიწყაროს რაიონში განეხორციელებინა. რვა სოფელში 918 სახლის აშენება იყო განსაზღვრული, რომელთაგან რეალურად მხოლოდ 591 სახლი დასრულდა. ხუთი სრულიად ახალი სოფელი დაფუძნდა.⁸¹ საინტერესოა სოფელ შავსაყდრის შემთხვევა, სადაც ნათლად ჩანს ხელისუფლების მიერ მიგრაციის კონტროლის პროცესში დაშვებული შეცდომები. ამ სოფელში ოცი სახლი აშენდა და ოჯახიც ამდენივე ჩამოსახლეს. მაგრამ მიგრაციის პროცესის არასათანადო მართვის გამო ეკომიგრანტებმა სახლები მკვიდრ მოსახლეობას მიჰყიდეს და სამი წლის განმავლობაში ნელ-ნელა სვანეთში დაბრუნდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა დაგვიდასტურა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი რამდენიმე სახლი უკანონოდ გასხვისდა, თუმცა, არც ასეთი სახლების ზუსტი რაოდენობაა ცნობილი და არც რაიმე ზომები მიუღია ვინმეს.⁸²

ეკოლოგიური მიგრაციის კვლევისას საინტერესოა დმანისის რაიონის შემთხვევაც. დმანისის რაიონის მოსახლეობას შეადგენენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და რუსი დუხობორები. გარდა 300 ეკომიგრანტი ოჯახისა, დმანისის რაიონმა აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი პირებიც მიიღო. სოფელი განთიადი ეკომიგრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას (ამ შემთხვევაში ძირითადად ქართველებს) შორის ცუდი ურთიერთობების არცთუ სასიამოვნო მაგალითს წარმოადგენს. ეს დმანისის რაიონის ერთადერთი სოფელი იყო, სადაც ეკომიგრანტთათვის ახალი სახლები აშენდა. გეგმის მიხედვით განთიადში 1991 წელს სვანების შვიდი ოჯახი ჩამოსახლეს, თუმცა მცირე ხანში საშინელი ინციდენტის გამო ყველა იძულებული გახდა, სოფელი დაეტოვებინა. 1992 წელს მთავრალი სვანი ახალგაზრდების ჯგუფმა სოფლის ახალგაზრდა ადგილობრივი მცხოვრები (ქართველი) მოკლა, რის შემდეგაც სოფლის მცხოვრებლებმა საშინლად იძიეს შური და სრულიად უდანაშაულო სვანი მიგრანტი მოკლეს. უმოკლეს დროში სოფელში

⁸¹ სოფლები ხაიში, გოლთეთი, დიდგორი, მარაბდა და სამღერეთი.

⁸² ინტერვიუ თეთრიწყაროს რაიონის გამგებლის მოადგილე ენვერ გაბულდანთან, 20 ოქტომბერი, 2006 წ.

ჩამოსახლებულმა სვანმა მიგრანტებმა ან მიატოვეს სახლები (რომლებიც შემდეგ ადგილობრივმა ოჯახებმა დაიკავეს) ან გაცვალეს, რომ სოფლიდან წასულიყვნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, დმანისის რაიონში ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც სახელმწიფოს მიერ აშენებული სახლები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას ან იძულებით ადგილნაცვალ პირებს მიჰყიდეს, მაშინ, როცა იმ პირებმა – ეკომიგრანტებმა, ვისთვისაც სახლები იყო განკუთვნილი, რაიონი დატოვეს და მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ.⁸³ 2004 წელს დმანისის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი სახლების (ეკომიგრანტებისა და იძულებით ადგილნაცვალი პირების ჩათვლით) რეგისტრაცია დაიწყო. სახლებს მათ უფორმებენ, ვინც ამჟამად, რეგისტრაციის მიმდინარეობისას, იქ ცხოვრობს და დიდია ალბათობა, რომ სახელმწიფოს მიერ ეკომიგრანტებისათვის აშენებული სახლები არაეკოლოგიურ მიგრანტ მოსახლეობას გაუფორმდეს.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ, რუსთაველის საზოგადოებასთან და კოსტავას ფონდთან ერთად სახლები ააშენა, დმანისის რაიონში 575 სახლიც შეისყიდა ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობისაგან, რომელიც 1989-1992 წლებში ქვეყნიდან წავიდა.⁸⁴ დმანისის რაიონის სოფელი გუგუთი იმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ხშირად ეს პროცესი. გუგუთი უშუალოდ საქართველო-სომხეთის საზღვართან მდებარე პატარა სოფელია, რომელიც 1990-იან წლებში დაარსდა განსახლების სახელმწიფო პროგრამის გეგმის ფაგლებში. სოფელი დაარსდა ორი იქვე არსებული აზერბაიჯანული სოფლის, მულალოსა და საათლოს გაერთიანების შედეგად. 1989 წელს მულალოსა და საათლოს აზერბაიჯანული მოსახლეობის 94% აზერბაიჯანში წავიდა და რუსთაველის საზოგადოებამ და კოსტავას ფონდმა 239 სახლი შეისყიდეს. ადრეულ 1990-იან წლებში გუგუთში მიგრანტები დასახლდნენ, რომელთაგანაც 43 ოჯახი აჭარიდან საკუთარი სურვილით ჩამოსახლებული ეკომიგრანტი იყო. თუმცა ბევრმა მათგანმა ან გაყიდა სახლი, ან მიატოვა და მოგვიანებით გაყიდა. სახლები მიჰყიდეს ქალაქ დმანისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ მოსახლეობას, როგორც საზაფხულო

⁸³ ინტერვიუ დმანისის რაიონის ლტოლვილთა და განსახლების განყოფილების ხელმძღვანელ დალი კვიციანთან, 22 ოქტომბერი, 2006წ..

⁸⁴ უფრო ზუსტად, დმანისის რაიონის გამგეობის 2004 წლის 24 ნოემბრის №182 დადგენილების მიხედვით, სახლები შეისყიდეს: ქალაქ დმანისში (461 სახლი), სოფლებში გუგუთი (239 სახლი), ლოხანდარა (9), ირვანჩაი (23), დაღარი (22), საღამალეიქი (46), ვაკე (3), ქვემო ოროზმანი (6), უსეინკენდი (3), ამაძლო და კარიანი (1).

კოტეჯები.⁸⁵ არსებობს საშიშროება, რომ უახლოეს მომავალში ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო სოფელს ეს მუდმივი მცხოვრებლებიც დატოვებენ. ნათელია, რომ ჩამოსახლებისათვის მიგრანტთა შერჩევას მენეჯმენტის სისუსტის, შერჩევის პროცესისათვის დამახასიათებელი კორუფციისა და განსახლების პროცესის მართვის ერთიანი პოლიტიკის არარსებობის გამო აქ მუდმივი დასახლება აღარ იარსებებს.

ქვემო ქართლში მიგრაციის მეორე ფაზა 1997-1998 წლებზე მოვიდა, როდესაც ეკოლოგიურმა და არაეკოლოგიურმა მიგრანტებმა სპონტანურად იწყეს წალკაში დასახლება. წალკა დემოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონია. ეს რაიონი მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული ბერძნებითა და სომხებით, და შედარებით მცირე რაოდენობით აზერბაიჯანელებითა და ქართველებითაც იყო დასახლებული.⁸⁶ პოლიტიკურ არასტაბილურობასთან, ეკონომიკის დაღმასვლასთან და ნაციონალისტური ტენდენციების გაღვივებასთან ერთად, რაც საბჭოთა კავშირის რღვევას მოჰყვა, საქართველოს ბერძნულმა მოსახლეობამ, მათ შორის წალკის რაიონიდანაც, საბერძნეთში დაიწყო მიგრაცია. 1979 და 2002 წლებს შორის პერიოდში წალკის ბერძნული მოსახლეობა 85%-ით შემცირდა და 30,811 ადამიანიდან 4,589-მდე ჩამოვიდა. ეს პროცესი გრძელდება და 2006 წლის ბოლოსთვის, წალკის რაიონის გამგეობის გაანგარიშებით, რაიონში მხოლოდ 1,234 ბერძენი დარჩება.⁸⁷ ამავე დროს წალკა ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა და სხვა მიგრანტების მასობრივი ჩამოსვლის მოწმე გახდა. მართალია, წალკაში მიგრირების პროცესი, 1998 წლიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება, მაგრამ ეს პროცესი მაინც ორ ტალღად შეიძლება დაიყოს: პირველი ტალღა დაემთხვა 1997-1998 წლებს, ხოლო მეორე -2002-2003 წლებს.

წალკაში მიგრაციის პირველი ტალღა 1997 წელს დაიწყო, როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულებით, 3,000,000 აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი ბერძნების მიერ მიტოვებული სახლების შესაძენად (სოფლებში გუმბათი, ქვემო ხარება და ხანდო). ამ დროის განმავლობაში მხოლოდ დაახლოებით 50-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა

⁸⁵ რაც შეეხება 2006 წლის ბოლოს მონაცემებს, სოფელში 142 ოჯახი ცხოვრობდა, რომელთაგან მხოლოდ 54 იყო მუდმივი მცხოვრები -აჭარიდან ჩამოსახლებული 11 ოჯახის ჩათვლით. 239 სახლიდან 86 დაზიანებული იყო. მათგან უმეტესობა აღდგენას არ ექვემდებარებოდა.

⁸⁶ ისილეთ ცხრილი 1 დანართში, უფრო დეტალური ინფორმაციისათვის.

⁸⁷ მონაცემები მოგვაწოდა წალკის რაიონის გამგეობამ. ჯონათან უითლი “კონფლიქტის განეიტრალება წალკის რაიონში, საქართველოში: მიგრაცია, საერთაშორისო ინტერვენცია და სახელმწიფოს როლი (ECMI ნაშრომი No.36, დეკემბერი, 2006) გვ. 9.

მოახერხა ამ სახლებში დასახლება. ხელისუფლებამ მარტო სახლების სწორად განაწილება კი არა, არამედ მათი სათანადოდ რეგისტრირებაც კი ვერ შეძლო, ვინც მთავრობისაგან ეს სახლები მიიღო.⁸⁸

მიგრაციის მეორე ტალღის განმავლობაში, 2002 წლიდან, წალკაში მიგრანტთა უზარმაზარი რაოდენობა ჩავიდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. რომელთაგანაც 70% მთიანი აჭარიდან, კერძოდ კი ხულოს რაიონიდან ჩამოსული იყო. ეს მიგრაცია სპონტანურად და არაორგანიზებულად მოხდა. 2002-2003 წლის ნაკადში ჩამოსულების უმრავლესობას ეკოლოგიური კი არა, ეკონომიკური მიგრანტები წარმოადგენდნენ, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე სამუშაოს პოვნის პერსპექტივამ მიიზიდა. ზოგ შემთხვევაში ეს ადამიანები ყოფილი ეკომიგრანტები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე დასახლდნენ ნინოწმინდის, ახალქალაქის, ადიგენის, გურიის და საქართველოს სხვა რაიონებში, თუმცა კი წარუმატებლად.⁸⁹ გავიდა დრო და სპონტანურ მიგრანტთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, სოფელ გუნიაკალაში, სადაც 2002 წელს მხოლოდ 7 სვანური და 2-3 აჭარული ოჯახი სახლობდა, ახლა 27 სვანური და 100 აჭარული ოჯახია.⁹⁰

ხელისუფლება არანაირ ზომებს არ იღებს მიგრაციის რეგულირებისათვის. ამ წლების განმავლობაში, ახალჩამოსულებმა უკანონოდ დაიკავეს ბერძნების მიერ მიტოვებული სახლები სოფლებში თიკილისა, ავრალო, გუნიაკალა და კარაკომი და ასევე თვით ქალაქ წალკაში. ძალიან ხშირად, როდესაც ბერძნები მიდიან, ისინი თავის საკუთრებას მეზობელ ბერძნებს ან ნათესავებს უტოვებენ (ზოგ შემთხვევაში ადგილობრივ სომხებსაც). დარჩენილი ბერძნები კი შემდეგ არაოფიციალურად მიაჭირავენ ხოლმე თავისი მეზობლების/ნათესავების მიტოვებულ სახლებს ახალჩამოსულებს, ვიდრე ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად შეძლებდნენ მიწის, საკუთრების შეძენას ან იჯარით აღებას.

⁸⁸ იგივე

⁸⁹ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2001 ჩატარებული მონიტორინგის მიხედვით წალკის რაიონში 371 ახალი ოჯახი (1,855 ადამიანი) იყო ჩამოსული, რომელთაგანაც 204 ოჯახი სტიქიური უბედურებისგან იყო დაზარალებული, ხოლო დანარჩენი 127 ოჯახი საკუთარი სურვილით გადმოსახლდა წალკის რაიონში ნინოწმინდის, ახალქალაქის, ადიგენის, გურიის და საქართველოს სხვა რაიონებიდან. თამაზ ფუტყარაძე *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...*, გვ. 98-90.

⁹⁰ ინტერვიუ სოფელ გუნიაკალას სკოლის დირექტორის მოადგილე ინეზა კორძაიასთან, 15 აგვისტო, 2006წ; წალკის გამგეობის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, წალკის რაიონში 1997 წელს 19 ოჯახი ჩამოვიდა, 1998 წელს 134, 1999 წელს 98, 2000 წელს 144, 2001 წელს 137, 2002 წელს 195, 2003 წელს 331, ხოლო 2004 წელს 115 ოჯახი.

ჩვეულებრივ, ადგილობრივი ბერძნები არაფორმალურდ 500-600 აშშ დოლარად ყიდდნენ სახლებს. თუმცა გაყიდვის პროცესში საბუთები არ ფორმდებოდა, ასე რომ, ამ გაყიდვას იურიდიული ძალა არ გააჩნია და რეგისტრირებული არ არის.⁹¹ სხვა შემთხვევებში, მიგრანტები უბრალოდ იკავებდნენ ცარიელ სახლებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაცია ძალზე გართულდა, რადგან უმეტესობა ბერძნებისა, ვინც სახლები დატოვა და საბერძნეთში გადასახლდა, კვლავ ამ ქონების ოფიციალური მფლობელია და ახალჩამოსულები დაკავებულ სახლებზე მათი თანხმობის გარეშე მფლობელობის უფლებას ვერ აფორმებენ. ასე რომ, ვინაიდან ახალჩამოსულები არ არიან სახლების რეგისტრირებული მფლობელები, ისინი ვერ რეგისტრირდებიან სოფელში და მიწის პრივატიზაციაზე განაცხადის გაკეთების უფლებაც არა აქვთ. მხოლოდ რამდენიმე იღბლიანმა მოახერხა სახლის ყიდვა და ლეგალიზება მთავრობის დახმარებით.⁹²

დაბინავებასთან ერთად ეკომიგრანტებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მიწის განაწილების საკითხიც. უმეტესობამ, ვინც ჩასახლდა და ბერძნების სახლები დაიკავა, არ იცოდა, თუ სად მდებარეობდა სახლის კუთვნილი მიწა. მაგალითად ავიღოთ სოფელი, სადაც მხოლოდ 10 ბერძნული ოჯახია დარჩენილი. ეს ოჯახები ფლობენ (ან უშუალოდ თავისას, ან ნათესავების და მეზობლების ქონებას) ყოფილი კოლექტივის მიწის მთელ ტერიტორიას, მაშინ, როცა ასობით ახალჩამოსული ვერაფერს იღებს. თუმცა ბერძნები ზოგჯერ იჯარით აძლევენ მიწას მიგრანტ ოჯახებს.⁹³ მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილი ბერძნები თავიანთი ნათესავების კუთვნილ მიწას არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე განკარგავენ, მათ ამის უფლება მაინც აქვთ. ასე რომ, ერთი მხრივ, ბერძნებს იურიდიული უფლება აქვთ მიწის განკარგვაზე, იმ მიწის ჩათვლით, რომელიც წასულმა ნათესავებმა და მეზობლებმა ანდეს მათ; მაგრამ მეორე მხრივ, ამგვარი შეთანხმება ახალჩამოსული აჭარლებისა და სვანების უკმაყოფილებას იწვევს და ხშირად ეს კონფლიქტშიც გადაიზრდება ხოლმე. მაგალითად, სოფელ გუნიაკალაში ორი ბერძენი “მიწათმფლობელი” განკარგავდა სოფლის ყოფილი კოლმეურნების კუთვნილ მიწას იჯარის ხელშეკრულებით და შემდეგ ისინი ქვეიჯარით აძლევენ მას მიგრანტებს. თუმცა, ეს ორი პირი იჯარის

⁹¹ ჯონათან უითლი “კონფლიქტის განეიტრალება წალკის...”, გვ.10

⁹² ინტერვიუ წალკის რაიონის გამგებელ მიხეილ ცქიტიშვილთან, 2006 წლის 15 ივლისი.

⁹³ იგივე

გადასახადს მთავრობას მხოლოდ იმ მიწისათვის უხდიდა, რომელსაც ისინი თავის პირად სარგებლობაში იტოვებდნენ. სოფლის ქართველ და ბერძენ მოსახლეობას შორის ამასთან დაკავშირებით ბევრი უსიამოვნება მოხდა და 2006 წლის დასაწყისში მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ საჭირო გახდა გამგებლის ჩარევა, რათა პრობლემა მოგვარებულიყო. შედეგად, მიაღწიეს შეთანხმებას, რომ სადავო მიწა (ანუ ყოფილი კოლმეურნეობის მიწა, რომელსაც წასული ბერძნების ნათესავეები ფლობდნენ და ზედმეტი მიწა, რომელზეც მსხვილი მიწათმფლობელები იჯარის გადასახადს არ იხდიდნენ) თანაბრად განაწილდებოდა და ერთი წლის განმავლობაში ყველა მოიხმარდა, ვისაც სჭირდებოდა. მიწით სარგებლობისათვის კი მცირე რენტა უნდა გადაეხადათ.⁹⁴

მიგრაციის პროცესმა პიკს 2002-2003 წლებში მიაღწია. 2004-2006 წლებში პროცესის ტემპი დავარდა, თუმცა მიგრაცია კვლავ გრძელდება. ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ პრობლემის გადაწყვეტა დაიწყო; სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2005 წელს 21 ეკომიგრანტი ოჯახი ჩაასახლეს წალკის რაიონის სოფელ ოლიანკაში. მეტიც, გამოიყო ფულადი სახსრები წალკაში უკვე არაღებულად მცხოვრები 264 ეკომიგრანტი ოჯახისათვის და მიგრანტები რეგისტრაციაში გაატარეს. ასე რომ, მათი ყოფნა ლეგალიზებულია.

ჯამში, პირველი ახალმოსახლეები სვანეთიდან და აჭარიდან 1987-1989 წლებში გამოჩნდნენ, 1990-იანი წლების ბოლოს კი, გახშირებული ზევაების გამო სვანეთისა და, განსაკუთრებით, აჭარის მოსახლეობამ ისევ იწყო წალკის რაიონში დასახლება. გარდა ამისა წალკის რაიონში არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ, ეკონომიკური მოტივაციით განპირობებული მიგრაციაც გაძლიერდა, განსაკუთრებით 2002-2003 წლებში. ამჟამად თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში მთლიანობაში 2,341 აჭარული და სვანური ოჯახი (10,701 ადამიანი) ცხოვრობს, რომელიც აქ სახელმწიფო პროგრამის შედეგად ჩაასახლეს. გარდა ამისა, წალკის გამგეობის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით წალკის რაიონში 2006 წლის ზაფხულისთვის 1,950 აჭარული და სვანური ოჯახი (დაახლოებით 7,685 ადამიანი) ცხოვრობს, რომელთაგანაც მხოლოდ 20%-ია ეკომიგრანტი.⁹⁵ ამ ციფრს

⁹⁴ ინტერვიუ სოფელ გუნიაკალას სკოლის დირექტორის მოადგილე ინეზა კორძაიასთან, 15 აგვისტო, 2006წ.

⁹⁵ წალკის გამგეობის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით. პროცენტული შეფარდება მოგვაწოდა წალკის რაიონის გამგებლმა, მიხეილ ცქიტიშვილმა, 2006 წლის 12 ივლისს.

ემატება 381 ოჯახი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის სამცხე-ჯავახეთიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და სხვა (ყველაზე მეტნი არიან აჭარლები, რომლებიც პირველები ჩამოსახლდნენ აქ) და ასევე იძულებით ადგილნაცვალნი პირები (245 ოჯახი) აფხაზეთიდან, რომელთაც ამჟამად წალკის რაიონი მასპინძლობს.⁹⁶

ჩასახლება და ეთნიკური დაძაბულობა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ზემოთ განვიხილეთ ეკოლოგიური მიგრაციის ტენდენციები, ამ საკითხის მიმართ არსებული განსხვავებული სახელმწიფო მიდგომები და სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩასახლებასთან დაკავშირებული მონაცემები. ახლა კი ვაგრძელებთ იმავე თემის განხილვას, ქვემოთ მოცემულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ მიმდებარე უმცირესობებში არსებულ სიტუაციაზე, კერძოდ კი სოციალურ-ეკონომიკურ ადაპტაციასა და მიგრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაძაბული ურთიერთობების საკითხებზე.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და, მართალია, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 16% კვლავ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე მოდის (2002 წლის აღწერის მიხედვით). მაგრამ ინტეგრაციის დონე, განსაკუთრებით კი უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში - კვლავ ძალზე დაბალია, რაც ხელს უშლის ამ რეგიონებისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის სრულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მონაწილეობას. თუ საბჭოთა პერიოდში ქვეყნის დემოგრაფიული შემადგენლობა საფრთხეს არ უქმნიდა შიდაეთნიკურ თანხმობას, საბჭოთა კავშირის დაშლის თანამდევმა გარდამავალმა წლებმა – დამახასიათებელი ეთნოპოლიტიკური დაძაბულობით და ეკონომიკური კრიზისით – პოსტსაბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კითხვის ქვეშ დააყენა. ალბათ არსებობდა სტრუქტურული და ისტორიული მიზეზები, რის გამოც ტოტალიტარული რეჟიმის რღვევას ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის წარმოშობა

⁹⁶ იგივე

მოჰყვა, მაგრამ ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ხელისუფლებაში ხისტი ნაციონალისტური რეჟიმის მოსვლამ ხელი არ შეუწყო სახელმწიფოს შენების პროცესს, რომელიც უშუალოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1991 წელს და მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებს თან ახლდა ეროვნული უცირვებების მიმართ სახელმწიფოს გაუცხოება და ქვეყნის არაქართველ მოსახლეობაში დაუცველობის ფართოდ გავრცელებული შეგრძნება.

ეს პერიოდი დაახლოებით დაემთხვა ტრაგიკულ ეკოლოგიურ კატასტროფებს სვანეთსა (1987წ.) და აჭარაში (1989წ.). აუცილებელი გახდა ძალიან ბევრი ხალხის გადასახლება. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გაენაწილებინა ისინი, მათ შორის ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ეროვნული უმცირესობები წარმოადგენდნენ. მაშინ მნიშვნელოვანწილად კომუნისტური რეჟიმის ტოტალიტარულმა ბუნებამ შეაკავა ეთნიკური დაძაბულობის და ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება რეგიონში, მაგრამ 1989 წლიდან და, განსაკუთრებით 1991 წლიდან, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა აღმოჩნდა. ქვეყანა სამოქალაქო ომში იქნა ჩათრეული სამხრეთ ოსეთთან (1990-92წწ.) და აფხაზეთთან (1992-93). მეტიც, ცენტრალური ხელისუფლება მთლიანობაში ვერ აკონტროლებდა სიტუაციას ქვეყანაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე, სადაც ბევრი ეკომიგრანტი იყო ჩასახლებული.

დაძაბულობა სამცხე-ჯავახეთში

1990-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარდა განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია ჯავახეთში. აქ ადგილობრივმა სომხებმა უარი განაცხადეს პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის, პრეფექტის, მიღებაზე და რეგიონში ავტონომიის გამოცხადებისაკენ მიმართული კამპანია გააჩაღეს. ადგილობრივი სომხების მოთხოვნებს ახმოვანებდა რეგიონალური საპარლამენტო ორგანიზაცია ჯავახკი, რომელიც იმ დროისათვის დიდი ადგილობრივი ძალა გახდა. იმ დროს ახალქალაქში ახალი ჩამოსულები იყვნენ ეკომიგრანტები მთიანი აჭარიდან და ეკომიგრანტების სხვა ჯგუფები კი ნინოწმინდისკენ მიემართებოდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯავახეთში აჭარლების ჩამოსვლას შიში და ეჭვები მოჰყვა. ადგილობრივი მოსახლეობა

მეტწილად ეწინააღმდეგებოდა ეთნიკური ქართველების მათთან ჩასახლების სახელმწიფო პოლიტიკას. საქართველოს ეროვნული მთავრობის ღონისძიებები დემოგრაფიული ბალანსის შეცვლისა და მკვეთრად ანტისომხური ტონის მქონე ქმედებად აღიქმებოდა.⁹⁷ როდესაც აჭარლები ჯავახეთში ჩავიდნენ, ჯავახეთის სომხურმა მოსახლეობამ რეგიონში ქართველთა ჩასახლებების საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოაწყო და, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეეცადა, რეგიონში ახალჩამოსულთა ჩასახლება არ დაეშვათ.

სპასოვკის ქართულ მოსახლეობას (ნინოწმინდის რაიონი) მიაჩნია, რომ ჩამოსახლების დღიდან ისინი მუდმივ დისკრიმინაციას განიცდიან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. ქართველები ამტკიცებენ, რომ მიწა, რომელზეც ისინი ცხოვრობენ, მათ წინაპრებსა და ქართველ ერს ეკუთვნის. ასე რომ, მათი აზრით, მათ უნდა ჰქონდეთ ყველა ის უფლება და თავისუფლება, რაც საქართველოს სხვა მოქალაქეებს აქვთ.⁹⁸ ამ არგუმენტის საპირისპიროდ ჯავახეთის სომხები აცხადებენ, რომ ისინი ისტორიულად ცხოვრობდნენ ჯავახეთის ტერიტორიაზე, ასე რომ, ეს მიწა მათ ეკუთვნით. მეტიც, ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ სხვადასხვა ქართული მთავრობები შეგნებულად ცდილობენ სამცხე-ჯავახეთში დემოგრაფიული სურათის შეცვლას და სომხური მოსახლეობის ფარდობითი წილის შემცირებას.⁹⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ 1990-იან წლებში მერაბ კოსტავას ფონდმა, რომელსაც ხელს უწყობდნენ როგორც საქართველოს მთავრობა, ისე მოსახლეობის ფართო მასები, ღიად განაცხადა, რომ სურდა, მთავრობის მიმართ “ლოიალური საზოგადოება” ჩამოეყალიბებინა (“შემდგარი ქართველებისგან, ვინაიდან სომხები ჯავახეთში დანიშნული აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ცნობდნენ) უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და ქვეყნის საზღვრები გაემაგრებინა ეთნიკური ქართველი მოსახლეობით.¹⁰⁰ 1990-იანი წლების განსახლების პროგრამები მხოლოდ ეკოლოგიური მიგრანტებისათვის კი არ იყო შექმნილი,

⁹⁷ როსტომ სარკისიანი. 2002. “ჯავახეთი: სოციალურ-ეკონომიკური უზულებელყოფა თუ ეთნიკური არეულობა”, *დიპლომატია და მსოფლიოს მოვლენები*, DWA Discussion Paper no 101, იხ: <http://departments.oxy.edu/dwa/papers/101b.pdf>

⁹⁸ ინტერვიუები სოფელ სპასოვკის მცხოვრებლებთან, 24 სექტემბერი, 2006 წ.

⁹⁹ ლია მელიქიშვილი, *ფარული კონფლიქტები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი 1998.

¹⁰⁰ ინტერვიუ მერაბ კოსტავას ფონდის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ დავით კუპრეიშვილთან, 15 სექტემბერი, 2006 წ.

რომელთაც მართლაც სასწრაფოდ სჭირდებოდათ სახლები და მიწის ნაკვეთები, არამედ სხვა ქართული მოსახლეობისთვისაც. ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ჩავიდა ჯავახეთში ასპინძიდან, ხარაგაულიდან, რუსთავიდან, კასპიდან და თბილისიდან. ამასთან, ბევრი აცხადებდა, რომ ამ რეგიონში დასახლებისას პატრიოტული მოტივებით ხელმძღვანელობდა. სინამდვილეში იყო ეკონომიკური მოტივაცია – უფასო სახლებისა და მიწის მიღება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.¹⁰¹ თუმცა, ვიდრე გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი თავის ნაციონალისტურ პროგრამას ასრულებდა – ჩასახლებისათვის ემზადებოდა და სახლებს ყიდულობდა მომავალ მცხოვრებთათვის, მას გამორჩა მთავარი – ის, რომ ახალჩამოსულებს გაუჭირდებოდათ ადაპტაცია რეგიონთან, ნაწილობრივ ჯავახეთის მკაცრი კლიმატური პირობების, იზოლირებული გეოგრაფიული მდგომარეობისა და ნაწილობრივ მცხოვრებთა სოციალური მოწყობის წესის განსხვავებულობის გამო. ეს განსხვავებები აიხსნა, როგორც „ეთნიკური“ შეუსაბამობა ადგილობრივ სომხებსა და ჩამოსულ ქართველებს შორის. ამ ყველაფერმა ქართულ მოსახლეობაში ადაპტაციასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები და იმედგაცრუება გამოიწვია. ამის გამო ჩასახლებულთა დიდმა ნაწილმა ორ-სამ წელიწადში ჯავახეთი დატოვა. შედეგად, ქართველი მიგრანტებისათვის კოსტავას ფონდის მიერ გადაცემული სახლების (217 სახლი) დიდი ნაწილი ან დაანგრეს, ან ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო მისი საცხოვრებლად ან საქონლის სადგომად გამოყენება. განსახლების შემთხვევითმა ხასიათმა, მიმღები მოსახლეობის თვალსაზრისის გაუთვალისწინებლობამ, კორუფციამ და სახლების ათვისების გეგმის არარსებობამ დიდი ფულადი სახსრების, დროისა და მცდელობის ფუჭად ხარჯვა გამოიწვია.

რეგიონში (განსაკუთრებით ახალქალაქის რაიონში) ქართველი მიგრანტების ჩასვლისას, ადგილობრივი სომხების მხრიდან წამოსული ერთ-ერთი პრეტენზია ის იყო, რომ ახალჩამოსულებს ახალ სახლებს აძლევდნენ, მაშინ, როცა ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობა პატარა ქოხებში აგრძელებდა ცხოვრებას.¹⁰² აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ თავი იგნორირებულად და ახალჩამოსულ ქართველებთან შედარებით დისკრიმინირებულად იგრძნო. ამავე დროს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონში ახალჩასახლებული ქართველები ჩიოდნენ, რომ მთავრობა მათ ყურადღებას არ

¹⁰¹ იგივე, თამაზ ფუტკარაძე *აჭარის მოსახლეობის მიგრაცია...*, გვ. 136-137.

¹⁰² იგივე.

აქცევს, რომ მათი უფლებები დაცული არ არის და რომ ადგილობრივი სომხები მათ „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ თვლიან.¹⁰³ მართლაც, ამან ძალზე გაართულა მათი ადაპტაცია ადგილობრივ პირობებთან.

დაძაბულობა ქვემო ქართლში

ადრეული ჩასახლებები ქვემო ქართლში უფრო კარგად იყო ორგანიზებული და დაგეგმილი, ვიდრე ჯავახეთში. ეს ნაწილობრივ იმ ფაქტით აიხსნება, რომ აქ პირველი დიდი ჩასახლება საბჭოთა პერიოდში – 1987 წელს მოხდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 1989 წლის ჩასახლებების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ეკომიგრანტები კომპაქტურად და ხშირ შემთხვევაში სრულებით ახალ სოფლებში განათავსეს (ხიხანი, ახალი დიოკნისი, დისველი, ხატისსოფელი), იყო შერეული ეთნიკური სოფლებიც (შულავერი, კრწანისი, ვაზიანი, მუხროვანი, სამღერეთი).

ქვემო ქართლში ეთნიკური ურთიერთობების მხრივ ჯავახეთთან შედარებით განხვავებული სურათი იყო. მართალია, ახალჩამოსულთათვის ადაპტაციის პროცესი ადვილი არ იყო, მაგრამ სირთულეები აუცილებლად ეთნიკური საკითხებიდან არ გამომდინარეობდა. ჯავახეთისაგან განსხვავებით, ქვემო ქართლის მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელი მოსახლეობა ღიად არ აცხადებდა, რომ ეკომიგრანტებს არ მიიღებდა. სულ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც ქვემო ქართლის მოსახლეობა ხმამაღლა ალაპარაკდა ეკომიგრანტების ჩამოსახლებაზე. მაგრამ ეკომიგრანტთა ჩამოსახლების პირველი ტალღიდან რამდენიმე წელიწადში მდგომარეობა გაუარესდა, კერძოდ, ადგილობრივი აზერბაიჯანელებისა და ჩამოსახლებული სვანების ურთიერთობის თვალსაზრისით.¹⁰⁴ სვანი ეკომიგრანტების ინტეგრაცია და ადაპტაცია რეგიონში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებთა უმრავლესობა ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებული აზერბაიჯანელი იყო, რთული აღმოჩნდა როგორც სვანების, ისე აზერბაიჯანელებისათვის.

¹⁰³ თამაზ ფუტყარაძე “აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...”, გვ.138; ღია მედიქიშვილი *ფარული კონფლიქტები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი 1998.

¹⁰⁴ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვემო ქართლში ჩასახლებულ ეკომიგრანტთა უმეტესობა სვანეთიდან იყო. წალკის რაიონი ცალკე იქნება განხილული, რადგან ამ რეგიონში ეთნიკური ურთიერთობების და დაძაბულობის სპეციფიკური მოდელი ვლინდება.

აჭარლებისგან განსხვავებით, სვანები ხშირად კრიმინალურად აღიქმებიან ქვემო ქართლის მკვიდრი მოსახლეობის მიერ. იმისთვის, რომ ეს წარმოდგენა აიხსნას, აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ ქვემო ქართლში, კერძოდ კი მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში სვან ეკომიგრანტთა ოჯახები უფრო მეტია, ვიდრე აჭარლებისა. ასე რომ, სვანი მიგრანტები უფრო ჩანან რეგიონში. გარდა ამისა, აჭარლებთან შედარებით, სვანები უფრო ურბანულ გარემოში დაასახლეს, მაგალითად, ბოლნისში, დმანისსა და გარდაბანში, რის გამოც მათ საშუალება მიეცათ, უფრო აქტიურად ჩაბმულიყვნენ რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. შედარებით ურბანულ გარემოში მოხვედრის გამო სვანებს აჭარლებთან შედარებით, რომლებიც, როგორც წესი, კომპაქტურად ცხოვრობდნენ სოფლებში, ბევრად უფრო დიდი შეხება ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. რადგან სვანები ბევრჯერ სისხლის სამართლის დანაშაულში აღმოჩნდნენ მხილებულნი, მათ კრიმინალების იარლიყი მიეკერათ, ასე რომ, ქვემო ქართლის რომელიმე რაიონში მომხდარი დანაშაულის ჩამდენად ხშირად ისინი მიიჩნევიან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქაოსსა და უკანონობაში დანაშაულებათა რიცხვი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში არნახულად გაიზარდა. ქვემო ქართლში, სადაც სვანების ნაკადის ჩამოსვლა თითქმის დაემთხვა საბჭოთა ხელისუფლების აღსასრულს, ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩათვალა, რომ დანაშაულის ზრდა სვანების ჩამოსვლით იყო განპირობებული. ასეთი იყო განწყობა გარდაბნის, მარნეულისა და დმანისის რაიონებში. ადგილობრივი მოსახლეობა ძარცვით, ყაჩაღობით, ქურდობით და მკვლევლობებით იყო შეწუხებული და მოსახლეობის სასოწარკვეთა რაღაც მომენტში გადაიზარდა კონფლიქტებში, რომლებსაც ეთნიკური სარჩული დაედო. მაგალითად, 1989 წლის ივნისში სვან და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის დაწყებული ჩხუბი მასობრივ დემონსტრაციაში გადაიზარდა ქალაქ მარნეულში. ეს შემთხვევა მარნეულელმა, გარდაბნელმა, ბოლნისელმა და დმანისელმა აქტივისტებმა რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭების მოთხოვნის გასახმოვანებლად გამოიყენეს. საწყისი შემთხვევა კი სრულიად ტრივიალური იყო: ახალგაზრდა სვანი და ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ტაქსის რიგში შეკამათდნენ, რაც შემდეგ მუშტი-კრივში გადაიზარდა. მიმდებარე შენობაში მცხოვრებმა სვანებმა, ჩხუბი შეამჩნიეს, გამოვიდნენ ნაცნობის მისახმარებლად და აზერბაიჯანელს სცემეს. საპასუხოდ იმავე დღეს აზერბაიჯანელთა ჯგუფი სვანების სახლებს დაესხა თავს.

სიტუაცია რუსთავიდან და თბილისიდან ჩასულმა პოლიციელებმა გაანეიტრალეს. თუმცა, მომდევნო დღეს მარნეულში 10,000 ადამიანი გამოვიდა დემონსტრაციაზე. ისინი მოითხოვდნენ ქვემო ქართლიდან სვანების გაძევებას, რეგიონში ავტონომიის გამოცხადებას, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში ქართველი ჩინოვნიკების აზერბაიჯანელებით ჩანაცვლებას და ა.შ. იმავე პერიოდში აზერბაიჯანელთა ჯგუფები თავს დაესხნენ გარდაბნის რაიონის პოლიციას და ბრძოლა გაიმართა აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის ქალაქ ბოლნისში, რის შედეგადაც 14 ადგილობრივი მოსახლე დაიჭრა. დემონსტრაციების თანამდევი ქაოსი ივნისის პირველ ნახევრამდე გაგრძელდა.¹⁰⁵ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დრამატული მოვლენები ქვემო ქართლში 1989-1990 წლებში არსებული საერთო დაძაბულობის ფონზე მოხდა და ორივე მხარეს – ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მყოფი აგრესიულად განწყობილი ნაციონალისტი აგიტატორების წაქეზებით განხორციელდა. ქართველი ლიდერების ნაციონალისტურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიტუაციის გამწვავებაში, რაც საბოლოოდ ქვემო ქართლიდან და, კერძოდ, ბოლნისიდან ათასობით აზერბაიჯანელის ემიგრირებით დამთავრდა. ეთნო-პოლიტიკური კლიმატის კიდევ უფრო გამწვავების შიშით მათ საქართველო დატოვეს და აზერბაიჯანს მიაშურეს.

შეგარდნადის მმართველობის წლებში შიდაეთნიკური სიტუაცია მთლიანობაში გამოსწორდა და, მართალია, სვანებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა მთლად თბილად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ძალადობრივი კონფრონტაციის და/ან თემებს შორის კონფლიქტის გამო მობილიზაციის მაგალითებიც თითზე ჩამოსათვლელია. თუმცა რამდენჯერმე უმნიშვნელო დაძაბულობა სერიოზულ კონფლიქტებში გადაიზარდა. ერთ-ერთი ბოლო 2003 წელს მოხდა. სოფელ ჯანდარის აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც სვანებით დასახლებულ სოფელ ლემშენიერას მახლობლად მდებარეობს, მათგან გარდაბნის მიმართულებით მიმავალ გზაზე მუდმივმა ძარცვამ, სროლამ და ძალადობამ შეაწუხა. ჯანდარის მცხოვრებლებმა პოლიციის პასიური პოზიციის გამო მიტინგი მოაწვევეს და პროტესტი გამოთქვეს, თუმცა კი უშედეგოდ. მოგვიანებით აზერბაიჯანელებმა ორი მასობრივი მიტინგი მოაწვევეს ქალაქ გარდაბანში პოლიციის განყოფილების,

¹⁰⁵ გია ტასოვი “რა ხდებოდა ქვემო ქართლში”, ლიტერატურული საქართველო, 30 ივნისი, 1989 წ., გვ 2; იაკობ ფუტყარაძე დაყოფა დაუშვებელია. კომუნისტი 6 ივლისი, 1989 წ., გვ 3.

გენერალური პროკურატურისა და ქალაქის სასამართლოსთან. მეორე მიტინგი დასრულდა სვანის გასამართლებით, რომელსაც ძარცვა ედებოდა ბრალად, მაგრამ სასამართლომ იგი გაანთავისუფლა, რის შემდეგაც მასობრივი მიტინგი საზოგადოებრივ არეულობაში გადაიზარდა: დემონსტრანტებმა შენობების ფანჯრების მსხვერვიტ დაიწყეს, მოგვიანებით კი რკინიგზის ბლოკირება მოახდინეს. იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელი დემონსტრანტებს შეხვდა და მათ სვანის გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი მოსამართლის სამსახურიდან გაშვებას დაჰპირდა. ამ ინციდენტის და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ თავდასხმები აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე შეწყდა და სიტუაცია დამშვიდდა.

ქვემო ქართლის ბევრი მცხოვრები – როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი – თვლის, რომ მათი ეთნიკური ჯგუფის უფლებები ხშირად ირღვევა. ბევრი აზერბაიჯანელი დარწმუნებულია, რომ მიწების გამოყოფის, საჯარო თანამდებობებზე დანიშვნისა და სხვა შემთხვევებში ქართველებს უპირატესობას ანიჭებენ. უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც არის რაღაც სფეროები, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა დაჩაგრულია. მაგალითად, იმ ფაქტის გამო, რომ აზერბაიჯანელი ქალები ძირითადად სახლში მშობიარობენ, მათ არ შეუძლიათ დაბადების მოწმობის აღება, ასე რომ, ვერ იღებენ ოფიციალურ საბუთებს თავისი შვილებისათვის. შესაბამისად, არის ოჯახები და არიან ადამიანები, რომლებიც პასპორტებისა და რეგისტრირებული საკუთრების გარეშე ცხოვრობენ. ისინი სახლებს ვერ იფორმებენ, რადგან საჭირო საბუთები არა აქვთ. როგორც მარნეულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა აღნიშნა, “ახალჩამოსული ქართველები უფრო ლეგალურად ცხოვრობენ, ვიდრე მკვიდრი აზერბაიჯანული მოსახლეობა”.¹⁰⁶ მეორე მხრივ, ჩამოსახლებული ქართველები თვლიან, რომ ისინი არათანაბარ პირობებში არიან აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან შედარებით – ეკონომიკური პირობებით, უმუშევრობითა და ეთნიკური ქართველების გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით.¹⁰⁷

¹⁰⁶ ინტერვიუ მარნეულის რაიონის პრივატიზაციის განყოფილების უფროს ზაალ ნადირაძესთან, 14 ნოემბერი, 2006წ.

¹⁰⁷ კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, ქვემო ქართლის რეგიონში კულტურათმორისი თანამშრომლობის კავშირი “მოსტი”, საქართველოს აზერბაიჯანულ ქალთა კავშირი: “მარნეული-გარდაბნის რაიონებში კონფლიქტის ფაქტორების ანალიზი: სოციოლოგიური კვლევის შედეგები, თბილისი, 2003. მართლაც, ქართული მოსახლეობა ზოგადად ეკონომიკურად უფრო შეჭირვებულია, ვიდრე აზერბაიჯანელები. თუმცა, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ვარაუდები, ქართველების გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შესახებ არ მტკიცდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის ხუთი რაიონის თითქმის ყველა ოფიციალური პირი (წალკის გარდა) უარყოფს რაიონებში ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის სერიოზული დაძაბულობისა და, განსაკუთრებით, ეთნიკური საფუძვლის მქონე დაძაბულობის არსებობას. ყველა აღიარებს, რომ სიტუაცია ძალზე დაძაბული იყო ეკომიგრანტების ჩამოსახლების ადრეულ წლებში, მაგრამ დღეს სოფლის მოსახლეობას კარგი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან; ისინი ერთად აღნიშნავენ დღესასწაულებს და ზეიმებს და იშვიათ შემთხვევებში ქორწინებიან კიდევ. მარნეულის რაიონის პრივატიზაციის განყოფილების უფროსის აზრით, მარნეულის რაიონი ეთნიკური სტაბილურობით ხასიათდება, რადგან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ეკონომიკურად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი და ერთიმეორესთან დაკავშირებულნი.¹⁰⁸ თუმცა დმანისის რაიონის მიგრაციისა და განსახლების განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ სვან ეკომიგრანტებს, ისევე როგორც იძულებით ადგილნაცვალ პირებს, დმანისის რაიონში ისევე “ახალმოსულების” იარლიყი აქვთ, ასე რომ, მათ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ადვილად გამოარჩევთ.¹⁰⁹

ვიდრე წალკის რაიონში არსებული სიტუაციის აღწერაზე გადავალთ, საინტერესოა, ერთმანეთს შევადაროთ ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ინტეგრაციის პროცესებისა და ინტერეთნიკური ურთიერთობების განვითარება ეკომიგრანტების ჩამოსახლების შემდეგ. აშკარაა, რომ უპირატესად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეკოლოგიური მიგრანტების სრული ინტეგრაცია არ მომხდარა, მაგრამ შესამჩნევია, რომ ეკომიგრანტები ქვემო ქართლში (წალკის გამოკლებით) ზოგადად უფრო კარგად არიან ინტეგრირებულნი, ვიდრე ჯავახეთში.

ჯერ ერთი, ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა მთლიანობაში ბევრად უფრო სტუმართმოყვარე აღმოჩნდა ეკომიგრანტების მიმართ, ვიდრე ჯავახეთის სომხური მოსახლეობა, მიუხედავად 1989-1990 წლებში ქართულ და აზერბაიჯანულ თემებს შორის წარმოქმნილი დაძაბულობისა. ამის საპირისპიროდ, ჯავახეთის

¹⁰⁸ ინტერვიუ მარნეულის რაიონის პრივატიზაციის განყოფილების უფროს ზაალ ნადირაძესთან, 14 ნოემბერი, 2006წ.

¹⁰⁹ ინტერვიუ დმანისის რაიონის დტოლოგილთა და განსახლების განყოფილების უფროს დალი კვიციანთან, 22 ოქტომბერი, 2006წ.

სომხური მოსახლეობა მთლიანობაში მიზანმიმართულად ეწინააღმდეგებოდა ჩამოსახლებებს, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ ჩასახლების პროცესი რეგიონის “გაქართულების” მიზანმიმართულ მცდელობა იყო, რაც, როგორც უკვე ვნახეთ, გარკვეულწილად სიმართლეს შეესაბამებოდა, კერძოდ, 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანების დასაწყისში. ეს არგუმენტები გამყარდა მასობრივი დემონსტრაციებითა და ავტონომიის გამწვავებული მოთხოვნით. ქვემო ქართლში აზერბაიჯანული მოსახლეობა არ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ეკომიგრანტების ჩასვლას. მთლიანობაში აზერბაიჯანული აქტივისტები ნაკლებად რადიკალური იყვნენ, ვიდრე მათი ჯავახი კოლეგები და საკუთარ მოთხოვნებში ძირითადად აზერბაიჯანელთა უფლებების დაცვისა და ადგილობრივ მმართველობაში უმცირესობათა ჩართვის მოთხოვნით შემოიფარგლებოდნენ.

მეორე, ქვემო ქართლში უფრო შერეული სოფლებია და ახალჩამოსულები და მკვიდრი მოსახლეობა უფრო გახსნილია ურთიერთობისათვის, მაშინ, როცა ქართული სოფლები ჯავახეთში ძირითადად სრულიად იზოლირებულია სხვა სოფლებისაგან და პრაქტიკულად არ არსებობს კომუნიკაცია სომხურ და ქართულ მოსახლეობას შორის.

მესამეც, ქართველები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ქვემო ქართლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ვიდრე ჯავახეთში. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან ეს რეგიონი უკეთეს საცხოვრებელ პირობებს სთავაზობს ეკომიგრანტებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ცუდია, რადგან ამგვარად ნაწილობრივ იზღუდება ეთნიკური აზერბაიჯანული მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობა. მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონის ადგილობრივ საკრებულოებსა და გამგეობებში ქართული მოსახლეობა და მათ შორის ახალჩამოსახლებულებიც საკმარისად არიან წარმოდგენილი. ერთ-ერთმა ჩვენმა ინფორმატორმა ახსენა, რომ ქვემო ქართლში განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებს სვანები აღწევენ.¹¹⁰ ისიც აღინიშნა, რომ 1980-იანი წლების ბოლოს (ეროვნული მობილიზაციის ტალღის პერიოდში) ქვემო ქართლში რამდენიმე გამორჩეული აზერბაიჯანელი გადააყენეს პოსტიდან (მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და ახალჩამოსახლებული სვანებით შეცვალეს.¹¹¹ ამის საპირისპიროდ,

¹¹⁰ იგივე

¹¹¹ ჯონათან უითლის ინტერვიუები, ივლისი, 2006 წ.

დაბალია ეკომიგრანტთა წარმომადგენლობა ჯავახეთის ორი რაიონის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორები ართულებს ეკომიგრანტთა ინტეგრაციას ადგილობრივ თემთან, განსაკუთრებით ჯავახეთში. ჯავახეთში მცხოვრები ეკომიგრანტები ხშირად ნამდვილ პატრიოტებად, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების უფლების დამცველებად თვლიან თავს საკუთარ მიწა-წყალზე. ისინი ხშირად გრძნობენ, რომ სომხებს მათი ჯავახეთიდან გასახლება, ავტონომიის გამოცხადება და სომხეთთან მიერთება უნდათ. ქვემო ქართლში ასეთი ნაციონალისტური ტენდენციები (წალკის გარდა) ნაკლებად შეიმჩნევა. აშკარაა, რომ ჩასახლების და ადაპტაციის განსხვავებულმა გამოცდილებამ გავლენა მოახდინა იმაზე თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მიგრანტებს ახალ მეზობლებზე.

რაც შეეხება წალკის რაიონს, აქ ეკომიგრანტთა სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია კიდევ უფრო რთული იყო, ვიდრე ჯავახეთის რეგიონში. ჩასახლების პროცესის გათვალისწინებით, ნათელია, რომ მიგრანტთა დიდი უმრავლესობა ამ რაიონში არალეგალურად დასახლდა. მათ ძირითადად მიგრირებული ბერძნების კუთვნილი დაცარიელებული სახლები დაიკავეს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ მიგრანტების უმრავლესობა ეკოლოგიური მიგრანტი კი არა, არამედ უფრო ისინი იყვნენ, ვინც საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს ეძებდა და ვინც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე სამუშაოს შოვნის პერსპექტივამ მიიზიდა. 2002-2003 წლებში დაწყებული მიგრანტების მასობრივი სპონტანური ჩასახლებების შემდეგ დანაშაულებათა რიცხვი აქ მკვეთრად გაიზარდა. სახალხო დამცველის 2005 წლის ანგარიშში სისხლის სამართლის რვა სერიოზული დანაშაული მოხვდა, 2005 წლის მხოლოდ პირველი 3 თვის განმავლობაში. ანგარიშის მიხედვით, დამნაშავეები სვანეთიდან და აჭარიდან ჩამოსული მიგრანტები იყვნენ, რომლებიც სისასტიკეს იჩენდნენ ძირითადად ბერძნული მოსახლეობის მიმართ.¹¹² ზოგიერთ საქმეში ადგილობრივი სომხები აცხადებდნენ, რომ ისინი ბერძენი მეზობლებისა და ნათესავების დაცვას ცდილობდნენ, რომელთაც ქართველი კრიმინალები ესხმოდნენ თავს. ამ განცხადებამ კიდევ უფრო გააღვივა კონფრონტაცია. ასეთი შემთხვევების დამახასიათებელი მაგალითია დანაშაული,

¹¹² საქართველოს პარლამენტისადმი წარდგენილი სახალხო დამცველის ანგარიში, 23 დეკემბერი, 2005.

რომელიც 2005 წლის მარტში მოხდა სოფელ ავრალში. ბინის ქურდები (სავარაუდოდ ქართველები) მოხუცებული ბერძენი წყვილის სახლში შეიჭრნენ, მფლობელებს სცემეს და 850 აშშ დოლარი წაიღეს. იმავე საღამოს მეზობელი სოფლის, კიზილკილისას მკვიდრი სომხები ხის კომბლებით შეიარაღდნენ და სოფელ ავრალში ჩავიდნენ, სადაც მათ სცემეს დაახლოებით 10 ქართველს, სოფლის მცხოვრებლებს, რომელებიც მათ შემთხვევით შეხვდნენ ქუჩაში. ისინი შეიჭრნენ ადგილობრივ სკოლაშიც და იქაურობა დაარბიეს. თუ როგორ მოხდა ეს შემთხვევა და მისი ესკალაცია, იმაზე მიუთითებს, რომ რაიონის ზოგიერთ ნაწილში ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობები ძალზე დაძაბულია და დაუყოვნებელ ყურადღებას საჭიროებს.

წალკის რაიონში სისასტიკის სხვა რამდენიმე შემთხვევაც მოხდა. თუმცა, ჩანს, წალკის მოსახლეობამ კონსენსუსს მიაღწია, რადგან 2005 წლის მარტში წალკაში პოლიციის ძალების ჩასვლის შემდეგ¹¹³ კანონი ამოქმედდა და, შედეგად, სერიოზულად იკლო დანაშაულმა. ამან პოზიტიური გავლენა მოახდინა თემებს შორის არსებულ დაძაბულობაზეც, თუმცა მიწის ნაკვეთებთან და სახლებთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ ისევ დაძაბულობის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს.¹¹⁴

იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახება რეგიონში არსებული დაძაბულობა ქვეყნის სტაბილურობაზე და რამდენად მტკივნეული შეიძლება გახდეს ეს საკითხი მთავრობისათვის, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ 2006 წლის 9 მარტის მოვლენები. მთვრალ სვანებსა და სომხებს შორის მომხდარი ჩხუბი 23 წლის გეგორქ გეგორქიანის სიკვდილით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილები სასწრაფოდ დააკავეს და გამოძიება დაიწყო, რომელიც მკვლელების გასამართლების ხანგრძლივ პროცესში გადავიდა, ადგილობრივი სომხები წალკის პოლიციის შენობის წინ შეიკრიბნენ და ეჭვმიტანილ ბოროტმოქმედთა ლინჩის წესით დასჯას ითხოვდნენ. მასობრივი გამოსვლის ესკალაციის შედეგად საპროტესტო აქციის მონაწილეები გამგეობის შენობაში შეიჭრნენ, სადაც ფანჯრები ჩაამტვრიეს და ინვენტარი დააზიანეს. წალკის დაძაბული სიტუაცია მეზობელ ჯავახეთსაც გადაედო. 12 მარტს

¹¹³ 2006 წლის ივლისში საბერძნეთის მთავრობამ საპატრულო პოლიციის 16 მანქანა აჩუქა წალკის რაიონის პოლიციას.

¹¹⁴ მიწისა და სახლების საკითხი განხილული იქნება ქვემოთ, თავში სოციალურ-ეკონომიკური მიგრაციის შესახებ.

ახალქალაქში სომხურმა ორგანიზაციებმა, გაერთიანებულმა ჯავახკმა და ვირკმა, დემონსტრაცია მოაწვეეს. შემდეგ ბრბო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივ ფილიალში შეიჭრა და გააპროტესტა იმ ეთნიკური ქართველების რაოდენობა რომლებიც იქ სწავლობდნენ. შეიჭრნენ ადგილობრივი სასამართლოს შენობაშიც. ბოლოს კი გააფთრებულმა ბრბომ რეგიონის ქართული საეპისკოპოსოს რეზიდენცია ამოიღო მიზანში. ისინი ეკლესიას იარაღის დამალვაში ადანაშაულებდნენ. ძალოვანები და საეპისკოპოსოს ადმინისტრაცია დათანხმდა, რომ აქციის მონაწილენი შიგნით შეეშვათ; როგორც კი დემონსტრანტები დარწმუნდნენ, რომ შიგნით იარაღი არ იყო, ბრბო გაბრუნდა.¹¹⁵

მართლაც, ჯავახეთის დემონსტრაციები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ქართული საზოგადოება სიტუაციას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ქართულ მედიასაშუალებებსაც მიუძღვით წვლილი ნეგატიური განწყობილებების გაღვივებაში ჯავახეთის სომხების შესახებ სტატიების ისეთი ჰედლაინებით, როგორცაა: “სამცხე-ჯავახეთის სეპარატისტებს საქართველოსთან ომი უნდათ” ან “ნელი მოქმედების ბომბი – სეპარატისტების მოთხოვნები ჯავახეთში”.¹¹⁶ მედიის ამგვარი დამოკიდებულება სტერეოტიპების რღვევისა და რეგიონალური ინტეგრაციის აშკარა შემაფერხებელი ფაქტორებია. ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, როდესაც მედია ეროვნული უმცირესობების ზოგადად უარყოფით სურათს ხატავს. გარკვეულწილად მედიაში ეროვნული უმცირესობების მიმართ ნეგატიური ყურადღების გამახვილების შედეგად, განსაკუთრებით ჯავახეთის სომხების მიმართ, ქართული საზოგადოების ძირითადი ნაწილისათვის ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების პრობლემები უზულვებელყოფილია, მეორე მხრივ, ბევრი ეთნიკური ქართველი მიიჩნევს, რომ ქართული მოსახლეობა ყველაზე დისკრიმინირებული და შევიწროებული ეთნოსია უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

სოციალურ-ეკონომიკური ადაპტაცია და ინტერეთნიკური დაძაბულობა

ბუნებრივია, რომ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი არსებით როლს თამაშობს ახალ დასახლებებში ეკომიგრანტების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

¹¹⁵ „მესინჯერი“, 16 მარტი, 2006, №50; „ახალი თაობა“ 17 მარტი, 2006, 74

¹¹⁶ „ახალი თაობა“ 19-25 მარტი, 2006, №76; „კვირის პალიტრა“ 20-26 მარტი 2006, №12.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკოლოგიურ მიგრანტთა დასახლებების ნაწილი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაფუძნდა, საბჭოთა ეპოქის დასრულებას თან მოჰყვა უამრავი სირთულე ეკომიგრანტებისათვის, განსაკუთრებით ჯავახეთში. სახელმწიფო ეკონომიკის დაშლას თან მოჰყვა რეგიონის მწირი რესურსების განაწილებისათვის ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასა და ეკომიგრანტებს შორის, რის შედეგადაც ახალმოსახლეებსა და მასპინძლებს შორის დაძაბულობა გაზარდა.

საბჭოთა ეპოქის მიწურულს ჯავახეთში სომხები და დუხობორები, ხოლო ქვემო ქართლში ახერბაიჯანელები, სომხები და ბერძნები ტრადიციულად სოფლის მეურნეობას, მესაქონლეობას, წვრილ ვაჭრობასა და მსუბუქ მრეწველობას მისდევდნენ. ამ რეგიონებში ჩამოსვლის შემდეგ ეკომიგრანტებს მხოლოდ ახალ ეთნიკურ და კულტურულ გარემოსთან კი არ მოუხდათ შეგუება, არამედ ისინი აღმოჩნდნენ განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, სადაც ადგილი უნდა დაემკვიდრებინათ. ეკომიგრანტების წინაშე წამოჭრილი უმთავრესი პრობლემები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით იყო (და დღესაც არის) სახლების, მიწისა და ენის საკითხები. ეს საკითხები ცალ-ცალკეა განხილული მომდევნო თავებში.

სახლების საკითხი

ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ადრეულ ეტაპზე განსახლებულ ბევრი ეკომიგრანტი ოჯახს ცუდი საცხოვრებელი პირობები ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფომ არ დაასრულა ეკომიგრანტებისათვის ახალი სოფლების შექმნის ამბიციური გეგმები, რის შედეგადაც ბევრმა ეკომიგრანტმა ჩამოსვლისას აღმოაჩინა, რომ მისი სახლი ნახევრად იყო აშენებული, ზოგი კი საერთოდ არ უზრუნველყვეს საცხოვრებლით. ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი სახსრებით დაასრულა მშენებლობა, სხვებმა კი დროებითი თავშესაფარისათვის პრიმიტიული ხის სახლები აიშენეს იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს მათ ხელისუფლება დაეხმარებოდა და სახლებს დაუსრულებდა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეკომიგრანტებს ახალაშენებული სახლები იმ პირობით გადასცეს, რომ ისინი ამ საცხოვრებლის იურიდიული მფლობელები 25 წლის შემდეგ გახდებოდნენ. თუმცა, ბევრ შემთხვევაში ეს წინაპირობა დაირღვა. ეკომიგრანტებმა,

ვინც ახალ გარემოს ვერ შეეგუა, სახლები ან არაღებულად გაყიდეს, ან უბრალოდ დატოვეს და წავიდნენ. შედეგად, რეგისტრაციის, იურიდიული მფლობელობისა და განკარგვის უფლების საკითხები ქაოსმა მოიცვა. დღეს ათასობით ადამიანი ცხოვრობს სახლებში, რომლებიც მათ ოფიციალურად არ ეკუთვნით და რომლის განკარგვის უფლებაც არა აქვთ.

არც ისე დიდი ხნის წინ ქვემო ქართლის რეგიონალურმა ადმინისტრაციამ სახლების რეგისტრირება დაიწყო. ამ ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია აგრეთვე ეკომიგრანტებისათვის ოფიციალური დოკუმენტაციის გადაცემა იმ სახლებზე, რომლებიც დაკავებული აქვთ. ეს პროცესი უკვე დაიწყო დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში. რაც შეეხება ჯავახეთს, აქ ბევრი ეკომიგრანტი ოფიციალურადაა რეგისტრირებული, თუმცა ყველას არა აქვს მიღებული სახლის მფლობელობის საბუთები. მაგალითად, სპასოვკაში (ნინოწმინდის რაიონი) იმ სახლების დოკუმენტაციას, რომელიც ეკომიგრანტებს კოსტავას ფონდმა გადასცა, კვლავ ფონდი განაგებს, რაც კოსტავას ფონდის პირობას სრულად შეესაბამება (25 წლის წესი). ხოლო სხვა ეკომიგრანტები - ვინც სპასოვკაში საკუთარი ინიციატივით ჩამოსახლდა - მათ მიერ დაკავებულ სახლებს ფორმალურადაც არ ფლობენ, რადგან, როგორც წესი, სახლები არაოფიციალური შეთანხმების შედეგად იყიდეს ძველი მფლობელების - დუხობორებისგან. ასევე არის შემთხვევები, როდესაც კოსტავას ფონდის მიერ გადაცემული სახლების მცხოვრებლებმა ეს სახლები არაოფიციალურად მიჰყიდეს ახალჩამოსულ ეკომიგრანტებს და თავად წალკაში გადასახლდნენ.

როგორც უკვე განვიხილეთ, სახელმწიფო 1980-იანი წლების ბოლოს ეკომიგრანტებისათვის ახალი სოფლების დაარსებას გეგმავდა - საჭირო შენობებით და ინფრასტრუქტურით: სკოლებით, საბავშვო ბაღებით, საავადმყოფოებით, კულტურული ცენტრებით და ა.შ. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ეკონომიკური რღვევის შედეგად მთავრობამ ვერ შეძლო ამ ამოცანის შესრულება. ასე რომ, კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ზოგიერთ სოფელში ეკომიგრანტების წინაშე დგას, ირიგაციისა და სასმელი წყლის სისტემების

არარსებობა.¹¹⁷ ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა გარდაბნის, მარნეულისა და ახალქალაქის რაიონებში 1980-იან წლებში გაშენებული ეკომიგრანტთა სოფლებისათვის. ეს პრობლემა ძალზე ართულებს ეკომიგრანტთათვის მიწის დამუშავებას და არსებობის ერთადერთ წყაროდ მათ მესაქონლეობა რჩებათ.

სადაც ეკომიგრანტები უკვე არსებულ სოფლებში ჩაასახლეს, იქ სარწყავი და სასმელი წყლის სისტემა გაყვანილია, თუმცა ასეთ სოფლებში ეკომიგრანტებს პრობლემები ექმნებათ სახნაგ-სათესი მიწის ხელმიუწვდომლობის გამო, რაც ხშირად ადგილობრივ მოსახლეობასთან დაძაბულობასა და კონფლიქტებში გადაიზრდება ხოლმე. ამგვარი დაძაბულობა ზოგჯერ ეთნიკურ დაძაბულობად აღიქმება, როგორც შიდა ქართლში, ისე ჯავახეთში.

მიწის საკითხი

საბჭოთა პერიოდში სახნაგ-სათესი მიწა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (სახელმწიფო ფერმების) მფლობელობაში იყო და სახელმწიფოს ეკუთვნოდა. სოფლის მცხოვრებლებს მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთები ჰქონდათ. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ რეფორმებთან ერთად დაიწყო და საკუთრების საკითხმა ბევრი კამათი და კონფლიქტიც წარმოშვა. მიწის მფლობელობის საკითხი უდავოდ ის მთავარი იმპულსია, რაც ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაძაბულობის წარმოშობას აძლევს ბიძგს.

მიწის პრივატიზების პროცესი საქართველოში შეიძლება ორ ფაზად დაიყოს: 1992 წლიდან 1998 წლამდე და 2005 წლის შემდეგ. 1992-1998 წლების მიწის რეფორმამ დაადგინა, რომ კერძო მესაკუთრის მფლობელობაში უნდა გადასულიყო სასოფლო - სამეურნეო მიწის 0.15-დან 1.25 ჰექტარამდე ზომის ნაკვეთები (ქვეყნის მთიან ნაწილში 3.0 ჰექტარამდე). დარჩენილი მიწა კი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა და მხოლოდ გამოყენების უფლებით განაწილდა.¹¹⁸ ასე რომ, 1992-1998 წლების მიწის რეფორმა არ

¹¹⁷ ეს საკითხი ეხება სოფლებს: ახალ დიოკნისს, ხიხანს და შულავერს –მარნეულის რაიონში, ლემშენიერას, კრწანისს და მუხროვანს – გარდაბნის რაიონში, კოთელიას, ოკამსა და პტენას – ახალქალაქის რაიონში.

¹¹⁸ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 რეზოლუციის მიხედვით, ტერმინი “გამოყენება” გულისხმობს ‘იჯარას’, ‘ქირავნობას’, ‘უზუფრუქტს’ ან ‘აღნაგობას’. ამავე დროს, კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ მიწის რეფორმა არ შეიძლება განხორციელდეს უფიცილო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ. 21კმ-იან სასაზღვრო ზონაში, რაც გულისხმობდა, რომ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის

გულისხმობდა მიწის პრივატიზებას თავისი შინაარსით. ქვეყანაში რეალური პრივატიზაცია მხოლოდ 2005 წელს, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნელო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ საქართველოს კანონის“ მიღების შედეგად დაიწყო. დღეს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ბევრი მიწის ნაკვეთია განკუთვნილი პრივატიზაციისათვის.

2005 წლის კანონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია პირდაპირი მიყიდვის, სპეციალური აუქციონებისა და ღია აუქციონების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. პირებს, რომლებსაც უკვე იჯარითა აქვთ აღებული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მიწა, მიწის პირდაპირი შესყიდვის უპირატესობა ენიჭებათ. მიწა, რომელიც იჯარით არ იყო გაცემული, სპეციალურ აუქციონს ექვემდებარება. ამგვარ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ კონკრეტული სოფლის, დაბის, თემისა და ქალაქის საკრებულოს ტერიტორიულ საზღვრებში მცხოვრებ („საკომლო წიგნში“ აღრიცხულ) ან პირადობის მოწმობის საფუძველზე ადგილობრივი რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეებს. იჯარით გაუცემელი, ან ადრე იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია ხორციელდება ღია აუქციონის ფორმით და ამ შემთხვევაში ღია აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქესა და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კანონმდებლობა რაიმე შეზღუდვებს არ ითვალისწინებს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარასთან

სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის საზღვრთან მდებარეობის გამო ამ რეგიონების ზოგიერთი ნაწილის მოსახლეობა ვერ მიიღებდა ტრადიციულ 0.15-1.25 ჰექტარ მიწას. მიზეზი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანა იყო. თუმცა ეს წესი არ დაიცვეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. შეზღუდვები გამოიყენეს ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, 3-კილომეტრიან ზონაში. რეალურად ყველაზე მეტად ეს პოლიტიკა შეეხო ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებს და სამცხე-ჯავახეთში სომხებს, ისევე, როგორც ამ რეგიონების ყველა სხვა მცხოვრებს. და მაინც, უმთავრესი განსხვავებაა, რაც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლს შორის შეინიშნება, ის არის, რომ ბრძანებულების მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობას მაინც დაურიგეს მიწები სასაზღვრო ზონაში, რადგან აქ ადგილობრივი ადმინისტრაცია ძირითადად ეთნიკური სომხებისგან შედგება, რომლებიც საკუთარი ინტერესების დასაცავად გაუთვალისწინებელ ღონისძიებებს მიმართავენ და ეთნიკურ სომხებს არაკანონიერად უნაწილეებენ მიწას. ასე რომ, სამცხე-ჯავახეთში მიწა შედარებით სამართლიანად გაანაწილეს. განსხვავებული მდგომარეობაა ქვემო ქართლში, სადაც რაიონისა და სოფლის გამგებლები (განსაკუთრებით ეს უკანასკნელები) ხშირად მიწას იჯარით აძლევდნენ კერძო პირებსა და კომპანიებს. ასე რომ, 1993-96 წლებში 21-კილომეტრიანი ზოლის დიდი ნაწილი იჯარით აღმოჩნდა გაცემული რაიონის გამგებლის ნათესაებისა და ახლობლებისათვის. თუმცა ზოგჯერ სოფლის გამგებლები (ძირითადად აზერბაიჯანელები და ქართველები) რაიონის ავტორიტეტებთან გარიგების შედეგადაც ნახულობდნენ სარგებელს. მოგვიანებით, 1994 წლიდან, 21-კილომეტრიანი შეზღუდვა გაუქმდა და რეფორმის შედეგად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ 0.15-დან 1.25 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწა მიიღო ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად. ინტერვიუ “მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის” დირექტორ ჯაბა გებანიძესთან, 27 ნოემბერი, 2006 წ.

დაკავშირებით. 2005 წელს პრივატიზების მეორე ეტაპის დაწყების შემდეგ, ეკომიგრანტებსა და სხვა ფერმერებს, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, აღებული მიწის ნაკვეთების პრივატიზების სრული უფლება ენიჭებათ კანონმდებლობაში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.¹¹⁹ ანუ ეკომიგრანტებს სრული უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პირდაპირ შესყიდვებში და სპეციალურ აუქციონებში, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ უფლებების გამოყენებისათვის საჭიროა, რომ ისინი რეგისტრირებულნი იყონ საკრებულოს „საკომლო წიგნში“.¹²⁰

აქვე უნდა ითქვას, რომ, მართალია, კანონის მიხედვით ყოველ პირს ერთნაირი უფლება აქვს არსებული მიწის მიღებაზე, მაგრამ ბევრი ეკომიგრანტი ჩივის, რომ მიწა არათანაბრად ნაწილდება. მაგალითად, სოფელ სპასოვკის მცხოვრებნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნინოწმინდის რაიონში არიან ფერმერები, რომლებიც 500-800 ჰექტარ მიწას ფლობენ, მაშინ, როცა აჭარელ ფერმერებს 2.5 ჰექტარზე მეტი არა აქვთ. მსგავსი სიტუაციაა ახალქალაქის რაიონის ზოგიერთ ნაწილშიც. ხშირად მიწის ფლობა ეთნიკურ კუთვნილებასთან არის დაკავშირებული. ბევრი ჩივის, რომ მათ შეგნებულად ეუბნებიან უარს უფრო მეტი მიწის გამოყოფაზე იმ ნიშნით, რომ ისინი სომხურ თემში მცხოვრები ქართველები არიან.¹²¹ ამგვარი პრეტენზიები ნამდვილად არ უწყობს ხელს მეზობლური ურთიერთობების გაუმჯობესებას.

1990-იანი წლების განმავლობაში პრივატიზაციისა და მიწის განაწილების პროცესს ჩვეულებრივ ადგილობრივი ხელისუფლება აკონტროლებდა და ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება ძალაუფლებას ამტკებდა. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა იჩაგრებოდა საკუთარი უფლებების არცოდნისა და მიწის პრივატიზების ან იჯარით აღებისათვის ფინანსური შესაძლებლობების უქონლობის გამო. მეტიც, მიწის ნაკვეთების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში იყო კონცენტრირებული, ან ნათესაური თუ კორუფციული გარიგების ობიექტი ხდებოდა, რაც მოსახლეობის უარყოფით რეაქციას იწვევდა მიწების

¹¹⁹ საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ”, 2005 წლის 8 ივლისის რედაქცია.

¹²⁰ აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს, რომ “საკომლო წიგნში” ჩანაწერი შესაბამის დასახლებაში მიწის ან სახლის საკუთრებაში ფლობის საფუძველზე კეთდება. არის შემთხვევები, როდესაც ეკომიგრანტები “საკომლო წიგნში” არ არიან რეგისტრირებულნი და, ამდენად, მათ უფლება არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სპეციალურ აუქციონებში.

¹²¹ საუბრები სოფელ სპასოვკის მცხოვრებლებთან, 24 სექტემბერი, 2006წ.

დისკრიმინაციული დაყოფის გამო. ამასთანავე იჯარის ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ჯეროვნად არ იყო მომზადებული, რაც ამჟამად დაწყებულ პრივატიზაციის მეორე ეტაპს აფერხებს.¹²² ეკომიგრანტები ხშირად მივიწყებულად და იზოლირებულად თვლიან თავს მთავრობისაგან, რომელმაც იმ კონკრეტულ ადგილებში დაასახლა მიგრანტები და რეგიონში ინტეგრირების პროცესში არაფრით დაეხმარა.

საინტერესოა, რომ ეკომიგრანტები მიწის მიღებასთან დაკავშირებით ხშირად დაჩაგრულად გრძნობენ თავს, მაგრამ ქვემო ქართლის ბევრი აზერბაიჯანელი ფიქრობს, რომ ზოგჯერ მიწის განაწილებისას უპირატესობა ეთნიკურ ქართველებს ენიჭებათ, განსაკუთრებით კი სვანებს. მაგალითად, სოფელ კაპანახის საბჭოთა მეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს (სვანს) ადგილობრივმა აზერბაიჯანლებმა ბრალი დასდეს, რომ მან 2003 წელს მთელი არსებული მიწა თავის ნათესავებს გაუნაწილა, რამაც სერიოზული დაძაბულობა წარმოშვა აზერბაიჯანელ და ქართველ (სვან) მოსახლეობას შორის.¹²³ თუმცა აზერბაიჯანელები უკმაყოფილებას ხმამაღლა ყოველთვის არ აცხადებენ. აზერბაიჯანული მოსახლეობა საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ ოფიციალურ განცხადებებს ძირითადად არ აკეთებს, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივმა ფერმერებმა ორჯერ მოაწვეეს დემონსტრაცია ქალაქ მარნეულში 2004 წელს.¹²⁴

¹²² კანონი განსაზღვრავს, რომ საიჯარო ხელშეკრულების ქონის შემთხვევაში მოქალაქეს უფლება ენიჭება, პირდაპირი შესყიდვით მოახდინოს იმ მიწის პრივატიზება, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული. თუ მოქალაქის საიჯარო ხელშეკრულება არაადეკვატურია, მოქალაქეს სპეციალურ აუქციონში მოუხდება მონაწილეობის მიღება.

¹²³ “კონფლიქტური ფაქტორების ანალიზი მარნეულ-გარდაბნის რაიონებში: სოციოლოგიური კვლევის შედეგები,” კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი; ქვემო ქართლის რეგიონში კულტურათაშორისი თანამშრომლობის კავშირი “მოსტ” და საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი, 2003წ.

¹²⁴ კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა 2004 წლის 3 დეკემბერს მარნეულის რაიონში. სოფელ კუთლიარის დაახლოებით 300-მდე აზერბაიჯანელი მცხოვრები თავს დაესხა ადგილობრივი საცხენოსნო ფერმის მუპატრონეებს, რომლებიც განკარგავდნენ სოფლის მიმდებარე მიწის უმეტეს ნაწილს. მოსახლეობა 320 ჰექტარი მიწის ხელახლა გადაწილებას მოითხოვდა. შეტაკების შედეგად მოკლეს ხანში შესული აზერბაიჯანელი ქალი, რამდენიმე ადამიანი კი დაიჭრა. სიტუაცია იმდენად მძიმე იყო, რომ პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებმა და დიპლომატებმა მიიღეს მონაწილეობა. საქართველოში აზერბაიჯანის ელჩმა პეტრია მისწერა საქართველოს პრეზიდენტს, სადაც მარნეულის აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის მიწის საჭირო რაოდენობის გამოყოფისკენ მოუწოდებდა. ინციდენტს მოჰყვა კიდევ ერთი – აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, სადაც ლაპარაკი იყო საქართველოში მიწის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანული თემების უფლებების დარღვევის შესახებ. ეს შემთხვევა ნათლად გვაჩვენებს, რომ მიწის საკითხი ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, როგორც ქართველი, ისე არაქართველი ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რადგან მიწა შემოსავლის მიღების ერთადერთი წყაროა სოფლის მოსახლეობისათვის, ისინი იბრძვიან არა უბრალოდ მიწის ნაკვეთის, არამედ არსებობის წყაროსათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონფლიქტს უფრო ეკონომიკური საფუძველი აქვს, ვიდრე ეთნიკური. მიუხედავად ამისა, დაძაბულობას ეთნიკური ასპექტი აქვს და არსებობს რეალური რისკი, რომ მიწის თაობაზე კამათი გამწვავების შემთხვევაში შერეულ თემებს შორის ღია ეთნიკურ კონფლიქტში გადაიზარდოს.

მარიკა ლიპარტელიანი, “თავდასხმა საცხენოსნო ფერმაზე კუთლარში დანაკარგით დასრულდა”, *რეზონანსი*, 6 დეკემბერი, 2004 წ., №333

სივილ ჯორჯია, “აზერბაიჯანელი არასამთავრობოები შეწუხებულნი არიან აზერბაიჯანელთა უფლებების გამო საქართველოში”, 9 დეკემბერი, 2004 წ.

მიწის საკითხის თვალსაზრისით წალკის რაიონი სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა. წალკის რაიონში ახალჩამოსულებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის არსებული მთავარი პრობლემა მიწის სიმცირეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთოდ წალკაში ჩამოსულებს შორის ეკომიგრანტების წილი ძალზე მცირეა. მართალია, სხვა ახალჩამოსულთაგან (სპონტანური მიგრანტები) განსხვავებით, ეკომიგრანტები რეგიონში ჩვეულებრივ ოფიციალურად არიან დასახლებულნი, მაგრამ ეკომიგრანტებს და სხვა ახალჩამოსულებს მაინც საერთო პრობლემები აქვთ, კერძოდ: არც ერთ ამ ჯგუფს არ მიუღია მიწა, თუ არ ჩავთვლით 0.2 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთს. ტრადიციულად ბერძნულ სოფლებში მიგრანტები მიწას ბერძნებისგან იღებენ იჯარით. ეს უკანასკნელი თავიანთი იმიგრირებული ნათესავების კუთვნილ – თითქმის მთელი სოფლის სახლებსა და მიწებს აკონტროლებენ. ლოგიკურია, რომ ბერძნებს ამ მიწის განკარგვის უფლება ჰქონდეთ, მაგრამ აშკარა მატერიალური უთანასწორობა ახალჩამოსული ქართველებისათვის დისკომფორტის მიზეზი ხდება. ქართველები ხშირად ამბობენ, რომ „საკუთარ ქვეყანაში“, „საკუთარ მიწაზე“ მათ ისე ეპყრობიან, როგორც სტუმრებს”.¹²⁵ ეს გრძობა ზრდის დაძაბულობას, მიგრანტთა მოთხოვნები უფრო აგრესიული ხდება, მით უმეტეს, რომ მიწა, რომელსაც მიგრანტები ბერძნებისგან იჯარით იღებენ, ვერ იქნება პრივატიზებული.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, 1999 წლის სახელმწიფო გადაწყვეტილება ითვალისწინებდა წალკაში ყოფილი კოლმეურნეობის კუთვნილი მიწის 0.5-1.15 ჰექტარამდე განაწილებას ყველა ოჯახისათვის, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო აჭარლების უმრავლესობას მიწა არ მისცეს. გარდა ამისა, აჭარელი მიგრანტების უმეტესობა რეგიონში 1999 წლის შემდეგ ჩამოვიდა. ასე რომ, ეკომიგრანტების დიდ ნაწილს და და სხვა შიდა მიგრანტებს წალკის რაიონში ფორმალურად მიწა არ ეკუთვნით.¹²⁶

როგორც კი წალკაში მიწის პრივატიზაციის მეორე ეტაპი დაიწყო (2005 წლის კანონის საფუძველზე), 2000 წლის შემდეგ საკუთარი ინიციატივით ჩამოსახლებული

იხილეთ საიტზე: http://www.civil.ge/eng/article_ngo.php?id=8542.

¹²⁵ ინტერვიუები წალკის რაიონში, 25-26 ივლისი, 2006 წ.

¹²⁶ ინტერვიუ წალკის რაიონის გამგებელ მიხეილ ცქიტიშვილთან, 25 ივლისი, 2006 წ.

მიგრანტები სერიოზული პრობლემების წინაშე დადგებიან. სახლების ღირებულება ხშირად ნაწილ-ნაწილ არის გადახდილი და რამდენიმე სოფელში ეკომიგრანტებს ჯერაც არა აქვთ დაფარული ადგილობრივი მოსახლეობისაგან (ბერძნები და სომხები) ნაყიდი სახლების მთლიანი ღირებულება. ღირებულების სრულ დაფარვამდე ქონება (იურიდიულად) იმ ძველი მფლობელის ან გამყიდველის საკუთრებაში რჩება, ვის სახელზეც იყო რეგისტრირებული თავიდან. შესაბამისად, შემსყიდველები (მიგრანტები) არ არიან გაფორმებულნი ამ სახლებში, ასე რომ, უფლება არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მიწის პრივატიზაციის სპეციალურ აუქციონებში. მათ ჯერ კიდევ აქვთ ღია აუქციონში მონაწილეობის იმედი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სასურველი ადგილობრივი მიწის შესყიდვის ალბათობა მინიმალურია. მართალია, სპონტანურად ჩამოსულთა უმრავლესობა ეკომიგრანტი არ არის, მაგრამ საკუთარი ინიციატივით ჩამოსულ ეკომიგრანტთა შეფარდება არ არის უმნიშვნელო. მაგალითად, თეთრწყაროში მათი რაოდენობა დაახლოებით 220-ია.¹²⁷ თუ ეს საკითხები არ მოგვარდა, ამან, შესაძლოა, დაძაბულობის ახალი წყარო წარმოშვას.

პრობლემები არსებობს მიწის პრივატიზაციის თვალსაზრისითაც. პირველ რიგში, მიწის პრივატიზაციის კანონი არ ეხება ადრე ბერძნების მფლობელობაში მყოფ მიწას, რომელიც ფორმალურად ახლაც იმ ბერძნებს ეკუთვნის, ვინც უკვე დატოვა ქვეყანა. ხშირად ეს მაღალი ხარისხის ნიადაგია, რომელიც ხელმიუწვდომელია ახალჩამოსული მიგრანტი მოსახლეობისათვის. მეორეც, მიწის პრივატიზაციის კანონი ითვალისწინებს არაკერძო მფლობელობაში არსებული მიწის გაყიდვას სპეციალური აუქციონების საშუალებით, მაგრამ ამ აუქციონში მონაწილეობის უფლება მხოლოდ სოფლის საკრებულოში რეგისტრირებულ პირებსა აქვთ. ასე რომ, ახალჩამოსულებს ამის არანაირი უფლება არ გააჩნიათ. ამ მიზეზით წალკის რაიონის გამგებელმა მიხეილ ცქიტიშვილმა რაიონში პრივატიზაციის კანონის განხორციელება დროებით შეაჩერა. ის ცდილობს, ცენტრალური ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ ან აუქციონებში მონაწილეობის თანაბარი უფლება მისცენ ახალჩამოსულებს, ან სხვა საშუალებებით გადაჭრან ეს პრობლემა.¹²⁸ ეს პრობლემა მაინც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა მოაგვარონ.

¹²⁷ ინტერვიუ თეთრწყაროს რაიონის გამგებლის მოადგილე ენვერ გაბუღდანთან, 20 ოქტომბერი, 2006 წ.

¹²⁸ ინტერვიუ წალკის რაიონის გამგებელ მიხეილ ცქიტიშვილთან, 15 ივლისი, 2006წ.

ამ დროს წაღკის სომხური მოსახლეობაც ჩივის დისკრიმინაციის თაობაზე. ისინი აცხადებენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში თანამდებობების დაკავებისას ქართველებს უპირატესობა ენიჭებათ და, შედეგად, სომხებს დასკვნა გამოაქვთ, რომ ახალჩამოსულებისათვის ხშირად უფრო ადვილია მათი იურიდიული და ადმინისტრაციული პრობლემების გადაჭრა, ვიდრე სომხებისა და ბერძნებისთვის. ეს პრეტენზია ეხება სამუშაო ადგილებსაც. ადგილობრივი სომხებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული თემაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი, რომელიც 2002-2005 წლებში წაღკის რაიონისთვის სამუშაო ადგილების მთავარი წყარო იყო. მართლაც, აღმოჩნდა, რომ დაქირავებული სომხებისა და ადგილობრივი მუშახელის წილი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ქართველებისა ხოლო პროექტში დასაქმებული ქართველები, როგორც წესი, იყვნენ აჭარიდან და სვანეთიდან ახალჩამოსულები, ეკომიგრანტების ჩათვლით. მილსადენიდან 2 კილომეტრში მდებარე სოფელ კიზილკილისას სომეხი მცხოვრებლები ჩიოდნენ, რომ მათი სოფლიდან მხოლოდ 5 ადამიანს მისცეს მილსადენზე სამუშაო ადგილი.¹²⁹ ასეთმა ვითარებამ სომეხი მოსახლეობის უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია და უდავოდ სერიოზული გავლენა მოახდინა რეგიონში შიდაეთნიკურ ურთიერთობებზე.

რაც შეეხება მიწის საკითხს ჯავახეთში, მდგომარეობა არც აქ არის უკეთესი – თუ უარესი არა. განსაკუთრებით ეს ეხება სოფელ სპასოვკას, სადაც მიწასთან დაკავშირებული დაძაბულობა განსახლების ადრეულ წლებში თითქმის ძალადობრივ კონფლიქტში გადაიზარდა. ჩასახლების პირველ წლებში (1990) ეკომიგრანტებმა თხოვნით მიმართეს სოფლის ადგილობრივ ხელმძღვანელს (ეროვნებით სომეხს), რომ მათთვის იჯარით გამოეყო 1,000 ჰექტარი მიწა. ეს თხოვნა კანონის ფარგლებს არ სცილდებოდა, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მასზე უარი განაცხადა. შედეგად, ქართველმა მიგრანტებმა გადაწყვიტეს, საკუთარი უფლებები დაეცვათ და სოფლის სკოლის წინ დემონსტრაცია მოაწვეეს არსებული პირობების მიმართ პროტესტის გამოსახატად. ეკომიგრანტებსა და სოფლის ადგილობრივ მმართველობას შორის სიტუაცია გამწვავდა. ამასთანავე სოფელში სხვა სოფლებიდან 500 სომეხი შემოვიდა. საფრთხის წინაშე დამდგარმა აჭარლებმა ნინოწმინდის რაიონის ხელისუფლებას მიმართეს. ამ დროს კოსტავას საზოგადოებასთან ასოცირებული

¹²⁹ მშენებლობის პერიოდში ბრ-ს პოლიტიკა მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავებისკენ. ამასთან პრიორიტეტი ენიჭებოდა მოსახლეობას, რომელიც მილსადენიდან 2 კმ-ს ზონაში ან მიწისზედა კონსტრუქციებიდან 5 კმ-ს ზონაში ცხოვრობდა.

ქართული პარამილიტარისტული ჯგუფები დაბა ნინოწმინდაში იყვნენ განლაგებულნი. როდესაც სპასოვკაში მილიციის ნაწილები ჩავიდა, სიტუაცია უკვე უკიდურესად იყო დაძაბული. როგორც იქაური აჭარლების ლიდერი აცხადებდა, მათ ეშინოდათ, რომ სომხები დაესხმოდნენ თავს. მილიციის ჯგუფმა ორივე მხარესთან მოლაპარაკების შედეგად მოახერხა კონფლიქტის განმუხტვა და საბოლოოდ ქართველ მიგრანტებს მიწა გამოუყვეს.¹³⁰

მოგვიანებით კიდევ ერთმა ინციდენტმა გამოიწვია დაძაბულობა. 1995 წელს სპასოვკის მცხოვრებლებს სათიბები ჩამოართვეს. მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული ეს საქმე ბუნდოვანი იყო და ადგილობრივმა ოფიციალურმა პირებმა გადაწყვიტეს, სპასოვკის მცხოვრებთათვის ამ მიწის გამოყენება შეეზღუდათ. ბუნებრივია, ამან სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია ქართულ მოსახლეობაში. საერთოდ, სპასოვკის მცხოვრებლები ჩივიან, რომ სოფლის მიწები სხვა სოფლების სომეხ მცხოვრებლებს გადასცეს, მაშინ, როცა სპასოვკაში ჩასახლებულები მიწის ნაკლებობას განიცდიან. 1996 წლისათვის ეკომიგრანტებს სპასოვკაში საშუალება ჰქონდათ, ოჯახზე დაახლოებით 4 ჰექტარი მიწა აეღოთ იჯარით. მიუხედავად იმისა, რომ ეკომიგრანტებმა მიწის იჯარით აღების თითოეულ კონტრაქტზე 80 ლარი გადაიხადეს, მათ არ მიუღიათ ოფიციალური კონტრაქტები, რითაც ამ მიწის იჯარით აღების დადასტურებას შეძლებდნენ.¹³¹ დღეს – პრივატიზაციის მოახლოებისას – ოფიციალური დოკუმენტების არქონა ნიშნავს, რომ მათ, ვისაც მიწის პრივატიზება მოუნდება, ამის შესაძლებლობა არ ექნებათ, რადგან ისინი მიწის იჯარით აღების საბუთს ვერ წარადგენენ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემები ხშირად გვხვდება მხოლოდ სომხებით დასახლებულ სოფლებშიც, სადაც გარკვეულ ჯგუფებს – ხშირად ოფიციალური პირების ნათესავებს – პრივილეგიურებულად აძლევენ მიწას. სპასოვკის მცხოვრებთა შემთხვევაში კი არსებობს დაძაბულობის ეთნიკურ კონფლიქტში გადასვლის ალბათობა.¹³² დღეს სპასოვკაში მიწის ნაკლებობაა, რაც ეკომიგრანტებს ოჯახების ზრდასთან ერთად წალკაში გადასვლისაკენ უბიძგებს, მაშინ, როდესაც სხვა

¹³⁰ ინტერვიუ სოფელ სპასოვკის მკვიდრ ჯემალ ვანაძესთან, 24 სექტემბერი, 2006 წ.

¹³¹ იგივე

¹³² ინტერვიუები სპასოვკაში, 23-25 სექტემბერი, 2006 წ.

(სომხური) სოფლების მცხოვრებლები სპასოვკის მიმდებარე მიწებს იჯარით იღებენ. ეს ფაქტი ქართული მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ენის საკითხი

ეკომიგრანტების ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და არსებითი ფაქტორია ენის საკითხი. როგორც წალკის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა საუბრისას, „მეგობრებს კონფლიქტების გადაწყვეტა ერთმანეთში კომუნიკაციით შეუძლიათ, მაგრამ, როდესაც ჯგუფები კომუნიკაციას ვერ ახდენენ ენობრივი ბარიერის გამო, კონფლიქტის გადაჭრის სხვა მექანიზმი არ არსებობს.“¹³³ ეს პრობლემა არსებობს როგორც ქვემო ქართლში, ისე ჯავახეთში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ქართული სოფლები სომხური და აზერბაიჯანული სოფლებითაა გარშემორტყმული, მაგრამ ამ სოფლებს შორის ურთიერთობა ძალზე შეზღუდულია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქართულ სოფლებს, რომლებიც მხოლოდ ეკომიგრანტებითაა დასახლებული. აჭარელი ეკომიგრანტების ძალიან მცირე პროცენტი ლაპარაკობს რუსულად, ხოლო სომხური, აზერბაიჯანული და ბერძნული მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი – ქართულად. მართალია, ეროვნული უმცირესობების ბევრ წარმომადგენელს აქვს ქართულის სწავლის სურვილი და განსაკუთრებით ახალგაზრდები აცნობიერებენ, რომ ეს მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და კარიერული შესაძლებლობების გაფართოებას დაეხმარება, მაგრამ წლებია საჭირო, რომ ქვეყნის ყველა თემმა ერთ საერთო ენაზე შეძლოს ურთიერთობა. უდავო ფაქტია, რომ განსხვავებული ეთნიკური თემები ძნელად ამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან და ერთად არ განიხილავენ სოციალურ ან ეკონომიკურ საკითხებს. ასე რომ, ეთნიკურ საფუძველზე შექმნილი კომუნალური პრობლემების მოგვარება ძნელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების (გამგობის) ჩარევის გარეშე.

მთლიანობაში, ჩამოსახლებული და ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემები სოციალური და ეკონომიკური ხასიათისაა. მიწის მცირე ნაკვეთებზე მარტივი შეკამათებაც კი შეიძლება ადვილად გადაიზარდოს სერიოზულ

¹³³ ინტერვიუ წალკის რაიონის გამგებელ მიხეილ ცქიტიშვილთან, 15 ივლისი, 2006 წ.

კონფლიქტში, რომელიც ბევრ შემთხვევაში ეთნიკურ კონფრონტაციად იქნება აღქმული არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მიერაც. ამ მხრივ ქვემო ქართლი და ჯავახეთი განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგია და ეჭვგარეშეა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში არსებული კონფლიქტის გაღვივების შესაძლებლობა საფრთხეს უქმნის სტაბილურობას რეგიონში. ეს ფაქტი კიდევ უფრო უსვამს ხაზს საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობებსა და ჩამოსახლებულებს შორის დაძაბულობის წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია სისტემატური ზომების მიღება ეკოლოგიური მიგრაციის რეგულირებისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

მიგრაციის უმართავმა პროცესმა, რომელიც ეკონომიკურ კრიზისსა და პოლიტიკურ არეულობას დაემთხვა, ბოლო 20 წლის განმავლობაში ათასობით საქართველოს მოქალაქე დატოვა სამართლებრივ ვაკუუმში. მიგრაციის პროცესებს ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გაუარესება მოჰყვა.

რადგან სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების რიცხვი ძალზე დიდია როგორც აჭარაში, ისე სვანეთში და 60,000-ზე მეტი ადამიანი იყო განსახლებული ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, ეკოლოგიური მიგრაციის საკითხი ბევრად მეტი ყურადღების დათმობას იმსახურებს, ვიდრე ეს დღემდე ხდება. საჭიროა, ჩამოყალიბდეს მიგრაციის მართვის პოლიტიკის სისტემა. 2006 წელს საქართველოს მთავრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო ომის შედეგად ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ინტერგაციის სტრატეგიის შემუშავებით იყო დაკავებული და სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო ეკომიგრანტებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკომიგრაციის მენეჯმენტი რთული და რესურსტევადი საკითხია.

უახლოეს წარსულში გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მთელი ქვეყნის მასშტაბით (სვანეთისა და აჭარის ჩათვლით) ეკოლოგიური მიზეზით დაზარალებული

ან პოტენციურ მიგრანტი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნის დასრულებისთვის. თუმცა ეს ქვეყნის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემის რეალურად გადაწყვეტის კომპლექსური სტრატეგის შემუშავების მხოლოდ საწყისი ეტაპი უნდა იყოს.

მოცემულ დოკუმენტში ვეცადეთ, ეკოლოგიური მიგრაციისათვის დამახასიათებელი ბევრი ასპექტიდან ორზე გაგვემახვილებინა ყურადღება: პირველი, ეკომიგრანტების მდგომარეობის გაანალიზებით, მოგვეწოდებინა საჭირო ინფორმაცია ეკოლოგიური მიგრაციის მენეჯმენტის სტრატეგიის შესამუშავებლად, სადაც ეკოლოგიური მიზეზით გადაადგილებულთა მოთხოვნები იქნებოდა გათვალისწინებული; და მეორე, შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა უპირატესად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე და იმ პრობლემებზე რომლებაც თავი იჩინეს ეკოლოგიური მიგრაციების შედეგად.

პირველი საკითხი ქვემოთ იქნება კონკრეტულად განხილული. მას თან დართული აქვს რეკომენდაციები. ჩვენი აზრით, საჭიროა, შემუშავებულ იქნეს ეკომიგრანტების დაცვის საკანონმდებლო სტრუქტურა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეკოლოგიური მიგრაციის პროცესის მართვის მრავალმხრივი სახელმწიფო სტრატეგია.

მეორე საკითხი, ეკომიგრანტების დასახლება, ასევე საჭიროებს საბოლოო მიმოხილვას. ამ კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ეკომიგრაციამ ზოგან სერიოზული დაძაბულობა წარმოშვა მიმღებ თემებში. კერძოდ, ამ ნაშრომში აქცენტი გაკეთდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე და მის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსახლეობაზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ იყო მიმღებ ქართველ თემებში. ფაქტია, რომ სამეგრელოში ჩასახლებული ბევრი ეკომიგრანტიც უკან დაბრუნდა და მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაძაბულობა შეექმნათ ბევრ სხვა რეგიონშიც. თუმცა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჩასახლებისას იკვეთება ტენდენცია, რომ ჩასახლება ეთნიკურ თვალსაზრისით განიხილება და ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ჩამოსულებს შორის დაძაბულობაც ეთნიკურ კონფლიქტად აღიქმება. ეჭვგარეშეა, რომ მიგრაციის პროცესისათვის დამახასიათებელი გეგმის არარსებობამ, საბჭოთა ხელმძღვანელებისა და პოსტსაბჭოთა მთავრობების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მიმღებ თემებში დაძაბულობის შექმნას. არადა, ადგილებზე უკეთესი

პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში ამ პრობლემების დიდი ნაწილი თავიდან იქნებოდა აცილებული.

სავარაუდოა, რომ სახელმწიფო განსახლების პოლიტიკა ნაწილობრივ სასაზღვრო უბნებსა და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური ქართველების წარმომადგენლობის გაძლიერების ნაციონალისტური პროგრამით იყო ნაკარნახევი. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ განსახლებისას იმ ფაქტითაც ხელმძღვანელობდნენ, რომ მზა სახლები უფრო ხელმისაწვდომი იყო ეროვნული უმცირესობების მიერ დატოვებულ რეგიონებში, როგორც, მაგალითად, წალკაში 1990-იანი წლების ბოლოს და შემდგომ პერიოდში.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შიდა მიგრანტთა დასახლების მიმართ დაბალანსებული მიდგომის შემუშავება. მოცემული ნაშრომის მიზანი არ არის ისეთ კომპლექსური შეკითხვებზე პასუხის გაცემა, თუ რა მოცულობით შეიძლება ეკოლოგიური და სხვა შიდა მიგრანტების ჩასახლება უმცირესობებით დასახლებულ ისეთ რეგიონებში, როგორც ჯავახეთი და ქვემო ქართლია. თუმცა სასარგებლო და რეალური იქნებოდა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის გახსენება და მისი პირობების – როგორც ამ მიმართულებით პოლიტიკის წარმართვის სახელმძღვანელო პრინციპების – გათვალისწინება. 2005 წლის დეკემბერში საქართველოში რატიფიცირებული ამ კონვენციის მე-16 მუხლში დადგენილია, რომ:

მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებში მოსახლეობის რაოდენობრივ შეფარდებას ცვლის და რომლებიც მიზნად ისახავს ჩარჩო-კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

ეროვნული უმცირესობების ჩარჩო-კონვენციის განმარტებით მოხსენებაში (მუხლი 81-82) მითითებულია, რომ ეს მუხლი კრძალავს “მხოლოდ იმ ზომებს, რომლებიც ჩარჩო-კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას ისახავს მიზნად“. ასევე აღნიშნულია, რომ ეს აკრძალავს არ ვრცელდება უფლებებისა და თავისუფლებების ისეთ ამკრძალავ ღონისძიებებზე, რომლებიც დასაბუთებული და

ლეგიტიმურია. დასაბუთებული განსახლების ერთ-ერთი მაგალითია სოფლის მცხოვრებთა გადასახლება კაშხლის მშენებლობის შემთხვევაში. მეორე მაგალითი კი შეიძლება იყოს ეკოლოგიური მიზეზით მოქალაქეთა გადასახლება ქვეყნის ფარგლებში. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩასახლება ხდება ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად. ამ მხრივ ჩარჩო-კონვენციის აშკარა დარღვევა იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ ეკომიგრანტებისათვის განსახლების ადგილის შერჩევასა და მიზნადაა დასახული ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დემოგრაფიული სურათის შეცვლა, თუმცა კონვენციის დარღვევა არ იქნებოდა ადგილნაცვალ პირთათვის შესაფერისი განსახლების ადგილის პონა.

როგორც ქვემოთაა აღნიშნული რეკომენდაციებში, ჩვენი აზრით, საჭიროა ეკოლოგიური მიგრაციის სტრატეგიის შემუშავება. განსახლების პოლიტიკის შემუშავებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ ეკომიგრანტთა წარმომადგენლების, არამედ მიმღები თემების მონაწილეობა; ამასთანავე ეს მონაწილეობა მხოლოდ პოლიტიკის შემუშავებით კი არ უნდა შემოიფარგლებოდეს, არამედ ორივე ჯგუფმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს უფრო პრაქტიკულ ეტაპზეც – როდესაც მოხდება ეკომიგრანტთა ახალი განთავსების ადგილების განსაზღვრა. მომავალ მიმღებ თემებთან კონსულტაციების პროცესი უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეროვნული უმცირესობები (ასევე ქართული მიმღები თემებიც) არ არიან წინააღმდეგნი. ამგვარად თავიდან ავირიდებთ დაძაბულობას ეკომიგრანტების დასახლების ადგილებში.

ახლა დაუბრუნდეთ მთავარ საკითხს ანუ ეკომიგრანტებს. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემების მოგვარების სახელისუფლებო მცდელობები ორ სივრცეს უნდა შეეხოს: პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს მომავალში ეკოლოგიური ადგილნაცვალობის გეგმაზე და, საჭიროა, რომ მან განსახლების მრავალმხრივი სტრატეგია ჩამოაყალიბოს; მეორე რიგში, მუშაობა უნდა შეეხოს იმ ეკომიგრანტთა პრობლემებს, რომლებიც 1987 წლიდან ჩასახლდნენ და დღემდე აწყდებიან სირთულეებს, ძირითადად სახლებისა და მიწების ფორმალურ მფლობელობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები:

საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებები

ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება და მიღება. კანონმდებლობა ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ განსახლების წარმატებული პოლიტიკისა და ამ საკმარის სუსტი ჯგუფის დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. დღეს ეკომიგრანტები, მათი სიტუაციის სპეციფიკურობის გამო, უფლებონი და დაუცველნი არიან. არსებული ქართული კანონმდებლობის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ეკომიგრანტთა უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა. ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი ეკოლოგიური მიზეზით ადგილნაცვალ პირთა შესახებ. ამის ალტერნატივა შეიძლება ასევე იყოს არსებულ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა. ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა შესახებ საქართველოს კანონი¹³⁴ (ბოლოს შესწორდა 2006 წლის ივნისში) არ განიხილავს ბუნებრივი და/ან ხელოვნური კატასტროფების შედეგად ადგილნაცვალ პირებს და, ამდენად, ეწინააღმდეგება “შიდა ადგილნაცვალობის ძირითად პრინციპებს”, რომლებიც გაერომ 1998 წელს დაადგინა.¹³⁵ ეკოლოგიური მიზეზით ადგილნაცვალ პირთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს პარლამენტს შეუძლია, შესწორებები მიიღოს ადგილნაცვალ პირების შესახებ უკვე არსებულ კანონში ეკომიგრანტთა სტატუსის, უფლებებისა და ვალდებულებების ჩამატებით შიდა ადგილნაცვალობასთან დაკავშირებით გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამას მოჰყვება – გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად – “ადგილნაცვალ პირის” განმარტების გაკეთება, როგორც “პირისა, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში შეიარაღებული კონფლიქტის, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან ბუნებრივი თუ ადამიანის მოქმედებით გამოწვეული უბედურების გამო, ან მის თავიდან ასაცილებლად”.

ეკოლოგიური მიგრაციის მართვის გრძელვადიანი სტრატეგია. სასურველია, რომ ცენტრალურ დონეზე დაფუძნდეს უწყებათაშორისი ორგანო, რომელიც ლტოლვილთა

¹³⁴ კანონი იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.unhcr.org/home/RSDLEGAL/44ab85324.pdf>

¹³⁵ სრული ტექსტი იხილეთ ვებ-გვერდზე: http://www.reliefweb.int/ocha_ol/pub/idp_gp/idp.html

და განსახლების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების მაღალი რანგის პირებით იქნება დაკომპლექტებული. ეს სახელმწიფო უწყებები, მათი კომპეტენციების შესაბამისად, შეძლებენ, ადეკვატურად დაგეგმონ და ჩამოაყალიბონ განსახლების გრძელვადიანი სტრატეგია. გარდა ამისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ასევე დონორ ორგანიზაციებთანაც, რათა განსახლების პროგრამის ჩამოყალიბებისა და შესრულების პროცესში მათი ფინანსური და ინფორმაციული დახმარება მოიპოვოს. ამავე დროს, საჭიროა, მთავრობამ ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინფორმაციისა და მონაცემთა, ასევე გამოცდილების გაზიარების მიზნით და აქტიურად ჩართოს ეროვნული და საერთაშორისო სააგენტოები (UNHCR, IOM, CoE, INGOs) სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. ამდენადვე მნიშვნელოვანია ეკოლოგიურ მიგრანტთა თემების და მიმღები თემების წარმომადგენელთა ჩართვა სტრატეგიის შემუშავებაში. სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელი იქნება ეკოლოგიური მიგრანტების მდგომარეობის შემდგომი კვლევა. მეტიც, საჭიროა, ჩასახლებამდე გამოკვლეულ იქნეს სავარაუდო მიმღები თემებიც. გარემოს დაცვის საკითხები, ეკონომიკური პირობები ეთნიკური და დემოგრაფიული ფაქტორები და კულტურული განსხვავებები ადაპტაციის პროცესის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია.¹³⁶

განსახლების სტრატეგია რამდენიმე პუნქტს უნდა მოიცავდეს, რომლებიც ურთიერთკავშირშია:

მოქმედებათა სათადარიგო გეგმა. ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოულოდნელი სტიქიური უბედურების შემთხვევაში მოქმედების სპეციალური სტრატეგია სჭირდებათ. უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ადამიანების საჭიროებებს დააკმაყოფილებს. ბარში უნდა აშენდეს დროებითი

¹³⁶ სწრაფი და მშვიდი ადაპტაციის პროცესი სხვადასხვა კულტურის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას შეუწყობს ხელს. მეტიც, ადაპტაციის პროცესის წარმატებას ხელს შეუწყობს მიმღებ რეგიონებში ადეკვატური დაგეგმვა.

თავშესაფარები და განთავსების ადგილები; უნდა შეიქმნას სპეციალური სარეზერვო ფონდები – სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარებისათვის და ა.შ.

განსახლების დახმარების პროგრამა. დახმარების ამ პროგრამამ ეკოლოგიურ მიგრანტებს ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ადაპტაციაში ჩასახლების ყველაზე რთულ – პირველ პერიოდში. ჩასახლების დროს ეკომიგრანტებს ხელი უნდა შეეწყოს ფინანსური დახმარებებით. სახელმწიფოს დახმარების გარეშე ეკომიგრანტისათვის უკიდურესად ძნელია ახალი ცხოვრების დაწყება უცნობ ადგილას. საქართველოს შიგნით ადგილნაცვალ პირთა (ეკოლოგიური თუ ომის მიზეზით) უკვე არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 10, 15 ან 20 წლის შემდეგაც კი, ადგილნაცვალი პირები სუსტად არიან ადაპტირებულნი მათი დასახლების ადგილას. ადგილნაცვალი პირები საზოგადოების ერთ-ერთ უღარიბეს სეგმენტად რჩებიან.

ინტეგრაციის პროგრამა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ინტეგრაციის ყველა ასპექტს მოიცავს. პროგრამაში სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული მიმღები თემების ადგილობრივი სპეციფიკა და ახალი მიმღები თემების შერჩევის პროცესში სისტემატური შეფასებისა და კონსულტაციების პრაქტიკა.

1987 წლიდან ჩასახლებული ეკომიგრანტებისათვის დახმარების აღმოჩენის პროგრამა. პროგრამა მიმართული იქნება იმ ეკომიგრანტების დახმარებისკენ, ვისაც ჯერ კიდევ აქვს პრობლემები სახლების ფორმალურ მფლობელობასთან და მიწის ხელმისაწვდომობასთან თუ მფლობელობასთან დაკავშირებით.

მოკლევადიანი ღონისძიებები

ECMI - აჭარის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლთან თანამშრომლობით ინიციატივას აიღებს და ორგანიზებას გაუკეთებს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით მრგვალი მაგიდის შეხვედრების სერიას, რომლის მიზანი იქნება გრძელვადიანი მიზნების ხელშემწყობი ქმედებების ინიცირება.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, სავარაუდოდ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეძლებს, შეაფასოს მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული მდგომარეობა, განსაკუთრებით წალკის რაიონში. არსებულ მდგომარეობაში, როდესაც მიწის დიდი ნაკვეთები ემიგრირებული ბერძნების მფლობელობაშია, საჭიროა კვლევის ჩატარება, რომელიც დაადგენს მიწის არსებულ მფლობელებს, რის საფუძველზეც მიღებენ შესაბამის ზომებს ამ მიწის შესყიდვისა და ამჟამად სოფლებში მცხოვრებთა შორის მისი ოფიციალურ გადანაწილების უზრუნველსაყოფად.

ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ მიგრანტებს და მეტი თანხები უნდა გამოიყოს მათი განსახლების პროგრამებისათვის. 2004-2005 წლებში სახელმწიფოს მიერ შესყიდული სახლები ძირითადად იმათთვის იყო განკუთვნილი, ვინც უკვე ჩასახლდა იქ საკუთარი ინიციატივით. მართალია, დახმარების ამ მიმდებებს უდავოდ სჭირდებოდათ საკუთარი სტატუსის ლეგალიზება, მაგრამ სახელმწიფო ვეღარ დაეხმარა ბევრ იმ ოჯახს, რომელიც სასწრაფო გადასახლებას საჭიროებს.

ეკომიგრანტებისა და ეკომიგრაციის მიმართ სისტემატიზებული მიდგომის შემუშავება ქმედით სახელმწიფო პოლიტიკაზე დაყრდნობით საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, მოახდინოს სოციალური კრიზისების პრევენცია და ხანგრძლივ პერსპექტივაში შეამციროს ფინანსური დანახარჯები, ამავე დროს ხელი შეუწყოს ინტეგრაციისა და განვითარების პროცესებს ქვეყანაში. ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივაში ამგვარი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მთავრობის შესაძლებლობების გაფართოებას, ქვეყანაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

დანართი

ცხრილი 1

რაიონი	1979 წლის აღწერა					1989 წლის აღწერა					2002 წლის აღწერა				
	ქართველ.	რუსები	ბერძნ.	სომხები	აზერ.	ქართველ.	რუსები	ბერძნ.	სომხები	აზერ.	ქართველ.	რუსები	ბერძნ.	სომხები	აზერ.
ახალქალაქი	3,067 4.40%	1,788 2.57%	70 0.10%	63,692 91.70%	142 0.20%	3,005 4.3%	1,737 2.5%	68 0.10%	63,092 91.3%	171 0.2%	3,124 5.27%	157 0.06%	51 0.08%	57,516 94.33%	3 0.00%
ნინოწმინდა	370 1.1%	3,830 10.46%	33 0.09%	32,231 87.99%	87 0.24%	454 1.2%	3,161 8.3%	35 0.09%	33,964 89.62%	43 0.11%	476 1.39%	963 2.75%	5 0.01%	32,857 95.78%	2 0.00%
ახალციხე	21,702 43.10%	2,910 5.78%	230 0.46%	24,035 47.74%	119 0.24%	25,648 46.8%	3,426 6.2%	239 0.4%	23,469 42.8%	118 0.2%	28,473 64.72%	410 0.89%	129 0.28%	16,879 36.59%	13 0.03%
ადიგენი	18,007 90.15%	424 2.13%	21 0.11%	1,263 6.32%	46 0.23%	19,491 91.6%	294 1.4%	23 0.1%	1,237 5.8%	50 0.23%	19,860 95.70%	101 0.46%	7 0.03%	698 3.36%	17 0.08%
ასპინძა	9,651 77.76%	56 0.45%	14 0.11%	2,654 21.38%	14 0.11%	10,753 80.1%	45 0.3%	15 0.11%	2,565 19.1%	11 0.08%	10,671 82.02%	34 0.26%	8 0.06%	2,273 17.47%	0 0.00%
ბორჯომი	25,351 68.10%	1,631 4.38%	1,403 3.77%	4,699 12.62%	64 0.17%	28,057 82.0%	1,768 4.53%	1,313 3.36%	3,877 9.94%	61 0.15%	27,301 84.21%	585 18.0%	540 1.67%	3124 9.64%	24 0.27%
ბოლნისი	12,032 17.52%	1,377 2.00%	2,031 2.96	6,396 9.31%	45,914 66.84%	17,688 21.7%	1,210 1.48%	2,345 2.87%	5,545 6.8%	53,808 65.98%	19,926 26.82%	414 0.56%	438 0.59%	4,316 5.81%	49,026 65.98%
გარდაბანი	46,306 46.01%	6,614 6.57%	1,423 1.41%	2,093 2.08%	39,956 39.70%	52,396 45.7%	6,263 5.5%	1,522 1.3%	1,617 1.4%	48,781 42.5%	60,832 53.20%	994 0.87%	236 0.21%	1,060 0.93%	49,993 43.72%
მარნეული	6,453 6.42%	3,250 3.32%	3,791 3.77%	12,986 28.37%	72,965 72.57%	7,805 6.5%	2,930 2.43%	3,657 3.4%	12,581 10.45%	91,923 76.35%	9,503 8.04%	523 0.44%	396 0.33%	9,329 7.89%	98,245 83.10%
თეთრიწყა-რო	15,665 44.4%	2,416 6.86%	3,637 21.68%	5,044 14.32%	2,336 6.63%	16,732 45.9%	2,367 6.5%	8,413 23.1%	4,520 12.4%	2,499 6.8%	18,769 74.03%	689 2.72%	1,281 5.05%	2,632 10.38%	1,641 6.47%
ღმანისი	5,774 12.95%	691 1.55%	3,537 7.94%	2,308 5.18%	32,164 72.16%	14,590 28.1%	579 1.1%	3,174 6.1%	187 0.4%	33,107 63.9%	8,759 31.24%	156 0.56%	218 0.78%	147 0.52%	18,716 66.76%
წალკა	1,710 3.47%	360 0.73%	30,811 62.45%	13,996 38.37%	2,231 4.52%	1,613 3.6%	320 0.7%	27,127 61.0%	12,671 28.5%	2,281 5.1%	2,510 12.02%	125 0.60%	4,589 21.97%	11,484 54.98%	1,992 9.54%
ბათუმი	73,126 59.80%	24,781 20.26%	2,576 2.11%	13,936 11.40%	528 0.43%	90,253 65.9%	21,112 15.14%	2,747 2.0%	13,394 9.8%	665 0.9%	104,313 85.64%	6,300 5.17%	587 0.48%	7,517 6.17%	301 0.25%
თბილისი	656,431 62.15%	129,143 12.23%	16,179 1.53%	152,900 14.48%	12,867 1.22%	824,412 66.1%	124,867 10.0%	21,722 1.7%	150,138 12.0%	17,986 1.4%	910,712 84.19%	32,580 3.01%	3,792 0.35%	82,586 7.63%	10,942 0.01%
სულ საქართველო-ში	3,433,011 68.75%	371,608 7.44%	95,105 1.90%	448,000 8.97%	255,678 5.12%	3,787,393 70.1%	341,172 6.3%	100,324 1.9%	437,211 8.1%	307,556 5.7%	3,661,173 83.75%	67,671 1.55%	15,166 0.35%	248,929 5.69%	284,761 6.51%

ცხრილი 2: სახელმწიფოს პროგრამით განსახლებული ეკომიგრანტთა რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში 1981-1990 წწ.

ჩასახლების რაიონი	ჩასახლების ადგილი სოფლები	წარმოშობის რაიონი	ჩასახლების წლები	გეგმურად ასაშენებელი სახლების რაოდენობა*	დასრულებული სახლების რაოდენობა*	რეგისტრირებული მოსახლეობა (ოჯახების მის.)	მოსახლეობის რეალური რაოდენობა (ოჯახების მის.)	დღეს მცხოვრები ეკომიგრანტები**
ასპინძა	ოშრა	ხულო	1981	43	43	43	43	49 (261 ადამიანი)
	რუსთავი	ხულო	1981	36	36	36	36	36 (175 ადამიანი)
	ივერია	ხულო	1982-	78	78	78	78	80 (335 ადამიანი)
	გულსუნდა	ხულო	1982-83	14	14	14	14	14 (75 ადამიანი)
	მირაშხანი	ხულო	1982-83	32	32	32	32	60 (280 ადამიანი)
	ოთა	ხულო	1980-1981	25	25	25	25	25 (153 ადამიანი)
ჯამი				254	254	254	254	1279 ადამიანი 254 ოჯახი
ადიგენი	ჭელა	ხულო	1982	არ არის ცნობილი	არ არის ცნობილი	15	15	15 ოჯახი
	საირმე	ხულო	1982-83	არ არის ცნობილი	არ არის ცნობილი	24	24	24 ოჯახი
	ზანავი	ხულო	1985	არ არის ცნობილი	არ არის ცნობილი	15	15	15 ოჯახი
	კიკინეთი	ხულო	1985	არ არის ცნობილი	არ არის ცნობილი	14	14	14 ოჯახი
	ციხისუბანი	ხულო	1988	არ არის ცნობილი	არ არის ცნობილი	12	12	12 ოჯახი
ჯამი						78	78	78 ოჯახი
ახალქალაქი	აპნია	ხულო	1989	80	34	78	55	35 (145 ადამიანი)
	გოგაშენი	ხულო	1989	60	34	58	34	7 (34 ადამიანი)
	ოკამი	ხულო	1989	131	101	140	70	62 (222 ადამიანი)
	აზმანა	ხულო	1989	67	22	70	22	40 (171 ადამიანი)
	ჩუნჩხა	ხულო	1989	53	53	53	53	38 (209 ადამიანი)
	პტენა	ხულო	1989	66	27	36	36	35 (127 ადამიანი)
	კოთელია	ხულო	1989	53	42	42	37	16 (60 ადამიანი)

ჯამი				510	313	477	307	233 ოჯახი 968 ადამიანი
ნინოწმინდა	სპასოვკა	ხულო	1990	31 სახლი იყიდა კოსტავას ფონდმა	19 გადაეცა ეკომიგრანტებს	32	22	84 ოჯახი (336 ადამიანი)
ჯამი				31	19	32	20	84 ოჯახი (336 ადამიანი)
ბორჯომი	ბალანთა	ხულო	1989	50	6/დანარჩენები ცხოვრობენ ვაგონებში	32	20	1 ოჯახი (6 ადამიანი)
ჯამი				50	6	32	20	1 ოჯახი (6 ადამიანი)
სულ სამცხე-ჯავახეთში						873	679	650 ოჯახი

პირველწყარო: * ბორჯომის, ადიგენის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის რაიონებში შეგროვებული მონაცემები

** სოფლების მიხედვით ეკომიგრანტთა რაოდენობა, ოფიციალური რეგისტრაციის მონაცემებით ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და ბორჯომის გამგეობებში 2005-2006

ცხრილი 3: სახელმწიფოს პროგრამით განსახლებული ეკომიგრანტთა რაოდენობა ქვემო ქართლში, 1981-1989 წწ.

ჩასახლების რაიონი	ჩასახლების ადგილი სოფლები	წარმოშობის რაიონი	ჩასახლების წლები	გეგმურად ასაშენებელი სახლების რაოდენობა	დასრულებული სახლების რაოდენობა	რეგისტრირებული მოსახლეობა (ოჯახების მის.)	მოსახლეობის რეალური რაოდენობა (ოჯახების მის.)	დღეს არსებული მოსახლეობა
თეთრიწყარო	დიდგორი	მესტია	1987	120	32	120	31	32 (142 ადამიანი)
	ხაიში (დუმუკი)	მესტია	1987	350	169	350	187	187 (594 ადამიანი)
	ჭიჭავი	ლენტეხი	1987	101	92	101	92	89 (490 ადამიანი)
	გოლეთი	ლენტეხი	1987	199	194	199	171	171 (680 ადამიანი)
	მარაბდა	ლენტეხი	1987	15	15	15	15	12 (64 ადამიანი)
	ჩხიკეთა	მესტია	1987	30	0	30	2	2 (8 ადამიანი)
	შაესაყდარი	მესტია	1987	20	20	20	20	0
	სამღერეთი	ხულო	1989	83	69	83	63	63 (284 ადამიანი)
	ალექსეევკა	ოსური სოფელი, რომელსაც ოსები ტოვებენ და ეკომიგრანტები მათ სახლებს ყიდულობენ (ხელისუფლების დახმარების გარეშე)						
	ჯიგრაშენი	ყოფილი ბერძნული სოფელი. დაახლოებით 100-150 სახლი ცარიელია						
ჯამი				918	591	918	561	553 ოჯახი 2262 ადამიანი
ბოლნისი	ტანძია	მესტია	1987	152	152	152	120	118 (478 ადამიანი)
	დისველი	ხულო	1989	220	80	220	80	80 (437 ადამიანი)
	ხატისსოფელი	ხულო	1989	52	20	52	20	20 (107 ადამიანი)
	ქალაქი ბოლნისი	ლენხუმი აჭარა სვანეთი	1989 1989 1989	ეკომიგრანტებმა დაიკავეს 1989 წელს აზერბაიჯანელების მიერ დატოვებული სახლები		147 37 135	147 37 135	147 (750 ინდივიდუალ.) 37 (180 ადამიანი) 135 (631 ადამიანი)
ჯამი				424	252	743	539	537 ოჯახი 2583 ადამიანი
დმანისი								
	ქალაქი დმანისი	მესტია	1987	292	292	292	251	129 (587 ადამიანი)
	განთიადი	მესტია	1987	8	8	8	7	---
ჯამი				300	300	300 ოჯახი	258 ოჯახი	129 ოჯახი 587 ადამიანი

ნასახლების რაიონი	ნასახლების ადგილი სოფლები	წარმოშობის რაიონი	ნასახლების წლები	გეგმურად ასაშენებელი სახლების რაოდენობა	დასრულებული სახლების რაოდენობა	რეგისტრირებული მოსახლეობა (ოჯახების მის.)	მოსახლეობის რეალური რაოდენობა (ოჯახების მის)	დღეს არსებული მოსახლეობა
გარდაბანი								
	ქალაქი გარდაბანი	ლენტეხი	1987	210	115	219	159	159 (591 ადამიანი)
	ლემშვენიერა	მესტია	1987	350	350	350	301	301 (1383 ადამიანი)
	კრწანისი	აჭარა	1989-90	75	-	75	57	57 (269 ადამიანი)
	ვაზიანი	აჭარა	1989-90	122	20	122	109	109 (424 ადამიანი)
	მუსროვანი	აჭარა	1989-90	47	-	49	36	36 (129 ადამიანი)
ჯამი				804	485	815	662	662 ოჯახი 2796 ადამიანი
მარნეული								
	შულავერი (მარეტი)	შუახევი	1989	143	0	143	76	76 (450 ადამიანი)
	ხისანი	ხულო	1992-1995	240	92	240	94	94 (366 ადამიანი)
	თამარისი	მესტია	1987	150	150	150	120	120 (870 ადამიანი)
	ახალი იოკნისი	ხულო	1991	110	82	110	82	82 (396 ადამიანი)
	წერაქვი	მესტია	1987	45	40	45	34	34 (146 ადამიანი)
	ყულარი (მარადისი)	ხულო		105	0	105	54	54 (245 ადამიანი)
ჯამი				793	364	793	460	460 ოჯახი 2473 ადამიანი
სულ ქვემო ქართლში (წალკის გარეშე)				3239	1992	3569	2480	2341 ოჯახი 10,701 ადამიანი

პირველწყარო: თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, მარნეულისა და გარდაბნის გამგეობის რეესტრები. 2006.

ცხრილი 4. დემოგრაფიული ბალანსისა და სტიქიური უბედურებების გამო მოსახლეობის განსახლება შუახევის რაიონიდან 1961-89 წლებში

№	ჩასახლების ადგილი	1961-70 წ. ჩასახლებული ოჯახები	1971-80 წ. ჩასახლებული ოჯახები	1980-89 წ. ჩასახლებული ოჯახები	სულ 1961-89 წლებში ჩასახლებული ოჯახები
1	აჭარა: ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები	278	140	168	579
2	ბათუმი	116	70	120	306
3	კრასნოდარის მხარე (რუსეთი)	-	50	70	120
4	გარდაბნის რაიონი	-	65	115	180
5	ოზურგეთის რაიონი	178	160	112	470
6	ჯამი	572	485	598	1655

პირველწყარო: შუახევის გამგეობის ოფიციალური მონაცემები, ნოემბერი 2006 წ.

ცხრილი 5. სხვადასხვა მიმღები რეგიონიდან შუახევის, ქედისა და ხულოს რაიონებში უკუმიგრაცია.

მიმღები რეგიონი	ხულოს რაიონი (1989-1998)	შუახევის რაიონი (1989-2006)	ქედის რაიონი (1989-2006)
სამეგრელო	36	98	3
გურია	84	30	3
იმერეთი	97	68	26
ქვემო ქართლი	54	30	3
კახეთი	26	9	
შიდა ქართლი	54		
აჭარა (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური)	36	42	
სამცხე-ჯავახეთი	141		
სხვა	6		
სულ	534	277	35

შენიშვნა 1: უკან დაბრუნებული 277 მიგრანტიდან 22 ეკომიგრანტი დასახლდა ბათუმში, ქობულეთში, ოზურგეთსა და წალკაში, ხოლო დანარჩენი 253 კვლავ შუახევის რაიონში დაბრუნდა. შენიშვნა 2: 534 უკან დაბრუნებული ეკომიგრანტიდან ყველა ხულოს რაიონში დაბრუნდა. პირველწყარო: ხულოსა და შუახევის გამგეობების მიერ 2006 წლის ოქტომბერში მოწოდებული მონაცემები.

ცხრილი 6. ეკომიგრანტები მთიანი აჭარიდან 1989-2005 წ.

ჩანასახების რაიონი	სულოს რაიონი მოგვაწოდა სულოს გამგეობამ 2006.			შუახევის რაიონი მოგვაწოდა შუახევის გამგეობამ 2006.			ქედის რაიონი მოგვაწოდა ქედის გამგეობამ 2006		
	წელი	ოჯახების რაოდენობა	სულ რაიონში	წელი	ოჯახების რაოდენობა	სულ რაიონში	წელი	ოჯახების რაოდენობა	სულ რაიონში
ბათუმი	1990	242		1989	84		1989	1	
	1991	102		1990	114				
	1992	57		1991-92	3				
	1993	20		1993	5				
	1994	15		1997	2				
	1995	39		1999	2				
	1996	32		2000	3				
	1997	6		2001	1				
	1998	1	514	2004-05	33	244			1
ქობულეთის რაიონი	1989	26		1989	91				
	1990	43		1990	50				
	1991	16		1991	3				
	1992	10		1992	1				
	1993	3		1993					
	1994	3		1994					
	1995	5		1995					
	1996	6		1996	1				
	1997	1		1997	2				
	1998	1	114	1998	3	151			
ხელვაჩაურის რაიონი	1989	27		1989	92				
	1990	59		1990	65				
	1991	7		1991					
	1992	6		1992					
	1993	2		1993	1				
	1994	1		1994					
	1995	6		1995					
	1996	1		1996					

	1997	2		1997					
	1998	2	113	1998-2003	1-1	160			
ჩოხატაურის რაიონი	1989	105		1989	2				
	1990	17		1990	3				
	1991	6		1991					
	1992	1		1992					
	1995	1	130	1995		5			
ღანჩუთის რაიონი	1989	173		1989	117		1989	2	
	1990	71		1990	154		1990	-	
	1991	1		1991			1991	-	
	1992	4		1992			1992	-	
	1993	4		1993			1993	-	
	1994	2		1994			1994	-	
	1995	1		1995			1995	-	
	1996	1		1996			1996	2	
	2000	1	258	2000		271	2000	-	4
ოზურგეთის რაიონი	1989	31		1989	51		1989	-	
	1990	88		1990	11		1990	-	
	1993	13		1991	1		1993	-	
	1995	4		-			1996	1	
	1998	2	138	-		63	1998	-	1
ბოლნისის რაიონი	1989	51		1989	1				
	1990	42		-					
	1991	2		-					
	1992	14		-					
	1993	7		-					
	1994	1		-					
	1996	1		-					
	1997	2		-					
	1998	28		-					
	2000	3	151	-		1			

მარნეულის რაიონი	1989-90	352		1989-90					
	1991	2		1991					
	1992	3		1992					
	1993	2		1993					
	1994	1		1994					
	1996	15		1996					
	1997	17		1997					
	1998	3		1998					
	1999	8		1999					
	2000	2		2000					
	2001	1		2001					
	2002	9		2002					
	2003	6		2003					
	2006	2	423	2006		0			
გარდაბნის რაიონი	1989	27		1989	87				
	1990	45		1990	65				
	1994	1		1991	2				
	1995	1		1995					
	1997	2		1997					
	1998	3		1998					
	2003	2	81	2003	1	155			
თეთრიწყაროს რაიონი	1989-91	67			-		1989	-	
	1992-93	7			-		1990	-	
	1994-96	5			-		1992	2	
	1997-98	19			-		-	-	
	1999	4			-		-	-	
	2002-05	7	109		-		2005	6	8
რუსთავი		1	1	-	-	0	-	-	0
წალკის რაიონი	1997	1		1997	-		1997	-	
	1998	87		1998	-		1998	1	
	1999	38		1999	1		1999	-	
	2000	49		2000	2		2000	5	

	2001	41		2001	2		2001	2	
	2002	100		2002	3		2002	1	
	2003	182		2003	7		2003	4	
	2004	42		2004	2		2004	13	
	2005		580	2005	9	26	2005	24	50
ღმანისის რაიონი	1989-90	2	2	1989-90	1	1	1989		
ხონის რაიონი	1989	197		1989	136				
	1990	15		1990	49				
	1991	1		1991					
	1992	1		1992					
	1993	1	215	1993		185			
ვანის რაიონი	1989	247		1989	103		1989	33	
	1990	17		1990	28		1990		
	1992	1		1992			1992		
	1996	1		1996			1996	2	
	2000	-	266	2000	-	131	2000	2	37
სამტრედიის რაიონი	1989	41		1989	50				
	1990	74		1990	11				
	1991	2		1991					
	1992	2		1992					
	1993	1		1993					
	1994	3		1994					
	1998	1	124	2005	3	64			
თერჯოლის რაიონი	1990	1		1989	1				
	1993	0	1	1993	1	2			
ზესტაფონის რაიონი	1990	1	1	-	-	0			
ბაღდადის რაიონი	1990	10		1990					
	1993	1	11	1993					
წყალტუბოს რაიონი	1989-90	80	80	1990	2	2			
აბაშის რაიონი	1989	121		1989	33				

	1990		121	1990	4	37			
ხობის რაიონი	1989	206		1989	62		1990		
	1990	28		1990	2		1999	3	
	1997	2	236	1997		64	2000	4	7
ზუგდიდის რაიონი	1989	3		1989	67				
		-	3	1990	5	71			
წაღენჯიხის რაიონი		-		1989	18				
		-	0	1990	3	21			
ყვარლის რაიონი	1989	7			-				
	1990	22	29		-	0			
დედოფლისწყაროს რაიონი	1989	40		1989	11				
	1990	9		1990	1				
	1991	2		1991	-				
	1993	1	52	1993	-	12			
საგარეჯოს რაიონი	1989	103	103						
სიღნაღის რაიონი	1989	69		1989	9	9			
	1990	2							
	1994-95	3	74						
ახმეტის რაიონი	2004-05	24	24	2005	11	11			
ლაგოდეხის რაიონი	1989	49		1989	-				
	1990	4		1990	-				
	1991	1		1991	-				
	1994	2	56	1994	-	0			
ყვარლის რაიონი	1989	55		1989	7				
	1990	7		1990	-				
	2000	1	63	2000	-	7			
გორის რაიონი	1989	17	17		-	0			
კასპის რაიონი	1989	2			-				

	1990	2	4		-	0			
ნინოწმინდის რაიონი	1989-1994	88			-				
	1995	2			-				
	1996	5	95		-	-			
ახალქალაქის რაიონი	1989	385							
	1990	59							
	1991	2							
	1992	18							
	1993	17							
	1996	36							
	1997	13							
	1999	1	531						
ადიგენის რაიონი	1989-93	70		1989	1				
	1994	3			-				
	1995	4			-				
	1996	3			-				
	1997-98	7			-				
	2001	2	89		-	1			
ასპინძის რაიონი	1989	36			-				
	1990	7			-				
	1995-97	5	48		-	0			
ფოთი		-	0	1989	2	2	1989	4	4
სულ			4,857			1,696			112

პირველწყარო: ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონის გამგეობები, 2006.

* წალკის რაიონის შესახებ მონაცემები მოგვაწოდა წალკის გამგეობამ, 2006

ცხრილი 7. მთიანი რეგიონების მოსახლეობა 1886-2002 წლების აღწერების მიხედვით

რეგიონი	1886	1926	1939	1959	1979	1989	ცვლილება 1886-1989
სვანეთი	-	18,823	27,128	31,000	30,400	26,120	+38.77%
რაჭა-ლეჩხუმი	-	10,1292	99,126	75,700	56,900	46,600	-54%
თუშეთი	4,074	1,618	-	543	-	101	-97.5%
ხევი	8,843	8,727	-	7,976	-	6,376	-27.9%
მთიულეთი	9,282	10,483	-	8,522	-	6,822	-26.5%
ხევსურეთი	4,985	3,589	-	2,047	-	652	-87.8%
ფშავი	5,067	2,259	-	1,411	-	1,127	-77.7%

პირველწყარო: ვახტანგ ჯაოშიელი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, მეცნიერება, 1996, გვ 130 და 170.

ECO-MIGRATION IN GEORGIA 1981-2006 TO SAMTSKHE-JAVAKHETI AND KVEMO KARTLI

